www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 4 თებერვალი, 2003 წელი. №33 (245)

ფასი 50 თეთრი


# ხელისუფლების ღია ტერორი

ასე აფასებს ოპოზიცია "ახალ მემარჯვენეებზე" თავდასხმას



ბიძინა გეგიძე, ლევან გაჩეჩილაძე და დავით გამყრელიძე - პირველი კომენტარები დარბევის შემდეგ.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"ახალ მემარჯვენეთა" ცენტრალურ ოფისზე განხორციელებულმა გუშინდელმა თავდასხმამ უკიდურესად დაძაბა ქვეყანაში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური ფონი და ერთი პარტიის შიდა პრობლემა ახალი პოლიტიკური კრიზისის დასაბამი გახადა.*

თამარ მჭედლიშვილი

"ახალი მემარჯვენეების" ცენტრალური ოფისი გუშინ დღის პირველ საათზე დაარბიეს. როგორც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით გამყრელიძე აცხადებს, შენობაში ორმოცამდე ადამიანი შეიჭრა, რომლებიც ავტომატებით, პისტოლეტებითა და ტყვიამფრქვევებით იყვნენ შეიარაღებულები.

**"დაგვემუქრნენ, რომ გაგვანადგურებდნენ. ჩემს კაბინეტში შემოიჭრნენ, დაამსხვრიეს მინები, მემუქრებოდნენ, რომ თუ პარტია და მე ჭკვიანად არ მოვიქცეოდით, ისინი კიდევ უფრო მკაცრ ზომებს მიმართავდნენ, პირადად მე გამისწორდებოდნენ. სამწუხაროდ, ვერც ერთი თავდამსხმელი ვერ ვიცანი,**


გაგრძელება A3 გვერდზე


## იარაღისა და ძალადობის ფაქტორი ქართულ პოლიტიკაში


კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"


*ქართულ პოლიტიკაში იარაღისა და ძალადობის ფაქტორი ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე გაჩნდა და ჩვენს სინამდვილეში, იგი, დღემდე მთავარ არგუმენტს წარმოადგენს პოლიტიკურ ბრძოლაში გამარჯვების მისაღწევად. 2002 წლის განმავლობაში საზოგადოება არაერთხელ იყო იმის მოწმე, თუ როგორ ამოდიოდა ეს ჯინი ბოთლიდან. შესაბამისად, ორშაბათს, "ახალი მემარჯვენეების" ოფისზე მომხდარი შეიარაღებული თავდასხმა მხოლოდ მორიგი დასტურია, რომ იარაღისა და ძალადობის ფაქტორი ქართულ პოლიტიკაში კვლავაც სიცოცხლისუნარიანია.*

ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ძალადობის მეთოდების გამოყენებების ისტორია საქართველოში პირობითად რამდენიმე ეტაპად იყოფა. 1990 წლიდან 1995 წლის ჩათვლით - შეიძლება აღვირახსნილი ძალადობის დემონსტრირების პერიოდი ვუწოდოთ; 1995 წლიდან 2001 წლამდე - იარაღიანი ადამიანის კულტი არანაკლებ საშიშმა ჰალსტუხიანმა მოძალადემ შეცვალა; და ჯერჯერობით ბოლო მესამე პერიოდი, რომელიც სათავეს იღებს 2001 წლიდან და რომლის დროსაც კვლავ ახალი ძალით იწყება პოლიტიკაში იარაღიანი ადამიანების კულტივირება.

ისტორიის ამ მოკლე მონაკვეთში, საქართველოში ოპონენტებს ანგარიშს უსწორებდნენ ბრძოლის ველზე, ქუჩაში, საცხოვრებელ სახლებში და, თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარ სამუშაო კაბინეტებშიც კი. ამ ანგარიშსწორების დროს საქართველოში იმაზე უფრო მეტი ადამიანი დაიღუპა, ვიდრე 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებისა თუ თბილისის სამოქალაქო ომის დროს.


გაგრძელება A3 გვერდზე


### პოლიტიკა

## ქართული დიასპორის პირველი მსოფლიო ყრილობა ჰელსინკში გაიმართება

*2003 წლის 26 მაისს, ფინეთის ქართული სათვისტომოს ინიციატივით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, ჰელსინკში გაიმართება ქართული დიასპორის პირველი მსოფლიო ყრილობა. ფინეთში მცხოვრებმა ქართველებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკებები ევროპის, ამერიკის და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში მოქმედ ქართულ სათვისტომოებთან.*


A2


### ეკონომიკა

## „წინასაარჩევნოდ პრეზიდენტის ოჯახს სურს გააკონტროლოს სფეროები, საიდანაც ფული შემოდის„

*ერთ კვირაში "ეი-ი-ეს მტკვრის" კუთვნილი მეცხრე ენერგობლოკი, შესაძლოა, კვლავ გაჩერდეს. მოსალოდნელია ენერგეტიკული ობიექტების თანამშრომელთა გაფიცვების ახალი ტალღა და ენგურჰესზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შეფერხება. საბითუმო ბაზარში ეჭვობენ, რომ მისი ანგარიშის დაყადაღებების სერიალს მიღმა ერთი და იმავე ფინანსური ჯგუფის ინტერესები იკვეთება. როგორც ანტიკორუფციული საბჭოს წევრი გივი თარგამაძე აცხადებს, "ესაა ისევ და ისევ პრეზიდენტ შევარდნაძისა და მისი ოჯახის ინტერესები."*


A4


### უცხოეთი

## კოჩარიანი რასისტული გამონათქვამებისთვის გააკრიტიკეს

*კოჩარიანმა, რომელიც მომავალი არჩევნების წინ ნაციონალურ გრძნობებზე თამაშობს, მოსკოვში გამოსვლისას განაცხადა, რომ სომხები და აზერბაიჯანელები ეთნიკურად შეუთავსებელნი არიან.*


A5


### საზოგადოება

## ვეტერინარებმა „საძმოს„ შეუტიეს

*თბილისში ცხენის ხორცის რეალიზაციის შესახებ ჭორი კარგა ხნის წინათ გავრცელდა, თუმცა, ვეტერინალური სამსახურები ასეთი ფაქტების არსებობას კატეგორიულად უარყოფდნენ. რამდენიმე დღის წინათ კი შპს "საძმოში" 137 კილოგრამ ცხენის ხორცს თვითონვე წააწყდნენ.*


A6


### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 12 | ☁ |
| ქუთაისი | 11 | 🌧 |
| ბათუმი | 11 | 🌧 |
| სოხუმი | 7 | ❄ |
| ფოთი | 10 | 🌧 |
| თელავი | 10 | ☁ |
| ზუგდიდი | 10 | 🌧 |
| გორი | 7 | 🌧 |
| ახმეტა | 9 | ☁ |
| ჭიათურა | 8 | 🌧 |
| გაგრა | 6 | ❄ |
| სამტრედია | 11 | 🌧 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1849 |
| ევრო | 2.3543 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.6178 |
| რუბლი | 0.0687 |

## პოლიციის მაღალჩინოსანი აფხაზებმა მოკლეს

თამარ კაციტაძე
ხათუნა ჯანგირაშვილი

*გუშინწინ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, მდინარე ენგურის სასაზღვრო ზოლთან, სოფელ შამგონასთან, აფხაზებმა ზუგდიდის რაიონის პოლიციის თანამშრომლებს ცეცხლი გაუხსნეს, რა დროსაც ზუგდიდის კრიმინალური პოლიციის უფროსი ბეგლარ ფონია დაიღუპა. ქართველი პოლიციელი აფხაზებმა იმ დროს მოკლეს, როცა მას, ოპერატიულ ჯგუფთან ერთად, მდინარე ენგურიდან გატაცებული ავტომანქანა ამოჰყავდა.*

როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა სერგო ჩაჩიბაიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, გუშინწინ ზუგდიდში ორმა უცნობმა პიროვნებამ ვინმე შენგელიას მისი კუთვნილი ავტომობილით გალის რაიონის სოფელ შამგონაში გადაყვანა სთხოვა. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ მგზავრებს მძღოლი მანქანიდან გადმოუსვამთ, შეიარაღებული და ნიღბიანი ორი პიროვნება ჩაუსვამთ და გზა გაუგრძელებიათ. მანქანის გატაცების შესახებ ზუგდიდის პოლიციისთვის უცნობებიათ. ხუთკაციანი ოპერატიული ჯგუფი, ბეგლარ ფონიას ხელმძღვანელობით, გამტაცებლებს დაედევნა და ენგურის მოსაზღვრე სოფელ შამგონას მახლობლად დაეწია. მაგრამ დამნაშავეებმა მანქანა მდინარეში მიატოვეს და გაიქცნენ. სწორედ ამ დროს აფხაზმა მებაჟეებმა, რომლებიც, სავარაუდოდ, კრიმინალურ სამყაროსთან არიან დაკავშირებულნი, ქართველ პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნეს.

ჩვენი ინფორმაციით, სროლა დაახლოებით საათნახევარი გრძელდებოდა. აფხაზები ისროდნენ ავტომატებიდან, ყუმბარმტყორცნებიდან და ტყვიამფრქვევებიდან. თავში დაჭრილი ბეგლარ ფონია ადგილზევე გარდაიცვალა, დანარჩენი პოლიციელები კი მანქანას ამოეფარნენ და დასახმარებლად ზუგდიდელ კოლეგებს დაუკავშირდნენ.


გაგრძელება A7 გვერდზე


## მითიური „მესამე ძალა"

მაია ჭალაგანიძე

*საქართველოში განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წელს სამართალდამცავი ორგანოები აქტუალობას არ კარგავენ და სულ უფრო ხშირად ხვდებიან საზოგადოების ინტერესთა სფეროში. დღევანდელი პერსონა, ვალერი ხაბურძანია, როგორც სპეცსამსახურის ჭეშმარიტ უფროსს შეეფერება, ქვეყნის პოლიტიკური ვითარების შეფასებას პროფესიულად არიდებს თავს. და არამარტო თავს არიდებს. როგორც თავადვე გვითხრა, უახლოეს მომავალში დაგეგმილი რეფორმით საქართველოს უშიშროება სამინისტრო აღარ იქნება და სამსახური სამოქალაქო გახდება. ამ და კიდევ სხვა დაგეგმილი გზებით ის სპეცსამსახურის დეპოლიტიზებას ცდილობს. მანამდე კი მისგან და მისი პოლიციელი კოლეგისგან საზოგადოება კატასტროფული ვითარების გამოსწორებას უკანასკნელი მოთმინებით ელის.*


გაგრძელება B1 გვერდზე




ვალერი ხაბურძანია

ვახო ჯაიანის ფოტო

## გაერო-ზე განაწყენებული პრეზიდენტი ერაყის დასჯას მხარს უჭერს

ორშაბათის ბრიფინგი

თამარ ხორბალაძე

პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, გასულ კვირას პუტინთან საუბრის შემდეგ, დღეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიმართ საყვედურებად დაიღვარა:

**"სამშვიდობო მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ გააჩნია; თუმცა, აფხაზეთიდან ლტოლვილები და საქართველოს თითოეული მოქალაქე კითხვას სვამს - როდემდე?..**

**გაკვირვებას იწვევს, რომ ამაზე არ ფიქრობენ უშიშროების საბჭოში, რომელიც პასუხისმგებელია მშვიდობის დაცვის მდგომარეობაზე, სამართლიანობაზე, ეთნოწმენდისა და გენოციდის ყოველგვარ გამოვლინებაზე, სადაც კი ასეთ ფაქტები მოხდება...**

**კონფლიქტის მოწესრიგებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება არა იმდენად შუამავალ მხარეს - რუსეთს, არამედ - უშიშროების საბჭოს...**

**საკვირველია, უშიშროების საბჭოში რატომ ეგუებიან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხში გაერო-ს გენერალური მდივნის ყოფილი პირადი წარმომადგენლის, დიტერ ბოდენის მიერ შემუშავებული დოკუმენტის (თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ) შეუნიღბავ იგნორირებას კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიერ?!"** - ცხარობდა გუშინ ქვეყნის პირველი პირი, თუმცა ცდილობდა "პოზიტიური ძვრებიც" არ გამორჩენოდა.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ჯერ არ გაუგრძელებს მანდატს სამშვიდობოებს და იწყებს ზრუნვას მათ ჩანაცვლებაზე. და კიდევ - პრეზიდენტი არ გამორიცხავს, რომ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა განიხილოს აფხაზეთში ჩადენილი დანაშაულები და გამოიყენოს გენპროკურატურაში არსებული საგამოძიებო მასალები.


გაგრძელება A3 გვერდზე


## ბერეზოვსკის წყლები

ამბობენ,"სელფორდმა" ბორის ბერეზოვსკის "ბორჯომის" ნახევარი უყიდაო

გვანცა კვინიკაძე

*გუშინ მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა ბრიტანულმა გაზეთმა "Financial Times"-მა (FT) გამოაქვეყნა სტატია, რომელიც რუსეთიდან დევნილი ცნობილი ბიზნესმენის ბორის ბერეზოვსკის მიერ "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიაში" (GG&MW) წილის შეძენას იუწყება. სტატიის თანახმად, "ბორჯომის" ბიზნესში შესვლაში ბერეზოვსკის დახმარება უკვე კარგად ცნობილმა ოფშორულმა კომპანია "სელფორდმა" გაუწია. სწორედ, ეს კომპანია იყო "საქართველოს ელექტროკავშირსა" და ნორვეგიულ "ტელენორს" შორის გარიგების ფინანსური მრჩეველი. FT-ს ინფორმაციით, რუსმა ოლიგარქმა GG&MW-ის 50 პროცენტი 50 მილიონ დოლარად შეიძინა. თუ ეს გარიგება მართლაც განხორციელდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ GG&MW-ის აქციათა სოლიდური პაკეტი არ იქნება ერთადერთი, რასაც ბერეზოვსკი საქართველოს მიმზიდველი კომპანიებიდან უშუალოდ, ან მისი აქ მყოფი მეგობრების მეშვეობით შეიძენს. თუმცა, ამ გარიგებას კატეგორიულად უარყოფენ თავად GG&MW-ისა და "სელფორდის" ხელმძღვანელები.*

"Financial Times"-ში გამოქვეყნებული სტატია მოულოდნელი აღმოჩნდა გარიგების მონაწილეთათვის. პუბლიკაციის თანახმად: **"ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულმა საინვესტიციო ბანკმა "სელფორდმა", რომელიც პერიოდულად კონსულტაციებს უწევს ბორის ბერეზოვსკის კომპანიებს, თავისი ფონდის - "New World Value Fund"-ის მეშვეობით, "ბორჯომის" მთავარ მწარმოებელ კომპანიაში 50-პროცენტიანი წილი 50 მილიონ დოლარად შეიძინა. გარიგება მას შემდეგ შედგა, რაც კვების პროდუქტების ცნობილმა ფრანგულმა კომპანიამ "დანონმა" უარი თქვა GG&MW-ის წილის შეძენაზე, რაც, თავის მხრივ, BP-ის მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაზე გავლის შესახებ გაკეთებულმა განცხადებამ განაპირობა".**


გაგრძელება A4 გვერდზე



A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ავტომობილი

B2 კულტურა | B3 ანკეტა | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 განცხადებები | B7 სტილი | B8 სხვადასხვა

## რას იტყვიან რუსი პენსიონერები?

ბელა მახარაძე

პოლიტიკური ორგანიზაცია “დათვი” და მერაბ ხაჩიშვილი რუსეთის ხელისუფლებაში იმდენად შეჰყვარებიათ, რომ ქართველ პენსიონერთა გარკვეული კატეგორიისთვის 50-100 ამერიკული დოლარის დანიშვნას დაჰპირებიან.

**“პირველი პოლიტიკური ნაბიჯი, რომელსაც ჩვენ გადავდგამთ, არის იმ პენსიონერთათვის პენსიის მომატება, რომლებიც მუშაობდნენ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში, დღეს კი ისინი იძულებულნი არიან 14 ლარით იცხოვრონ. ეს არის კეთილგანწყობის გამოხატვა რუსეთის ხელისუფლებისა საქართველოს მიმართ. პარტიამ აიღო პასუხისმგებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით და ჩვენ ვქმნით სოციალური სამართლიანობის ასოციაციას, რომელიც გააკონტროლებს ამ თანხებს. საქართველოში უნდა შეიქმნას რუსული ბანკიც, სადაც გადაირიცხება პენსიონერთათვის თანხები და იქნება კონტროლირებადი,” -** აცხადებს პარტიის თავმჯდომარე თემურ ხაჩიშვილი.

გაერთიანება ასევეე წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე ქმნის საქართველო-რუსეთის ბიზნესმენთა ასოციაციას, რომელიც არ დაუშვებს საქართველოში შავი ფულის გათეთრებას “**ბერეზოვსკები და პატარკაციშვილები საქართველოში ფულს ვეღარ გაათეთრებენ,”**- განაცხადა ხაჩიშვილმა.

**“ჩვენ გვაქვს ავტორიტეტი რუსეთის მხარესთან და ხელს შევუწყობთ რუსეთის ყველა ნაბიჯს, რომელსაც ისინი საქართველოს კეთილდღეობისათვის გადადგამენ,”**- აცხადებს ხაჩიშვილი.

“დათვის” ხელმძღვანელობა უარყოფს აფხაზეთში პასპორტიზაციას და აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ იცრუა, ხოლო რაც შეეხება რკინიგზის აღდგენას, პარტიის ლიდერების აზრით, ეს პროცესი რაც შეიძლება სწრაფად უნდა განხორციელდეს, რათა დამყარდეს მჭიდრო კონტაქტი საქართველოსა და რუსეთს შორის.

**“დიახ, ჩვენ პუტინის პარტია ვართ!” -** აცხადებენ ხაჩიშვილის თანაპარტიელები, მაგრამ ეს ერთობ მოკრძალებული განცხადებაა. თუ მათი დაპირება სიმართლეს შეეფერება, ქართველი "დათვები" პუტინის პარტია კი არა, პუტინის უსაყვარლესი პარტია ყოფილა, რადგან რუსეთი 100 დოლარს გადაუხდის ქართველ პენსიონერებს მაშინ, როცა რუსი პენსიონერები ამის მესამედსაც ვერ იღებენ.

ნამდვილად უხერხულია, რას იტყვიან რუსი პენსიონერები?

## დავისვენოთ უქმე დღეებშიც და შარაძის დემაგოგიისგანაც

### ხელისუფლებამ ეკლესიასთან შეთანხმებას ფორმალურად მოაწერა ხელი

ვერიკო თევზაძე

*“შევარდნაძემ ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას და ამით მოიხადა თავისი მოვალეობა. არადა, მოსაგვარებელია უამრავი კონცეპტუალური საკითხი: სამხედრო საჯარისო ფორმირებებში შემოსაღებია მოძღვრის ინსტიტუტი; სოციალურ და განათლების სფეროებში დასამუშავებელია ურთიერთთანამშრომლობის პროგრამები. სახელმწიფო, ჯერჯერობით, არაფერს აკეთებს ამ საკითხების გადასაწყვეტად,” - აცხადებს ეროვნულ ძალთა გაერთიანების ლიდერი ზვიად ძიძიგური, რომელსაც მიაჩნია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ეკლესიასთან კონსტიტუციურ შეთანხმებას ფორმალურად მოაწერა ხელი, ხოლო საქმით (ამ შეთანხმების ტექსტში მოყვანილი დებულების შესასრულებლად ) არაფერს აკეთებს.*


ზვიად ძიძიგური და კოტე კემულარია.

კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით, დიდი საეკლესიო დღესასწაულებიდან 12 უქმე დღეა, ამიტომ ზვიად ძიძიგური მოითხოვს - შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლს დაემატოს და უქმე დღეებად გამოცხადდეს კონსტიტუციური შეთანხმების დანართში მითითებული დღესასწაულები.

ძიძიგურის განცხადებით, თუ შრომის კოდექსში ცვლილებებს შევიტანთ, მაშინ დავისვენებთ უქმე დღეებშიც და შარაძის დემაგოგიური გამოხდომებისგანაც. ზვიად ძიძიგურმა გაიხსენა გურამ შარაძის ინიციატივა, როცა მან მოითხოვა 27 იანვრის, წმინდა ნინოს ხსენების დღის, უქმედ გამოცხადება. **“წმინდა ნინოს ხსენების დღე იმ 12 რელიგიური დღესასწაულიდან ერთ-ერთია, რომელიც დასვენების დღედ ითვლება კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით. თუ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებები შევიდა, ბატონ გურამს საშუალება არ მიეცემა, რომ რელიგიურ თემებზეც პოპულიზმს მიმართოს.”**

დღეს საპარლამენტო ფრაქცია “დემოკრატიული რეფორმებისთვის” ბიუროზე გამოვა ინიციატივით, რომ პარლამენტმა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებები და დამატებები შეიტანოს.

## მეანაბრეები სახელმწიფოსგან 42 მილიარდი დოლარის დაბრუნებას ითხოვენ

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უკვე მერამდენედ განიხილავს მოქალაქე ემზარ გრიგოლიას სარჩელს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინააღმდეგ. მოსარჩელე მოითხოვს, საქართველოს სსრ შემნახველი ბანკის მეანაბრეებს დაუბრუნდეთ კუთვნილი თანხა, რომელიც სახელმწიფომ 1997 წელს აღიარა ქვეყნის შიდა ვალად. ემზარ გრიგოლიას ადვოკატის განმარტებით, სარჩელთა განხილვებს საკონსტიტუციო სასამართლო აჩერებდა, რადგან საქართველოს პრეზიდენტი პერიოდულად აუქმებდა მის მიერ გამოცემულ იმ დადგენილებებს, რომლებსაც გრიგოლიას ესა თუ ის სარჩელი ეხებოდა. შემდეგ ისევ გამოდიოდა მეანაბრეებთან დაკავშირებული ახალი დადგენილება. დღეისათვის შვიდი ასეთი შინაარსის ნორმატიული აქტი არსებობს, აქედან ექვსი – პრეზიდენტის, ხოლო ერთი პარლამენტის მიერ გამოცემული.

ამჯერად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელმა სხდომამ იმსჯელა, მიიღოს თუ არა წარმოებაში ემზარ გრიგოლიას მორიგი სარჩელი, რომელიც აღნიშნული შვიდი ნორმატიული აქტიდან ექვსს აპროტესტებს და არაკონსტიტუციურად მიიჩნევს. მოსარჩელეს განცხადებით, სახელმწიფოს ვალი მეანაბრეების მიმართ, საბჭოთა მანეთის მაშინდელი კურსის მიხედვით, 42 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. სსრკ შემნახველი ბანკის სამართალმემკვიდრე კი “გაერთიანებული ქართული ბანკი” გახლავთ.

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელს იმ შემთხვევაში მიეცემა მსვლელობა, თუკი განსახილველი საკითხები ემზარ გრიგოლიასა და მისი ადვოკატის მხრიდან არგუმენტირებულად იქნება წარმოდგენილი. მოსამართლის განცხადებით, სასამართლო რამდენიმე დღეში გადაწყვეტს, მიეცეს თუ არა მსვლელობა აღნიშნულ სარჩელს.

## ქართული დიასპორის პირველი მსოფლიო ყრილობა ჰელსინკში გაიმართება

### ფინეთში, რუსეთის საელჩოს წინ, გრანდიოზული საპროტესტო აქცია იგეგმება

*2003 წლის 26 მაისს, ფინეთის ქართული სათვისტომოს ინიციატივით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, ჰელსინკში გაიმართება ქართული დიასპორის პირველი მსოფლიო ყრილობა. ფინეთში მცხოვრებმა ქართველებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკებები ევროპის, ამერიკის და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში მოქმედ ქართულ სათვისტომოებთან. “ეს იქნება ასეთი მასშტაბის პირველი შეკრება - სრულიად საქართველოს დიასპორის პირველი ყრილობა, რომელზეც სამშობლოში არსებულ უმძიმეს მდგომარეობაზე ვიმსჯელებთ. მგონი, დადგა დრო, რომ შევიკრიბოთ ყველანი, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა,” – გვითხრა ფინეთის ქართული სათვისტომოს წარმომადგენელმა გოჩა ბახიამ, რომელსაც “24 საათი” გუშინ ჰელსინკში ესაუბრა.*

ზაზა წულაძე

ფინეთში ქართველების რაოდენობა 1991-92 წლების სამოქალაქო ომის შემდეგ გაიზარდა, როცა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენელთა დიდმა ნაწილმა თავშესაფარი სწორედ ამ სკანდინავიურ სახელმწიფოში ნახა. სათვისტომოში ამჟამად 50 ქართული ოჯახია გაერთიანებული. **“თორმეტი წელია, რაც სამშობლო არ მინახავს, ეს საკმაოდ დიდი დროა, უამრავი რაღაცის გადაფასება მოხდა. მსურს, ხაზი გავუსვა, რომ ეს ყრილობა არ იქნება არც ზვიადისტური, არც სხვა პოლიტიკური მიმართულების. ჩვენი ინიციატივა გულისხმობს ყველა იმ ქართველის შეკრებას, რომელსაც გული შესტკივა საქართველოზე. ჰელსინკში ვეპატიჟებით ყველას, განურჩევლად პოლიტიკური ორიენტაციისა,”** – გვითხრა გოჩა ბახიამ, რომელიც გამსახურდიას ხელისუფლების დროს პრეზიდენტის დაცვის წევრი, ხოლო სამხედრო გადატრიალების შემდეგ კი, სამეგრელოში მოქმედი შეიარაღებული ჯგუფის მეთაური იყო. ამ ჯგუფმა 1992 წლის ზაფხულში, აფხაზეთის ტერიტორიაზე გაიტაცა მაშინდელი მთავრობის რამდენიმე წევრი (მათ შორის, ალექსანდრე კავსაძე და რომან გვენცაძე). ამჟამად, გოჩა ბახია ფინეთში მოქმედი ქართული ინტერნეტ-გაზეთის “ექოს” რედაქტორია.

26 მაისის ყრილობაში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს ჰოლანდიის, გერმანიის (*ამ ქვეყანაში ქართული სათვისტომო ორად არის გაყოფილი – ზ.წ.*), შვედეთის, ამერიკის შეერთებული შტატების ქართულმა სათვისტომოებმა. **“ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობს კიდევ რამდენიმე ქვეყნის სათვისტომოსთან. დიდი იმედი გვაქვს, რომ პირველი ყრილობა წარმომადგენლობითი იქნება. დაპატიჟებული გვყავს ევროპარლამენტის 53 წევრი, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები; გვსურს საფრანგეთში, ლევილის ქართულ მამულში, ემიგრაციის ტრადიციულ შეკრებებს ჩავუყაროთ საფუძველი. ყველაფერ ამას ვაკეთებ იმიტომ, რომ შევრიგდეთ, ერთად დავდგეთ და გამოვიდეთ იმ ჩიხიდან, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა,”** – გვითხრა გოჩა ბახიამ.

ჯერჯერობით, ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებენ ის ორგანიზაციები და ადამიანები, რომლებიც ქართული დიასპორის პირველი მსოფლიო ყრილობის გამართვას დააფინანსებენ. **“ყრილობის გამართვისთვის აუცილებელი ფინანსები არსებობს და ჩვენ ფულს არავის ვთხოვთ. ყველას, ვინც გამოთქვამს ჰელსინკში ჩამოსვლის სურვილს, დავუჯავშნავთ სასტუმროს, ასევე იჯარით გვექნება აღებული დიდი დარბაზი, სადაც ყრილობა ჩატარდება”.**

უკვე გადაწყვეტილია, რომ ყრილობის შემდეგ მონაწილეები ჰელსინკის ცენტრში, ტეჰტაანკატუს №1-ში, ფინეთში რუსეთის საელჩოს წინ გადაინაცვლებენ და უპრეცედენტო საპროტესტო აქციას გამართავენ. **“ეს იქნება ყველაზე დიდი ანტირუსული აქცია, რომელიც ოდესმე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამართულა,”** – ამბობს გოჩა ბახია.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის განკარგულებით, თებერვალში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები ერთობლივი საკოორდინაციო კომისიების სხდომის ფარგლებში განახლდება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა არქიტექტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს ირაკლი როსტომაშვილს უკანონო მშენებლობების პრობლემის აღმოსაფხვრელად ერთთვიანი ვადა მისცა.

სააკაშვილმა როსტომაშვილს დაავალა, 3 მარტამდე სასამართლოებში შეიტანოს სარჩელები უკანონო მშენებლობებზე ნებართვების გაცემის წინააღმდეგ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა აკრძალა ტელეკომპანიებით ლეიბორისტული პარტიის სარეკლამო რგოლის გაშვება მოწოდებით - მოსახლეობამ არ გადაიხადოს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, კიევში შევარდნაძე-პუტინის შეთანხმების თანახმად, ამ დღეებში თბილისს ეწვევა რუს დიპლომატთა ჯგუფი, რომელიც ბოლო დროს დაძაბული ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების მიზნით რამდენიმე „საინტერესო ინიციატივას“ გაახმაურებს.

ერთ-ერთი ასეთი „საინტერესო ინიციატივა“ საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის დამკვიდრებას შეეხება. რუსულ პოლიტიკურ ელიტაში მიაჩნიათ, რომ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება იმავდროულად რუსეთის მოქალაქეც გახდეს, რაც საქართველოს „ავტომატურად მოუხსნის“ რუსეთთან დღეისთვის გართულებულ არაერთ პრობლემას. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხში ვახტანგ რჩეულიშვილი ხუთშაბათს ვლადიკავკაზში შეხვდება ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტს ალექსანდრ ძასოხოვს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საღამოს, ამერიკის საელჩოს წინ შიმშილობა გამოაცხადა ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ.

მანანა არჩვაძე-გამსახურდია იმ ორი თანამოაზრის გათავისუფლებას ითხოვს, რომლებიც სამართალდამცავებმა ორი დღის წინათ პარლამენტის შენობის წინ აქციის დაშლის შემდეგ დააკავეს. ამასთან, "მრგვალი მაგიდის" ლიდერი მიტინგების გამართვის ნებართვასაც მოითხოვს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისის მოსახლეობამ გუშინ „ბი-პი“-ს საქართველოს წარმომადგენლობის ოფისთან საპროტესტო აქცია გამართა და იქვე გზაც დროებით გადაკეტა.

აქციის მონაწილენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით მიწის კომპენსაციების გაცემას ითხოვდნენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ მიიღო საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დიპლომატი ჰაიდი პოლიაჩიკი. საუბარი შეეხო აფხაზეთში, კონფლიქტის ზონაში არსებულ მდგომარეობას და სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობის საკითხებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო სასურველად მიიჩნევს ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრის თბილისში ვიზიტს.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ნიდერლანდები ეუთო-ს ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყანაა და შეუძლია სერიოზული მხარდაჭერა აღმოუჩინოს საქართველოს კონფლიქტების მოგვარებაში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.**"დევნილთა სახალხო პარტია” შემოდგომაზე დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში "დემოკრატიული აღორძინების კავშირის” შემადგენლობაში გამოვა. ამის შესახებ ორშაბათს გამართულ დევნილთა და "აღორძინების კავშირის” წარმომადგენელთა შეხვედრაზე, "დევნილთა სახალხო პარტიის” თავმჯდომარემ, პარლამენტარმა ბორის კაკუბავამ განაცხადა. **პრაიმ-ნიუსი**

## ბარიერი ფულის "ფერისცვალებისთვის"

გიორგი ასანიშვილი

*საგაზაფხულო სესიაზე პარლამენტი განიხილავს ეროვნული ბანკის მიერ მომზადებულ კანონპროექტს "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ", რომელიც საქართველოში ფულის "გათეთრების" წინააღმდეგ ბრძოლას ისახავს მიზნად. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზაქარია ქუცნაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოში ამ საქმის არანაირი გამოცდილება არ არსებობს. ამდენად, პირველი ნაბიჯის გადადგმა, თუნდაც - დაგვიანებით, აუცილებელია. თუმცა, ახალგაზრდა სოციალისტი დიდი ილუზიით მაინც არ “იკვებება”.* ***"იდეალისტი არა ვარ და არა მგონია, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ კორუმპირებულები ცახცახს დაიწყებენ ან ფულის მოპარვას შეწყვიტავენ, მაგრამ მათთვის საკანონმდებლო ბარიერის შექმნა მაინც აუცილებელია",*** *- აცხადებს ქუცნაშვილი.*


ზაქარია ქუცნაშვილმა კორუმპირებულების მიერ გაკვალული გზა იპოვნა.

პარლამენტარი თითქმის დარწმუნებულია, რომ ზუსტად იცის სქემა, რომლითაც საქართველოში "შავი" ფული მოძრაობს: ქუცნაშვილის თქმით, უკანონო გზებით ნაშოვნი თანხა გაედინება ოფშორულ ზონებში, საიდანაც ის უკვე ლეგალურად (ძირითადად, ინვესტიციების სახით) ბრუნდება საქართველოში. ალბათ, ამიტომაც გაჩნდა კანონპროექტში ჩანაწერი, რომელიც ეროვნულ ბანკს ოფშორული ზონების ზუსტი ჩამონათვალის გაკეთებას ავალდებულებს. ასეთი ზონებიდან საქართველოში ყველაზე დიდი "პოპულარობით" ვირჯინიის კუნძულები სარგებლობს.

**"ეტყობა, რომელიღაც კორუმპირებულმა გაკვალა იქ გზა, სხვებსაც ასწავლა და თავისთან უხმო"**, - ვარაუდობს ქუცნაშვილი.

ფულის "გათეთრებასთან" ბრძოლაში ნოვაციას წარმოადგენს ის, რომ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია ქონების კონფისკაციის მუხლის აღდგენა. ამასთან დაკავშირებით, დეპუტატი თავის ოპონენტებს შეახსენებს, რომ ანალოგიური მუხლი ევროპის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში არსებობს და ის სულაც არ წარმოადგენს საბჭოურ გადმონაშთს.

ქუცნაშვილის მიერ "რეკომენდირებული" კანონპროექტის მიხედვით, ფულის "გათეთრებასთან" ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ფინანსური დაზვერვის სამსახურს უნდა დაეკისროს. სხვათა შორის, სახელისუფლებო წრეებში საკმაოდ ხანგრძლივი კამათი მიმდინარეობდა იმის თაობაზე, თუ ვის დაქვემდებარებაში უნდა ყოფილიყო ეს სტრუქტურა. ბოლოს გადაწყდა და ეს კანონპროექტშიც არის დაფიქსირებული, რომ ფინანსური დაზვერვა ეროვნულ ბანკთან იფუნქციონირებს. იგი გამოთავისუფლებული იქნება საგამოძიებო ფუნქციებისგან, მას მხოლოდ ინფორმაციების თავმოყრა და საგამოძიებო ორგანოებისთვის საეჭვო "მასალების" გადაცემა დაევალება. იმას კი, თუ რა მეთოდით დაახარისხებს ფინანსური დაზვერვა "საეჭვო" და "უტყუარ" ინფორმაციებს, სხვა ორგანოები გაარკვევენ.

კანონპროექტში შეტანილია იმ სტრუქტურების ჩამონათვალიც, რომლებსაც 10 ათასი ლარის (და მეტი) ნაღდი ანგარიშსწორების და 30 ათასი ლარის (და მეტი) უნაღდო ანგარიშსწორების დროს ფინანსური დაზვერვის სამსახურისთვის გარიგებათა სავალდებულო შეტყობინება ევალებათ. ეს სტრუქტურებია: ბანკები, გადამცვლელი პუნქტები და არასაბანკო დაწესებულებები; ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეები; სადაზღვევო კომპანიები; პირები, რომლებიც ახორციელებენ გრანტების გაცემას; საბაჟო ორგანოები; პირები, რომლებიც ახორციელებენ ძვირფას ლითონებთან და მათ ნაწარმთან, აგრეთვე ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებულ საქმიანობას; უძრავი ქონებით მოვაჭრე საგენტოები; ნოტარიუსები.

ქუცნაშვილი აღიარებს, რომ კანონპროექტი"უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ" უნაკლო არ არის და ბევრი ნაკლი გააჩნია; თუმცა, იქვე დასძენს, რომ მასში გატარებული იდეა, რომელიც ფულის "გათეთრების" წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობს, მთლიანობაში მისაღებია, ნაკლოვანებების აღმოფხვრა კი მეორე მოსმენის დროსაც შეიძლება. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონპროექტის გარშემო პირველი მოსმენით გათვალისწინებული დებატები გასული წლის მიწურულს დაიწყო, მაგრამ საქმე კენჭისყრამდე აღარ მისულა. საამისოდ დეპუტატებმა ვერც რიგგარეშე სესიის დროს მოიცალეს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# „ხელისუფლების ღია ტერორი„

პირველი გვერდიდან

**თუმცა, თავად ისინი ირაკლი ბათიაშვილის სახელს ახსენებდნენ და აცხადებდნენ, რომ მათი მოსვლის მიზეზი მისი პარტიიდან წავსლა იყო. ალბათ, გასარკვევია, ვინ ან რა ძალამ გამოაგზავნა ისინი ჩვენთან - ბათიაშვილის პარტიიდან წასვლა თავდასხმის მხოლოდ საბაბი იყო, თუ თავად ბათიაშვილია ამაში გარეული. საჯაროდ ვაცხადებ, რომ ჩვენი დაშინება არც ისე იოლია. ვაფრთხილებ ყველას, რომ ასეთი ფორმებით ჩვენ ვერ შეგვაკავებენ",** - ეს კომენტარი დავით გამყრელიძემ დარბევიდან ზუსტად ერთ საათში გააკეთა. მანვე მომხდარზე მთელი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დააკისრა და განაცხადა, რომ **"ასეთი ფორმებით ოპოზიციურ პარტიებსა და ქვეყანაში დემოკრატიულ ძალებს, მთელ საზოგადოებას ებრძვიან".**

მალე პარტიის ოფისში თავს იყრის ყველა ოპოზიციური პარტიის პირველი პირი, საღამოს კი ვრცელდება პარტიათა ერთობლივი განცხადება, რომელიც საკმაოდ მკვეთრია: თავდასხმა ფასდება, როგორც ტერორისტული აქტი, სრული პასუხისმგებლობა მომხდარზე კი საქართველოს პრეზიდენტს ეკისრება.

**"თავდასხმა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ავტომატური იარაღითა და ყუმბარმტყორცნებით აღჭურვილი რამდენიმე ათეული პირი, წარმოადგენს წინასწარ დაგეგმილ სპეცოპერაციას. ტერორისტების მოქმედება ღიად, ყოველგვარი შენიბღვის გარეშე, არ ტოვებს არანაირ ეჭვს, რომ ეს აქტი დაგეგმილია ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობითა და თანხმობით. ამ ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ თავდასხმა განხორციელებულია ქალაქის ცენტრში, იმ ზონაში, რომელიც განსაკუთრებით კონტროლდება სახელმწიფო დაცვის სამსახურის მიერ, როგორც ე.წ. "პრეზიდენტის მარშრუტი".**

**დღევანდელი აქტი წარმოადგენს პოლიტიკური პროცესების კრიმინალიზაციის აშკარა გამოხატულებას, რასაც საქართველოს სახელმწიფო სამსახურები ბოლო თვეების განმავლობაში თანამიმდევრულად ახორციელებდნენ. ნათელია, რომ ტერორისტებს აქვთ ხელშეუხებლობის სრულიად განსაკუთრებული გარანტიები, რაზეც მეტყველებს თავდასხმის ხაზგასმით თავხედური ფორმა. კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ამ აქტს აღვიქვამთ, როგორც მთელი დემოკრატიული ოპოზიციის დასჯისა და დაშინების კამპანიის დასაწყისს. სადაც და ვის მიერაც არ უნდა იყოს დაგეგმილი, ეს არის საქართველოში დემოკრატიის დათრგუნვის გეგმის ნაწილი და ამ გეგმის შემდგომი განვითარება უცილობლად მიგვიყვანს ჩვენი ქვეყნისთვის ტრაგიკულ შედეგამდე",** – ნათქვამია განცხადებაში.

საგულისხმოა, რომ გუშინდელ დღეს წინ უძღოდა პარტიაში შიდა ურთიერთობების დაძაბვა. არსებული პრობლემების შესახებ "ახლები" პირველად რამდენიმე დღის წინ ალაპარაკდნენ. უფრო კონკრეტულად კი - მას მერე, რაც, პარტიის ხელმძღვანელობის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიუხედავად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს ხმა ფრაქციის ორმა წევრმა – პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბათიაშვილმა და დოდო შელიამ მისცეს.

ირაკლი ბათიაშვილი არჩევანის წინაშე დადგა – ან პარტიიდან წასვლა, ან თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე უარის თქმა. ორი დღის წინ ბათიაშვილი არჩევანს აკეთებს და პარტიიდან მიდის. გადაწყვეტილება დოდო შელიამაც უნდა მიიღოს: მან ან უნდა ახსნას ბიუჯეტის მხარდაჭერის მიზეზები, ან პარტიიდან წავიდეს.



პოლიტიკური პარტიები დესტაბილიზაციის საფრთხეზე მიანიშნებენ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

დავით გამყრელიძის დარბეული კაბინეტი.

გუშინ კი პარტიის ოფისი დაარბიეს. შენობაში მყოფებმა ერთხმად აღიარეს, რომ თავმდამსხმელები ირაკლი ბათიაშვილის სახელს ახსენებდნენ. მათთან ნაცნობობას არც ირაკლი ბათიაშვილი უარყოფს და აცხადებს, რომ ისინი პარტიის განაწყენებული წევრები არიან, რომ მათ არანაირი იარაღი არ ჰქონიათ და ოფისში მისვლით პარტიაში მიმდინარე პროცესებისადმი პროტესტი გამოხატეს. ბათიაშვილი ასევე აცხადებს, რომ მან არაფერი იცოდა ამ ფაქტზე, ხოლო როცა გაიგო, თავად მივიდა ოფისში და თავდამსხმელები დააწყნარა.

სწორედ ამ დროს ერთი, საკმაოდ საინტერესო ფაქტიც მოხდა – თავდასხმიდან ზუსტად ათ წუთში თითქმის ყველა ტელევიზიისა და გაზეთის თანამშრომლებს მობილურებზე დაუკავშირდნენ. ჟურნალისტების ტელეფონების ეკრანებზე ერთი და იგივე ნომერი ფიქსირდება. ახალგაზრდა ქალი ყველა ჟურნალისტს სახელით მიმართავს და აცხადებს, რომ "ახალი მემარჯვენეების" ოფისიდან რეკავს. **"ირაკლი ბათიაშვილის მხარდამჭერები მოგვივარდნენ. შენობა, ფაქტობრივად, ალყაშია. გვცემენ, შეურაცხყოფას გვაყენებენ. იქნებ მოხვიდეთ... თავად ბატონმა ირაკლიმ ამის შესახებ არაფერი იცის, სახლში იმყოფება და ძალიან შეწუხებულია..."**

ოციოდე წუთში პარტიის შენობის წინ მედიის წარმომადგენლები იყრიან თავს. დაცვის თანამშრომლები კატეგორიულად უარყოფენ თავდასხმის ფაქტს და ჟურნალისტებს შენობაში შესვლის ნებას არ რთავენ. პარტიის ლიდერებთან გასაუბრება მხოლოდ ორმოცი წუთის შემდეგ ხდება შესაძლებელი. მოგვიანებით კი ირკვევა, რომ ჟურნალისტებთან პარტიის არც ერთ წევრს არ დაურეკავს.

**"ეს იყო წინასწარ დაგეგმილი სცენარი. ვინც რეკავდა, წინასწარ იცოდა, რამდენ ხანს უნდა გაჩერებულიყვნენ თავდამსხმელები ოფისში, როდის უნდა დაერეკა ჟურნალისტებთან, რათა ყველას გაეგო, თუ რა მოელით ურჩ პოლიტიკურ პარტიებს",** - აცხადებს დავით გამყრელიძე.

უდავოდ, ჟურნალისტებთან ასეთი ოპერატიული კავშირი აშკარად ერთ მიზანს ემსახურებოდა - თავდასხმა საკმაოდ დეტალურად ყოფილიყო გაშუქებული. თუმცა, "აქტივისტის" ვინაობის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ჩვენი ინფორმაციით, "მაგთის" ეს ნომერი თავდასხმიდან ზუსტად ერთ საათში გაიყიდა. მისი ახალი მფლობელი კი კატეგორიულად უარყოფს რაიმე კაშირს როგორც რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან, ისე მედიის წარმომადგენლებთან.

ჩვენი ინფორმაციით, ცენტრალურ ოფისზე თავდასხმის პარალელურად, ორი უცნობი პირი პარტიის მთაწმინდის რაიონულ ორგანიზაციასაც სწვევია, მაგრამ იქ ვითარება არ გართულებულა. როგორც ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, **"იქ მისულები პოლიციელები უნდა ყოფილიყვნენ".**

რაც შეეხება შენობაში შეჭრილთა ვინაობას: გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ პარტიის ოფისზე თავდასხმაში მონაწილეობდა პარტიის ერთ-ერთი რეგიონული ორგანიზაციის თავკაციც, რომელსაც ამ ბოლო დროს საკმაოდ დაეძაბა ურთიერთობა "ახლების" ლიდერებთან.

თუმცა, ეს მხოლოდ წინასწარი ინფორმაციაა. გამოძიებას მთაწმინდა-კრწანისის პოლიცია აწარმოებს.

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, ისინი ცალსახად აცხადებენ, რომ ირაკლი ბათიაშვილის პარტიიდან წასვლა თავდასხმის მხოლოდ საბაბი გახლდათ. რეალურად კი, მომხვდურებს სულ სხვა მიზანი ამოძრავებდათ – ეს ოპოზიციურ პარტიათა დაშინება და ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების ინსპირირება იყო.

**"ეს ზღვარია, ამის მიღმა სამოქალაქო დაპირისპირება და არჩევნებზე უარის თქმაა. ჩვენ ამას არ დავუშვებთ",** - ამბობს "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია.

**"ახალი არაფერი მომხდარა. საქართველოში კრიმინალური ვითარება უკიდურესად, შეგნებულად არის დაძაბული და მიმართულია იქითკენ, რომ ქვეყანაში საგანგებო ვითარება გამოცხადდეს. შევარდნაძემ თავისი თავი ამოწურა, ჯერ როგორც ცეკას პირველმა მდივანმა, მერე - როგორც სახელმწიფოს მეთაურმა და ახლა - როგორც პრეზიდენტმა. საპრეზიდენტო ვადებით მანიპულირება შევარდნაძეს აღარ შეუძლია. ახლა მას ყველაფერი სამოქალაქო ომისკენ, დესტაბილიზაციისკენ მიჰყავს",** - აცხადებს "აღორძინების" ერთ-ერთი ლიდერი ჯემალ გოგიტიძე.

**"ეს იყო წინასწარ დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია. ის, რაც მოხდა, არის ქვეყანაში არსებული ქაოსისა და თავაშვებულობის შესანიშნავი მაგალითი",** - ეს უკვე ვაჟა ლორთქიფანიძეა.

ოპოზიციური პარტიების ლიდერები ერთსულოვანნი არიან: **"მომხდარ ალმაშფოთებელ ფაქტზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას და პირადად საქართველოს პრეზიდენტს, როგორც საკონსტიტუციო წესრიგის გარანტს".** ისინი ითხოვენ, **"ოცდაოთხ საათში ყველა ტერორისტის დაკავებას და, რაც მთავარია, თავდასხმის ორგანიზატორთა თუ დამკვეთთა გამოვლენასა და კანონის მთელი სიმკაცრით დასჯას".**

მათივე თქმით, მომხდარი ფაქტის გამოძიების გაჭიანურება აღქმული იქნება, როგორც ხელისუფლების მიერ პირდაპირი ფიზიკური ტერორის გამოცხადება და სამოქალაქო ომის ინსპირირება.

■ ■ ■

"ახალი მემარჯვენეების" ოფისის დარბევასთან დაკავშირებით გუშინვე მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო. რამდენიმე საათში, დაზარალებული "ახლების" დაკითხვის შემდეგ, მომხდარ ფაქტზე საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა. ვინაიდან ოფისში მყოფი "მემარჯვენეები" ირწმუნებოდნენ, მართალია, არ გამოუყენებიათ, მაგრამ თავდამსხმელებს ავტომატები და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდათო, ცოტა ხანში საქმეში ახალი მუხლი – იარაღის უკანონო ტარებაც გაჩნდა.

გუშინვე გამოძიებამ დაკითხა როგორც დაზარალებული "მემარჯვენეები", ისე - ირაკლი ბათიაშვილიც, რომელიც ირწმუნებოდა, თავდამსხმელებს სახეზე ვიცნობ, მაგრამ გვარები არ ვიციო. რაც შეეხება იარაღს, "მემარჯვენეების" ყოფილი წევრის მტკიცებით, იგი არავის ჰქონია.

მოგვიანებით, 40-42-კაციან დამნაშავეთაგან სამართალდამცველებმა პირველი ეჭვმიტანილიც დააკავეს. თბილისში მცხოვრები, ახალციხელი კობა კვაჭანტირაძე, რომელიც, მისივე განცხადებით, პარტიის წევრია და ცენტრალურ ოფისში მეგობრებთან ერთად იმიტომ მისულა, რომ **"შიდა პარტიული დემოკრატიის რღვევა შეეჩერებინა".** როგორც სამართალდამცველები ირწმუნებიან, კვაჭანტირაძის დაკითხვის შემდეგ შესაძლებელი იქნება სხვა დამნაშავეთა დაკავებაც, ოღონდ როდის –არ აკონკრეტებენ.

## იარაღისა და ძალადობის ფაქტორი ქართულ პოლიტიკაში

პირველი გვერდიდან

და არაფერია გადაჭარბებული იმაში, რომ ქართულ პოლიტიკაში იარაღისა და ძალადობის ფაქტორის კულტივირება ყოველთვის ხელისუფლების სახელთან ასოცირდება. ამ ფაქტორს იყენებდა საქართველოს პირველი ეროვნული ხელისუფლება და მის შემდგომ მოსული ყველა მმართველი ძალა. ასევე ხელისუფლება ურიგებდა ინდულგენციებს მის ყოფილ მოწინააღმდეგეებს, კვლავ აიარაღებდა მათ, აძლევდა თავისუფალი გადაადგილების საშუალებას და შემდეგ, როგორც აკაკი ელიავასა და ბადრი ზარანდიას შემთხვევაში იყო, თავიდან იშორებდა მათ.

ძნელი სათქმელია, თუ რა "ჭეშმარიტ მიზანს" ემსახურებოდა "ახალი მემარჯვენეების" ოფისზე მომხდარი თავდასხმა, მაგრამ ალბათ, არ ცდება დავით გამყრელიძე, როცა ვარაუდობს, რომ არჩევნების მოახლოების კვალობაზე ძალადობის შემთხვევები კიდევ უფრო საშიშ მასშტაბებს მიიღებს.

მოსალოდნელი, კიდევ უფრო გლობალური დაპირისპირების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, 2002 წლის ზაფხულში რამდენიმე პოლიტიკურმა ორგანიზაციამ პოლიტიკაში იარაღის და ძალადობის წინააღმდეგ სპეციალურ დეკლარაციასაც მოაწერა ხელი. მაგრამ ფაქტია, რომ ეს დეკლარაცია ვერ იქცა ათვლის წერტილად ქართულ პოლიტიკაში და, თუ ბოლომდე გულწრფელნი ვიქნებით, ვერც იქცეოდა, რადგან ძალადობის მეთოდების გამოყენებას ხელისუფლება და გავლენიანი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა მიზანშეწონილობის პრინციპით უდგება - მას ებრძვის ვირტუალურად და არა მიზანმიმართულად, საკუთარი პარტიული ორგანიზაციის ფარგლებში.

## ედპ-ს ქუჩაში აგდებენ

მაია მოსიაშვილი
რუსთავიდან

რუსთავის მერიის გადაწყვეტილებით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რუსთავის ორგანიზაციამ სასწრაფოდ უნდა დაცალოს ქალაქის ცენტრში მდებარე ოფისი. შენობაში, რომელიც ედპ-ს იჯარით ჰქონდა აღებული, მერიის სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტი განთავსდება. ედპ-სა და მერიას შორის გაფორმებულ საიჯარო ხელშეკრულებას ვადა გასული წლის 31 დეკემბერს გაუვიდა. ქალაქის მთავრობა ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარს აცხადებს.

**"მე მაგათი პარტიული მოღვაწეობა არ მაინტერესებს, დაკავებული ოთახები სასწრაფოდ გაათავისუფლონ და დაუთმონ მის კანონიერ მფლობელებს,"** - განაცხადა რუსთავის მერმა ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარის, გოჩა ცეკვაშვილის ინფორმაციით, მერმა მას პირისპირ საუბრისას განუცხადა - ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, ოფისი უნდა დაცალოთო.

**"ჩვენი ორგანიზაცია უკვე 14 წელია აღნიშნულ შენობაშია განთავსებული და მის დაცლას არ ვაპირებთ. მით უფრო, რომ ამ ყველაფერს პოლიტიკური სარჩული აქვს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს მოხდა ჩვენი დაპირისპირება. მაშინ ჩვენ მერის საწინააღმდეგო პოზიცია დავიკავეთ და ახლა შედეგს ვიმკით. მერიის მხრიდან ასეთ ქმედებას ჩვენ პოლიტიკურ დევნად ვაფასებთ,"** - აცხადებს ცეკვაშვილი. მისი თქმით, გუშინ სადაო ოფისში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე გამოცხადდა და იქ მყოფ ედეპელებს განუცხადა, თუ შენობას ნებით არ დაცლით, ძალით დაგაცლევინებთო. ედპ-ს ოფისიდან გამოსახლება დღეს დილის 10 საათისთვის არის დაგეგმილი. **"ჩვენ ამ ოფისს არ დავთმობთ და სათანადო წინააღმდეგობას გავუწევთ ყველას, ვინც ეცდება ჩვენს გამოსახლებას,"** - აცხადებს რუსთაველი ედეპელების ლიდერი, რომელმაც უკვე ყველაფერი აცნობა პარტიის ცენტრალურ ხელმძღვანელობას.

## ბატონო ავთო, ჩართეთ ქალაქი

ელექტროენერგია რუსთაველებს კვლავაც სანატრელი აქვთ. კვირის მანძილზე მოსახლეობამ სამჯერ სცადა ქალაქის ქუჩების გადაკეტვა, თუმცა მოპიკეტეები მალევე დაიშალნენ. უშუქობას ყველაზე მეტად ქალაქის მთავრობის მაღალჩინოსნები აპროტესტებენ, თანაც ისე ხმამაღლა, რომ უბრალო მოქალაქეებს საყვედურის სათქმელად ენა ველარ მოუბრუნებიათ.

**"ჯორბენაძეს ვურეკავ, რომ ჩაართვევინოს ქალაქი. ის საქმის კურსში არ არის და ურეკავს სხვებს. ამის შემდეგ ქალაქი 5 მეგავატს იღებს. სახელმწიფო მინისტრი ამაზე მეტს რომ ვერ შეძლებს, კარგად გვქონია საქმე. ამის შემდეგ 5-ჯერ გამოირთო ქალაქი და 5-ჯერვე დავურეკე. ვუთხარი, რამდენჯერაც გამომრთავენ, იმდენჯერ დაგირეკავ-მეთქი,"** - ეს ციტატა რუსთავის მერს მერაბ ტყეშელაშვილს ეკუთვნის.

**"რამდენჯერაც ჩააქრობს ცენტრალური სადისპეჩერო რუსთავს, იმდენჯერ დავურეკავ ჯორბენაძეს. ცენტრალურ ხელისუფლებას კი ვთხოვ, რომ ქვეყნის შემადგენლობაში, თბილისის გარდა, სხვა ქალაქებიც აღიაროს. თუ ქვეყანაში ხელისუფლება არსებობს, ჩვენც მოგვაქციონ ყურადღება. თუ არა და სხვა დასკვნების გაკეთება დაგვჭირდება და სხვაგვარი პროტესტის ნიშნებიც შეიძლება დაფიქსირდეს. შუქის ასე ჩართვა-გამორთვით საკანში აწამებენ ხალხს,"** - აცხადებს ტყეშელაშვილი, რომელიც დღეს სახელმწიფო მინისტრთან დაგეგმილ სხდომაზე რეგიონების ენერგომომარაგების საკითხის განხილვას დაესწრება.

## გაეროს-ზე განაწყენებული პრეზიდენტი ერაყის დასჯას მხარს უჭერს

პირველი გვერდიდან

მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობაზე განაწყენებისა, საქართველოს პრეზიდენტს მაინც გაუგზავნია წერილი ჯორჯ ბუშისთვის და მხარდაჭერა აღუთქვამს სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

### სამხრეთ ოსეთზე და არა მხოლოდ...

როგორც გუშინდელ ბრიფინგზე გაირკვა, პრეზიდენტი ფლობს ინფორმაციას სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ჯავის რაიონში რამდენიმე ერთეული ჯავშანტექნიკის (მათ შორის, ტანკების) თავმოყრის თაობაზე.

მან დამსწრენი დაამშვიდა: საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთში "მასშტაბურ ოპერაციებს" არ გეგმავს, კერძოდ, იმის მსგავსს, რაც გასული წლის აგვისტოდან პანკისის ხეობაში ტარდება.

სამაგიეროდ, საქართველოს რეგულარული არმიის ქვედანაყოფებს ხევსურეთში, რუსეთის საზღვართან გადაისვრიან, რათა ჩეჩენ ბოევიკთა შემოჭრის შესაძლებლობა თავიდან იქნეს აცილებული.

### ვიწყებთ შეტევას კრიმინალებზე!

საქართველოს პრეზიდენტი კრიმინალებზე მასშტაბურ შეტევას გეგმავს:

**"ქართველი სამართალდამცველები არ აღმოჩნდნენ მზად კრიმინალთა იმ შემოტევისთვის, რომელიც გამოიწვია მეზობელი ქვეყნებიდან მათმა გამოდინებამ,"** - განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა და განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა შეკვეთილი მკვლელობების გამო. მისი ინფორმაციით, მომავალი კვირიდან სერიოზული შეტევა დაიწყება კრიმინალურ სამყაროზე და ეს საკითხი უშიშროების საბჭოს მომავალი სხდომის განხილვის საგანი გახდება.

### "მოქალაქეებს" - მხარდაჭერა, ასლანს - უარი!

"მოქალაქეთა" პარტიას, თურმე, არაფერი დაუშავებია. ასე მიაჩნია პარტიის საპატიო თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს და "მოქალაქეებს" არჩევნებში მხარდაჭერას ერთი ხმის მიცემით მაინც ჰპირდება.

ასლან აბაშიძეს კი, რომელმაც გასულ კვირას პარლამენტში სპეციალური ანუ თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ კანონპროექტი შეიტანა, ამ კანონპროექტის გაზიარებაზე ხმამაღლა და ოფიციალურად უარს უცხადებს პრეზიდენტი:

**"თქვენ იცით, რა არის თეზი?"** - განურისხდა შევარდნაძე ჟურნალისტს, **"თავისუფალ ზონას თავისუფალი ურთიერთობები მოჰყვება,"** - თქვა მან და იწინასწარმეტყველა, რომ ამ კანონპროექტს პარლამენტი არ დაამტკიცებს.



# ბერეზოვსკის წყლები

პირველი გვერდიდან

GG&MW-ის ვიცე-პრეზიდენტი ბადრი ჯაფარიძე FT-ს სტატიას მისი კომპანიის წინააღმდეგ მორიგი "შავი პიარ-კამპანიის" ნაწილად მიიჩნევს. **"Financial Times"-ის სტატიის არც ერთი სიტყვა სიმართლეს არ შეესაბამება. წილის შეძენის შესახებ ბერეზოვსკისგან შემოთავაზება არც გვქონია, არც ველოდებით და, პირდაპირ გეტყვით, ასეთ წინადადებას არც მივიღებთ. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ჩვენს კომპანიას მყიდველი "უპოვნეს". ზაფხულში ქართულ პრესაშიც იყო სტატიები იმის თაობაზე, რომ ხან "ნესტლემ" გვიყიდა, ხან კი – პატარკაციშვილმა. ხვალ, ალბათ, კიდევ ახალ სახელს მოძებნიან სკანდალის ასაგორებლად,"** – აცხადებს ჯაფარიძე. მისი თქმით, მსგავსი კამპანიის დაწყებას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: კომპანიის დასჯა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის წინააღმდეგ ხმის ამაღლებისთვის ან, უბრალოდ, ეს, შესაძლოა, კონკურენტებისთვის იყოს ხელსაყრელი.

ბერეზოვსკის მიერ GG&MW-ის წილის ყიდვასა და ამ გარიგებაში "სელფორდის" მონაწილეობას ასევე უარყოფს ამ უკანასკნელის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი გიორგი ბედინეიშვილიც. **"არ ვიცი, საიდან მოიტანეს ეს ფაქტები ჟურნალისტებმა, მაგრამ საკვირველია, რომ მსგავსი ინფორმაციის გამოჩენა FT-შიც კი შესაძლებელია,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ბედინეიშვილმა.

მიუხედავად ორივე მხარის უარყოფისა, FT-ში მოყვანილი ფაქტების დამადასტურებელი გარკვეული ინფორმაცია მაინც არსებობს. "საქართველოს ელექტროკავშირის" საქმეში შარშან ზაფხულში გამოჩენილმა "სელფორდმა" ღიად დააფიქსირა თავისი ინტერესი მიმზიდველი ქართული კომპანიების მიმართ. "სელფორდის" ხელმძღვანელს არც ის დაუმალავს, რომ მისი ერთ-ერთი უმთავრესი კლიენტი ბერეზოვსკის "მარჯვენა ხელად" აღიარებული ბადრი პატარკაციშვილია. FT-ს სტატიის მიხედვით: **"New World Value Fund-მა, რომელიც აღმოსავლელი და დასავლელი კლიენტების სახსრებს მართავს (გასულ ზაფხულს თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე "სელფორდის" პრეზიდენტმა იუჯინ ჯაფემ განაცხადა, რომ ამ ფონდის მოცულობა 500 მილიონი დოლარით განისაზღვრება. გ.კ.), "ბორჯომის" აქციები ამ კომპანიის წინა მეწილეებისგან - საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან (IFC), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან (EBRD) და ქართველი პარტნიორებისგან, კერძოდ, კომპანია Baring Vostok Partners-ისგან გამოისყიდა".**


ბორის ბერეზოვსკი

ბადრი ჯაფარიძე GG&MW-ში IFC-სა და EBRD-ის ერთობლივ სამომავლო სტრატეგიაზე საუბრობს, რომელიც GG&MW-ის აქციების საფონდო ბირჟაზე კოტირების დაწყებას ან, სტრატეგიულ პარტნიორებთან ერთად, მის საერთაშორისო კომპანიად გადაქცევას ითვალისწინებს. მაგრამ IFC-ი უკვე ადასტურებს, რომ მან კომპანიაში თავისი წილი გაყიდა. თუმცა, "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის" წარმომადგენელმა "24 საათს", კონფიდენციურობიდან გამომდინარე, არ დაუკონკრეტა, თუ როდის და ვის სასარგებლოდ გამოეთხოვა ეს საერთაშორისო ორგანიზაცია თავის წილს.

FT-ს ცნობით, განსხვავებული გეგმები აქვს GG&MW-ის ახალ მეწილეს ბორის ბერეზოვსკის. ბრიტანული გაზეთის ინფორმაციით: **"სელფორდი" ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონში მინერალური წყლების მწარმოებელი სხვადასხვა კომპანიების ჰოლდინგის შექმნას გეგმავს, რომელშიც "ბორჯომი" აშკარა ლიდერი იქნება. ბერეზოვსკიმ, რომელიც მოსკოვიდან 2000 წელს პუტინის რეჟიმთან უთანხმოების გამო გაიქცა, ამ გარიგების დეტალები დაადასტურა. მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ "ბორჯომისადმი" წმინდა კომერციული ინტერესი, ხოლო "სელფორდთან" შეზღუდული პირადი კავშირები აქვს".**

მნიშვნელოვანია, რომ სტატიაში მოყვანილია BP-ის წარმომადგენელთა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაში გავლის გადაწყვეტილების გამო გარემოსდამცველთა საპროტესტო აქციების გააქტიურება საეჭვოდ დაემთხვა GG&MW-ში წილის გაყიდვის პერიოდს. არაოფიციალური ინფორმაციით, "ბორჯომის" ბიზნესით შარშან სერიოზულად იყო დაინტერესებული შვეიცარული გიგანტი "ნესტლე", რომელიც წილის სანაცვლოდ GG&MW-ის პარტნიორებს 30 მილიონ დოლარს სთავაზობდა. მაგრამ "ნესტლეს" სწორედ ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაზე გატარების გადაწყვეტილებამ აღებინა ხელი განზრახვაზე. ასე რომ, თუ "Financial Times"-ში გამოქვეყნებულ სტატიაში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს შეესაბამება და გარიგების მონაწილე მხარეები მხოლოდ ხელსაყრელ დროს არჩევენ ამ საიდუმლოს გასახმაურებლად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ GG&MW-მა საკმაოდ მომგებიანად დაიცალა ხელი.

## „წინასაარჩევნოდ პრეზიდენტის ოჯახს სურს გააკონტროლოს სფეროები, საიდანაც ფული შემოდის"

*ერთ კვირაში "ეი-ი-ეს მტკვრის" კუთვნილი მეცხრე ენერგობლოკი, შესაძლოა, კვლავ გაჩერდეს. მოსალოდნელია ენერგეტიკული ობიექტების თანამშრომელთა გაფიცვების ახალი ტალღა და ენგურჰესზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შეფერხება. ამის მიზეზი ენერგოსაბითუმო ბაზრის 30 იანვარს დაყადაღებული სატრანსფერო ანგარიშია. საბითუმო ბაზარში ეჭვობენ, რომ მისი ანგარიშის დაყადაღებების სერიალს მიღმა ერთი და იმავე ფინანსური ჯგუფის ინტერესები იკვეთება. როგორც ანტიკორუფციული საბჭოს წევრი გივი თარგამაძე აცხადებს,* ***"ესაა ისევ და ისევ პრეზიდენტ შევარდნაძისა და მისი ოჯახის ინტერესები."***

მაია ურუშაძე

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ენერგოსაბითუმო ბაზრის ანგარიშს "ჩხორჰესისადმი" 210 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანების გამო დაადო ყადაღა. გუშინ საბითუმო ბაზრის გენერალურმა დირექტორმა ალბერტო სოლისმა, სემეკის წევრმა პაატა ვარდოსანიძემ, "ეი-ი-ეს მტკვრის" წარმომადგენლებმა - დევი კანდელაკმა და ირაკლი მელაშვილმა, აგრეთვე რიონჰესის დირექტორმა ვახტანგ ოყროშიძემ და ენგურჰესის დირექტორმა ლევან მებონიამ ხელისუფლებას საბითუმო ბაზრის ანგარიშის დაყადაღების ერთხელ და სამუდამოდ აკრძალვა ერთობლივად მოსთხოვეს. საბითუმო ბაზარი მიიჩნევს, რომ ანგარიშის გაყინვის გადაწყვეტილება ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსის შენარჩუნებას შეუშლის ხელს. **"უკვე მეორე თვეა, რაც ანგარიშს თვის ბოლოს, ანუ მაშინ გვიყადაღებენ, როცა ბაზარმა ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური ოპერაციები უნდა აწარმოოს,"** - აცხადებს საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი ალბერტო სოლისი. მისი ინფორმაციით, "საქართველოს გაერთიანებული ენერგოსისტემის" ზესტაფონის ენერგოქსელების თანამშრომლები, უხელფასობის გამო, უკვე გაიფიცნენ. თუ ხელფასებს ვერ მიიღებენ, გაიფიცება სხვა ენერგოობიექტების პერსონალიც. საბითუმო ბაზრის ანგარიშის გათავისუფლებას ითხოვენ რიონჰესის, გუმათჰესის, შაორჰესისა და ძევრულაჰესის თანამშრომლებიც, რომელთა ხელფასების გაცემაც უშუალოდ ბაზრის მიერ გადარიცხული თანხებით ხდება.

რიონჰესის დირექტორი მიიჩნევს, რომ საბითუმო ბაზრის ანგარიშიდან ენერგოობიექტებისათვის ფინანსური ნაკადის შეწყვეტა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს მთელ ენერგეტიკას. ენგურჰესის დირექტორის განმარტებით კი, დაყადაღების პრაქტიკა რომ მართებული ყოფილიყო და ის ენგურჰესს საბითუმო ბაზართან ურთიერთობაში გამოეყენებინა, ბაზრის ანგარიში, მინიმუმ, ხუთ წელიწადს უნდა ყოფილიყო გაყინული. **"ენგურჰესს სასწრაფოდ აქვს გასასტუმრებელი ევრობანკის პროექტის თანადაფინანსების თანხა. ამ პროექტის ფარგლებში ენგურჰესზე გადაუდებელი, ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს,"** – აღნიშნა მან და დასძინა, რომ ბაზრის ანგარიშის დაყადაღება, განსაკუთრებით, ენერგოკრიზისის პერიოდში, ყოვლად გაუმართლებელია.

და ბოლოს: ბუნებრივი გაზის შესაძენად განკუთვნილი თანხის საბითუმო ბაზრის ანგარიშზე გაყინვამ, შესაძლოა, მეცხრე ენერგობლოკის გაჩერებაც გამოიწვიოს. **"ანგარიშის დაყადაღება მაშინ მოხდა, როცა ბაზარს "ეი-ი-ეს მტკვრისთვის" ბუნებრივი აირის შესაძენად 300 ათასი ლარი უნდა გადაერიცხა,"** – ჩივის "ეი-ი-ეს თელასის" ლობისტი ირაკლი მელაშვილი. **"ეი-ი-ეს მტკვარს" არა აქვს თანხა, რომ გაზი თავისით შეიძინოს, არადა, მეცხრე ბლოკს მხოლოდ ერთი კვირის სამყოფი გაზილა დარჩა,"** – შიშობენ საბითუმო ბაზრისა და "ეი-ი-ესის" წარმომადგენლები და ბაზრის ანგარიშის დაყადაღების პრაქტიკის აკრძალვას ითხოვენ.

გუშინ ამ საკითხზე "ეი-ი-ეს თელასის" კომერციული მენეჯერი გალიმ ალნიაზოვი სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძესაც ესაუბრა და ბაზრისთვის ყადაღის ახსნა სთხოვა.

უკვე აშკარა ხდება, რომ საბითუმო ბაზართან ყადაღობანას თამაში კარგს არაფერს მოიტანს. **"მას შემდეგ, რაც საბითუმო ბაზარს "იბედროლა" მართავს, მისი ანგარიში თითქმის სულ დაყადაღებულია,"** – ჩივის ალბერტო სოლისი და შველას საკანონმდებლო ხელისუფლებას სთხოვს.

საბითუმო ბაზარში ეჭვობენ, რომ მისი ანგარიშის დაყადაღებების სერიალს მიღმა ერთი და იმავე ფინანსური ჯგუფის ინტერესები იკვეთება. ცოტა ხნის წინ ბაზრის ანგარიში "თბილსრესმშენისა" და "ნაბათის" მოთხოვნების გამო დააყადაღეს. საბითუმო ბაზარში მიიჩნევენ, რომ ამჟამინდელი მოსარჩელე "ჩხორჰესის" უკან იგივე ინტერესები დგას, რაც "თბილსრესმშენისა" და "ნაბათის" შემთხვევაში.

სემეკის წევრი პაატა ვარდოსანიძე აცხადებს, რომ **"ეს არის ჯგუფი, რომელიც ანგრევს საქართველოს ენერგეტიკას, რადგან დღეს ენერგობაზრის დაყადაღება მთელი ენერგეტიკის ჩაკვლას ნიშნავს. მე ვერ გეტყვით, ვინ არიან ისინი და რა სურთ, მაგრამ ჩანს, რომ ეს ყველაფერი ენერგეტიკის სასიკეთოდ არ არის მიმართული."**

მაინც, საინტერესოა, რა დგას ყოველივე ამის უკან და ვისი სახელის ხსენებას ერიდებიან სემეკსა და საბითუმო ბაზარში? როგორც ანტიკორუფციული საბჭოს წევრი გივი თარგამაძე აცხადებს, **"ესაა ისევ და ისევ პრეზიდენტ შევარდნაძისა და მისი ოჯახის ინტერესები."** საქმე ის გახლავთ, რომ სამთავრობო კულუარებში გაჩაღებულია "ანტიეიიესური" კამპანია, რასაც შევარდნაძის გუშინდელი განცხადებაც მოწმობს: **"ეი-ი-ესის" საქართველოდან წასვლის შესახებ გავრცელებული ხმები არცთუ უსაფუძვლო აღმოჩნდა,"** - განაცხადა მან და "ეი-ი-ესის" ბრაზილიიდან წასვლა დაიმოწმა. ამასობაში კი თავად "ეი-ი-ეს კორპორაცია" საქართველოდან წასვლის შესაძლებლობას კატეგორიულად უარყოფს.

იმავე "ანტიეიიესური" კამპანიის სცენარის ლოგიკური გაგრძელებაა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ტარიფის დაკლების შესახებ, რომელიც ლეიბორისტების ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა თავისებურად "თარგმნა" და ხალხს დენის საფასურის გადახდისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა. სემეკმა კი, თამამად შეიძლება ითქვას, პირდაპირ მიიღო პოლიტიკური დავალება, შეევიწროვებინა ამერიკული კომპანია.

გივი თარგამაძე მიიჩნევს, რომ, საბითუმო ბაზრის მმართველი კომპანიის "იბედროლას", თბილისის ელექტროგამანაწილებელი ქსელის უმსხვილესი ინვესტორის "ეი-ი-ესისა" და ქვეყნის ელექტროქსელების მმართველის "ი-ეს-ბი-აის" შევიწროებით, ხელისუფლება ენერგოსექტორიდან დასავლურ ინვესტიციებს დევნის. **"პირადად პრეზიდენტია დაინტერესებული, "ეი-ი-ესის" მიერ გამართული ენერგოსისტემა მოშალოს. ხდება სემეკის შევიწროებაც. მიზანი კი ერთია: წინასაარჩევნოდ პრეზიდენტსა და მის ოჯახს სურთ, გააკონტროლონ სფეროები, საიდანაც სერიოზული ფული შემოდის. "ეი-ი-ესი" თუ წავიდა, თელასის მართვა ისევ სამინისტროებმა და პრეზიდენტისადმი დაქვემდებარებულმა სტრუქტურებმა უნდა განახორციელონ. შედეგად, ისინი გააკონტროლებენ "თელასის" მიერ ამოღებულ თანხებსაც,"** – მიიჩნევს ანტიკორუფციული საბჭოს წევრი. სხვათა შორის, "ეი-ი-ეს თელასი" ყოველწლიურად 140 მილიონ ლარს იღებს მოსახლეობისგან. ეს კი "მოქალაქეთა კავშირისთვის," ვისი ლობირებითაც, როგორც ამბობენ, ხდება ენერგოანგარიშების დაყადაღება, არცთუ ისე ცუდი ფულია წინასაარჩევნოდ.

### შესყიდვების სპეციალისტი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენის ექსპლოატაციის და მშენებლობის პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს შესყიდვების სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად. შესყიდვების სპეციალისტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**

შესყიდვების სპეციალისტის პასუხისმგებლობის სფეროში შედის საქონლისა და მასალების შესყიდვის კონტრაქტების გაფორმება, ხოლო ძირითად მოვალეობას შეადგენს შესყიდვების ზოგადი ადმინისტრირება. შესყიდვების სპეციალისტს მოეთხოვება უზრუნველყოს, რომ კომპანია "ბიტ-პი"-ს სახელით განხორციელებული შესყიდვები შესრულდეს ეთიკური ნორმების სრული დაცვით, ჯანსაღი ბიზნეს-პრაქტიკის გამოყენებით, ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, საიმედოობის, უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოს დაცვის, აგრეთვე შესაბამისი წესებისა და ნორმების მოთხოვნების შესრულების პირობებში, რომელიც ჩამოყალიბებულია "ბი-პი"-ს ბროშურაში - "ჩვენი პრინციპები" ("What We Stand For").

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

შესყიდვებთან დაკავშირებული კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:
მოთხოვნების დამუშავება მარაგების რეგულარული, არასასწრაფო შესყიდვის თაობაზე. კონკრეტულ ფუნქციებში შედის:
საერთაშორისო და ადგილობრივი მომწოდებლების მოძებნა, სატენდერო სიის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში) და ფასიანი წინადადებების მოთხოვნის გამოქვეყნება;
ფასიანი წინადადებების მიღება და შეფასება, კონტრაქტის გაფორმების რეკომენდაციის გაცემა;
ძირითადი "მიწოდების შეკვეთების" მომზადება;
შეკვეთის გაფორმების შემდგომი მენეჯმენტი, მათ შორის, ტექნიკური და კომერციული საკითხების გადაწყვეტის ოპერატიული კოორდინირება;
"მიწოდების შეკვეთების" და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.
კონტრაქტების გაფორმების ნაწილში კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:
"მომსახურების შეკვეთის" მომზადება რეგულარულ, არასასწრაფო მომსახურებაზე;
ჩარჩო-ხელშეკრულებების მომზადება;
სხვა ძირითადი კონტრაქტების მომზადება;
კონტრაქტის გაფორმების შემდგომი ადმინისტრირება;
კონტრაქტების და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.
პასუხისმგებლობათა სფეროში შედის ისეთი საკითხების უზრუნველყოფა, როგორიცაა:
დამკვეთის მოთხოვნების და გრაფიკების დაცვა;
პროფესიული და ეთიკური ბიზნეს-პრაქტიკის წესების მუდმივად დაცვა;
დამოწმების და შესაბამისი სახელმძღვანელოებით დაწესებული კონტროლის სხვა მექანიზმების შესრულება;
ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, საიმედოობის, უსაფრთხოების ტექნიკის და საქართველოს სხვა შესაბამისი კანონმდებლობის და ნორმატივების სათანადოდ დაცვა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში;
შემკვეთის ინიციატორის ინფორმირება შეკვეთასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
საჭიროების შემთხვევაში, უფრო გამოცდილი კოლეგებისაგან კონსულტაციის მიღება.

**გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლების დიპლომი. აუცილებელია კონტრაქტების და შესყიდვების სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 2 წლის სტაჟი. უაღრესად სასურველია ინგლისურად ზეპირმეტყველების და გამართული წერითი მეტყველების უნარი. სასურველია რუსული ენის თავისუფლად ფლობის უნარი. ადამიანებზე ზემოქმედების დადებითი უნარის ფლობა აუცილებელია. უპირატესობა ენიჭება დასავლურ ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილებას. კანდიდატს მოეთხოვება დატვირთული სამუშაოსთვის თავის გართმევის უნარი - სამუშაოს ხარისხის, სიზუსტის და დროის ჩარჩოების დაცვის პირობებში.
აუცილებელია კომპიუტერული პროგრამების - Microsoft Word და Excel - სრულყოფილი ფლობა და კომპიუტერთან მუშაობის ჩირითადი უნარ-ჩვევები.
კანდიდატისთვის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევები, ზოგადად, მდგომარეობს შემდეგში:
შესყიდვების ძირითადი წესების გამართული ცოდნა სამუშაო დონეზე;
ამ ცოდნის გამოყენებით, რეგულარულ შეკვეთებთან დაკავშირებული შესყიდვების დოკუმენტების მომზადება და გამოცემა;
შეკვეთების დოკუმენტების ეფექტური განკარგვა და შეკვეთის შემდგომი ოპერაციების შესრულება, მინიმალური ზედამხედველობის პირობებში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადა 2003 წლის 12 თებერვალი, ოთხშაბათი, 18 საათი.
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"**
**"ბი-პი საქართველო"**
**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**

### ექსპლოატაციის ტექნიკოსი

კომპანია "ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიან სი) ლიმიტედ" (საქართველო) BP Exploration (Caspian Sea) LTD. Georgia) აცხადებს კონკურსს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლოატაციის ნაწილში ექსპლოატაციის ტექნიკოსის ვაკანსიის დასაკავებლად.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ოფიციალურ სწავლებას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სრულ ამოქმედებამდე, და ორიენტაციის პროგრამის გავლის შემდეგ ჩაირიცხებიან მილსადენის ექსპლოატაციის და ტექმომსახურების ჯგუფში, რომელიც უზრუნველყოფს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის და მისი ობიექტების გამართულ მუშაობას და მექანიკურ მთლიანობას.

**ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):**

- საექსპლოატაციო ტექმომსახურების პროცედურების ცოდნის დემონსტრირება;
- მილსადენის ტექმომსახურების ყველა საჭირო პროცესის, პროცედურის და ვალდებულების სათანადოდ შესრულება;
- კომპანიის პოლიტიკის წესების დაცვა, ვალდებულებების და მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნების შესრულება;
- "ადამიანთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის" (HSE) პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირება:
  - უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის განხორციელება სამუშაო ობიექტზე;
  - "მუშაობის ნებართვის" სისტემის და ობიექტის უსაფრთხოების ჟურნალის შევსების ყველა წესის შესრულება;
  - HSE-ს და "წარმოების" სფეროებში პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა.
- პროფილაქტიკური მიდგომა პრობლემების მოგვარებისადმი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის მზადყოფნა;
- მზადყოფნა მოშორებული ადგილმდებარეობის მქონე ობიექტებზე მუშაობისათვის;
- აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარის გამოვლენა ობიექტზე მომუშავე პერსონალთან და მილსადენის საოპერაციო ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას;
- აუცილებელია გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლების ათვისების უნარის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა მილსადენის / ობიექტების გამართული მუშაობის მართვის პროცესში;
- სამუშაოს დაგეგმვის და დროის განაწილების ჩამოყალიბებული უნარი.

**კონკრეტული მოვალეობები განისაზღვრება გამოსაცდელი პერიოდის გასვლის შემდეგ.**

**მუშაობის გამოცდილება და განათლება:**
**კანდიდატს უნდა გააჩნდეს:**

- შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების დიპლომი ტექნიკური სპეციალობით (ინჟინერი);
- საწარმოო დაწესებულებებში, მაგ., ელექტრო, ხელსაწყოების, მექანიკურ საწარმოებში მუშაობის საკმარისი გამოცდილება;
- ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერითი მეტყველების უნარი და ენის უკეთ შესწავლის სურვილი;
- ავტომანქანის მართვის უფლება (მინიმუმ "B" კატეგორია);
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 14 თებერვალი, პარასკევი, 18 საათი.
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"**
**"ბი-პი საქართველო", საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**

# სილვიო ბერლუსკონი პუტინის გადარწმუნებას ცდილობს

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ მოსკოვს ხანმოკლე სამუშაო ვიზიტით იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი ეწვია. ის კრემლში რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს შეხვდა. ორი ქვეყნის ლიდერებმა ორმხრივი თანამშრომლობის, პირველ რიგში კი, სავაჭრო-ეკონომიკური საკითხები განიხილეს. მოლაპარაკებების დროს მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს საერთაშორისო პოლიტიკურ თემებს, მათ შორის, ერაყის ირგვლივ შექმნილ ვითარებას. ამ შეხვედრის შედეგების დეტალები, კერძოდ, შეძლო თუ არა სილვიო ბერლუსკონიმ რუსეთის პრეზიდენტის დარწმუნება აშშ-სადმი მხარდაჭერის აუცილებლობაში, უკვე დღეისათვის გახდება ცნობილი.*



*სილვიო ბერლუსკონი და ვლადიმერ პუტინი*

ეს მოსკოვში სილვიო ბერლუსკონის რიგით მეოთხე, და ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ვიზიტია, რადგანაც ორი ლიდერის პირისპირ და დახურულ კარს მიღმა შეხვედრა ერაყის კრიზისის ყველაზე დაძაბულ და გადამწყვეტ მომენტს ემთხვევა. ბერლუსკონის მოსკოვში ვიზიტს ფართოდ აშუქებს იტალიური გამოცემა "კორიერე დე ლა სერა." გაზეთის თქმით, დღეს ორი ქვეყნის ლიდერები, რომლებსაც ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ, დაპირისპირებულ ბანაკებში აღმოჩნდნენ. ბერლუსკონი, რომელიც, მისივე სიტყვებით, აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის შუამავლის როლს ასრულებს, პროამერიკული ბლოკის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ამ ბლოკში, იტალიასთან ერთად, შედიან დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები. პრეზიდენტი პუტინი კი, საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერებთან ერთად, ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ამდენად, ბერლუსკონის, რომელმაც პუტინს აშშ-ს პრეზიდენტის დანაბარები გადასცა, მეტად რთული დავალების შესრულება მოუწია. მისი და პუტინის მოლარაკებებისათვის პროტოკოლით 6 საათი იყო გათვალისწინებული.

ამ თემაზე "კორიერე დე ლა სერაში" გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, ბერლუსკონი, რომელმაც ლონდონში და ვაშინგტონში გასულ კვირას ბრიტანეთისა და აშშ-ს ლიდერებთან შეხვედრები გამართა, არ კარგავს იმედს, რომ **"ევროპისა და ამერიკის საერთო მიზნის მისაღწევად გაერთიანება საბოლოოდ მაინც მოხერხდება".** მისი თქმით, პირველ რიგში, ეს მიზანი ის გახლავთ, რომ აიძულონ სადამ ჰუსეინი, აღიაროს, თუ სად გადამალა მასობრივი განადგურების იარაღი, რომელიც მას ნამდვილად გააჩნდა და რომელმაც, შესაძლოა, "ალ-ქაიდას" და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების არსენალი შეავსოს. გარდა ამისა, დასავლეთი უნდა შეეცადოს, ერაყის ლიდერი და მისი უახლოესი გარემოცვა დაარწმუნოს, რომ ისინი გადადგნენ და რომელიმე ქვეყანაში მოძებნონ პოლიტიკური თავშესაფარი. როგორც ცნობილია, ამ იდეას აშშ-ც ეთანხმება და ასეთ შემთხვევაში ვაშინგტონი სადამ ჰუსეინსა და მის ამალას ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევს. **"ტერორიზმი - საერთო პრობლემაა და მარტო ამერიკელებს არ ეხებათ. ეს არ არის მემარჯვენეთა ან მემარცხენეთა პრობლემა, ეს ყველა ქვეყნის პრობლემას წარმოადგენს,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბერლუსკონიმ გუშინ, მოსკოვში გამგზავრების წინ. შეძლო თუ არა სკანდალურმა პოლიტიკოსმა და ვაშინგტონის მოკავშირემ სილვიო ბერლუსკონიმ რუსეთის პრეზიდენტის დარწმუნება, დღეს გახდება ცნობილი.

*"ტერორიზმი - საერთო პრობლემაა და მარტო ამერიკელებს არ ეხებათ."*

პარალელურად კი ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სადამ ჰუსეინმა, შესაძლოა, გაერო-ს სამხედრო ინსპექტორები მძევლებად აიყვანოს. **"თუ აშშ-ს ხელმძღვანელობით შექმნილი კოალიცია ერაყში სამხედრო კამპანიას დაიწყებს, ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი გაერო-სა და სამხედრო ინსპექტორების მძევლად აყვანას და მათ "ცოცხალ ფარად" გამოყენებას გეგმავს,"** - იუწყება "Gulf News"-ის გუშინდელი გამოცემა, რომლის ინტერნეტ-გვერდზე ნათქვამია, რომ მათ ეს ინფორმაცია ერაყის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან მოიპოვეს. გამოცემის ცნობით, ინსპექტორების მძევლად აყვანის ტაქტიკა, სადამ ჰუსეინის მთავრობის ბოლო საიდუმლო თათბირზე განიხილეს. როგორც გამოცემა იუწყება, ერაყელ სამხედროებს უკვე გადაეცათ იმ ინსპექტორების სია, რომლებიც ომის დაწყების შემთხვევაში მძევლად უნდა აიყვანონ. ამის თაობაზე ლონდონში გამომავალ გაზეთს "ალ შარქ ალ აუსათს" ერაყის ხელისუფლების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განუცხადა.

ინსპექტორების მძევლად აყვანის გარდა, ერაყის ვიცე-პრეზიდენტის ტახა იასირ რამადანის განცხადებით, ბაღდადი ამერიკელების წინააღმდეგ ტერორისტი-კამიკაძეების გამოყენებასაც გეგმავს. "Gulf News"-ის ცნობით, ერაყის მთავრობა დარწმუნებულია, რომ გაერო-ს სამხედრო ინსპექტორები მალე გამოიტანენ დასკვნას იმის თაობაზე, რომ ერაყმა უარი განაცხადა, მათთვის წარედგინა ყოვლისმომცველი ინფორმაცია ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის დამუშავების შესახებ. გამოცემა ასევე ვარაუდობს, რომ გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მძევლად აყვანის ოპერაციას სადამ ჰუსეინის სპეციალური დაცვის ჯგუფი განახორციელებს და მას თავად ჰუსეინის ვაჟი - ქუსაი უხელმძღვანელებს. აღსანიშნავია, რომ 1991 წელს, სპარსეთის ყურეში ომის დროს ჰუსეინმა მძევლად ასობით ამერიკელი აიყვანა და ამით სამხედრო კონფლიქტის შეჩერებას შეეცადა, მაგრამ ამას შედეგი არ გამოუღია. მძევლები უდანაკარგოდ გაათავისუფლეს.

ამდენად, ერაყის კრიზისი ბოლო ფაზაშია შესული. აშშ და მისი მოკავშირეები ომის მოწინააღმდეგე ქვეყნების ლიდერების გადარწმუნებასა და მათ სამხედრო კამპანიაში ჩართვას ცდილობენ, ხოლო ჰუსეინის რეჟიმი კი კონტრზომების განხორციელებაზე ფიქრობს.

# ინდოეთის მზარდი სამხედრო ყოფნა ცენტრალურ აზიაში

სტივენ ბლანკი

„ცენტრალური აზია-კავკასიის ანალიტიკოსი„

ინდოეთის მზარდი სამხედრო ყოფნა ცენტრალურ აზიასა და მის მახლობელ ტერიტორიებზე გარკვეულ ტენდენციაზე მიუთითებს, კერძოდ, ინდოეთის მზარდ ეკონომიკურ და სამხედრო ძალაზე, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ცენტრალურ აზიაში ექსპორტის გაფართოების, ახალი ენერგოწყაროების ძიებისა და ადგილობრივი თავდაცვითი საშუალებების განვითარების შედეგია. ჩამოთვლილი ფაქტორები, ინდოეთის მმართველი წრეების მიერ აღქმულ საფრთხეებთან ერთად, ქმნის იმის მოტივაციას, რომ დელიმ სამხედრო ძალის კონცენტრირება ცენტრალური აზიის მიმართულებით მოახდინოს. ინდოეთის მოქმედება ადასტურებს, რომ ცენტრალური აზიის უსაფრთხოების საკითხები აზიის სხვა რეგიონებთან, განსაკუთრებით კი, სამხრეთ აზიასთან არის გადაჯაჭვული.

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ინდოელმა ანალიტიკოსებმა, უშუალოდ პაკისტანიდან მომავალი ისლამური საფრთხისა და ქაშმირში დაპირისპირების გარდა, შეამჩნიეს ჩინეთისა და პაკისტანის მზარდი დაინტერესება გავლენის გასაზრდელად ცენტრალურ აზიაში, რათა ინდოეთისათვის "ალყა შემოერტყათ," პოლიტიკური, სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ ინდოეთი ავღანეთში ყარზაის ხელისუფლების პირველი და ძალზე აქტიური მხარდამჭერი იყო. ახალ მთავრობაში ჩრდილოეთის ალიანსიდან დელის ძველი მოკავშირეები მრავლად იყვნენ წარმოდგენილები. ამავდროულად, დელიმ მოახერხა დუშანბესთან მოლაპარაკება და ტაჯიკეთში ავიაბაზის გახსნა. ამან ინდოეთს პაკისტანის მიერ შექმნილი მრავალი დაბრკოლების გადალახვისა და რეგიონზე სამხედრო გავლენის გაზრდის საშუალება მისცა. ინდოეთმა ჩრდილოეთის ალიანსთან ძველი კავშირები გამოიყენა და საკუთარი საკონსულოები ჯალალაბადსა და ყანდაღარში ზუსტად პაკისტანის საზღვრის გასწვრივ გახსნა. აღნიშნული საკონსულოები აშკარად ჩართულები არიან მათთვის უჩვეულო საქმიანობაში და ცხადია, რომ მათ მიზანს პაკისტანის დაბალანსება წარმოადგენს.

მართალია, ტაჯიკეთში არსებული ავიაბაზის შესახებ ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი, მაგრამ, სხვადასხვა მონაცემებით, იგი შესაძლოა, გამოიყენონ ცენტრალური აზიის შეიარაღებული ჯგუფების წინააღმდეგ, მეგობრული მთავრობების მხარდასაჭერად ან პაკისტანის წინააღმდეგ. ვინაიდან ეს ავიაბაზაა, მის დასაცავად სახმელეთო ძალები გახდება საჭირო. ამიტომ დელი, სავარაუდოდ, მალე ტაჯიკეთში გააგზავნის სამხედრო დანაყოფებს. გამომდინარე იქიდან, რომ ინდოეთის თვითმფრინავებმა ცენტრალური აზიის ბაზამდე მისაღწევად ირანის და უზბეკეთის თავზე უნდა გადაიფრინონ, ამ პროექტში უზბეკეთიც უნდა ჩაერთოს. ტაშკენტმა ინდურ თვითმფრინავებს თავისი საჰაერო სივრცის გამოყენების უფლება უნდა მისცეს. ინდოელი ანალიტიკოსები ტაშკენტს ბუნებრივ მოკავშირეებად განიხილავენ, რადგან მათ საერთო საფრთხეები ემუქრებათ, ტერორიზმის, სეპარატიზმის, ისლამური ექსტრემიზმისა და ნარკოტიკების ვაჭრობის სახით. სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლისა და სამხედრო დანაყოფების მომზადების სფეროში უზბეკეთმა თანდათანობით გააფართოვა თანამშრომლობა ინდოეთთან. ამდენად, ინდოეთის ბაზა ტაჯიკეთში, სავარაუდოდ, არც ერთადერთი იქნება და არც ასეთი მომცრო დარჩება. ინდოეთი ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისათვის საკუთარი შეიარაღების მიყიდვასაც გეგმავს. მსგავსი სურვილი აქვს პაკისტანსაც. ორივე მათგანი იარაღის საერთაშორისო ბაზარზე შეღწევას და საექსპორტო ბაზრების მოძიებას ცდილობს. ინდოეთი აგრეთვე მზად არის, ცენტრალური აზიის არმიებს დახმარება გაუწიოს და გაწვრთნას; დელის მთავარი მიზანია, მის მიერ გამოშვებული შეიარაღების მყიდველები მოძებნოს.

ინდოეთს უფრო შორს მიმავალი მიზნებიც აქვს. ის მცირე შეიარაღების ბაზარზე ჩინეთის მეტოქეა და სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ბაზარზე დამკვიდრებას აპირებს, სადაც პეკინი აშკარად ცდილობს საკუთარი გავლენის გაზრდას. შესაბამისად, ინდოეთმა ჩინეთს იმავე კატეგორიის შეიარაღების ფასებსა და ხარისხში კონკურენცია უნდა გაუწიოს.

ინდოეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მცირე შეიარაღებას, სასაზღვრო გემებს, შაშხანებს, სატვირთო მანქანებსა და ავიამზიდების ნაწილებს ფასდაკლებითა და უკეთესი აღჭურვილობით ყიდის. გარდა ამისა, შემდეგი ათწლეულის განმავლობაში ინდოეთი იმ ტიპის შეიარაღების წარმოებას აპირებს, რომელსაც ჩინეთი ვერ ამზადებს, მათ შორის, საჰაერო თავდაცვის გემებს. სუბსიდიების, სესხებისა და მაღალი ტექნოლოგიების წყალობით, დელი იმედოვნებს, რომ რეგიონში შეიარაღების მთავარ მიმწოდებელს - ჩინეთს ჩაანაცვლებს. აგრეთვე, გასათვალისწინებელია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთის მიმართ არსებული შიში, რაც ინდოეთს გაცილებით უფრო მიმზიდველ პარტნიორად აქცევს.

ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ცენტრალურმა აზიამ უახლოეს მომავალში სამხრეთაზიურ კრიზისებში მონაწილეობისაგან თავის დაღწევა შეძლოს, ვერც სამხრეთ აზია აიცილებს ცენტრალურ აზიაში მიმდინარე მოვლენებში ჩართვას. ამის გარდა, ინდოეთის გაზრდილი აქტიურობა ჩინეთისა და პაკისტანის ალიანსს კიდევ უფრო გაამყარებს. ამდენად, 11 სექტემბრის შემდეგ წარმოქმნილ კიდევ ერთ ტენდენციას - ცენტრალურ და სამხრეთ აზიაში ისედაც ჩახლართული გეოსტრატეგიული ვითარების გართულება წარმოადგენს. როგორც ჩანს, არც არავინ იცის და არც არავის სურს, ეს ხლართები გახსნას.

# ყირგიზეთის პრეზიდენტმა რეფერენდუმი მოიგო

ყირგიზეთის პრეზიდენტმა ასკარ აკაევმა კვირას გამართულ რეფერენდუმში დამაჯერებელი პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ, უცხოელი დამკვირვებლების თქმით, ხმები გააყალბეს, ხოლო ოპოზიციამ პირობა დადო, რომ ბრძოლას გააგრძელებს.

58 წლის ყოფილმა ფიზიკოსმა აკაევმა, რომელიც 1990 წლიდან მართავს ცენტრალური აზიის ამ გაღატაკებულ რესპუბლიკას, კვირას რეფერენდუმი ჩაატარა, რომელზეც მოქალაქეებს ორ შეკითხვაზე უნდა გაეცათ პასუხი: 1. უნდა მიიღოს თუ არა ყირგიზეთმა ახალი კონსტიტუცია? 2. უნდა დარჩეს თუ არა აკაევი ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად 2005 წლის დეკემბრამდე, რათა დამტკიცებული კონსტიტუციური შესწორებები განახორციელოს?

"ეს კენჭისყრა გვიჩვენებს, რომ უმრავლესობა თანახმაა, ახალი კონსტიტუცია მიიღოს და მხარს უჭერს პრეზიდენტს", - განაცხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სულეიმან იმანბაიევმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

იმანბაევის თქმით, ოფიციალური მონაცემების თანახმად, ამომრჩეველთა 75.5 პროცენტმა ახალი კონსტიტუციის ტექსტს მხარი დაუჭირა, რაც, აკაევის თქმით, იმას მოასწავებს, რომ ახლა პარლამენტი და მთავრობა მნიშვნელოვან ბერკეტებს შეიძენენ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით, ამომრჩეველთა 78.7 პროცენტმა ვეტერან ლიდერს ნდობა გამოუცხადა, ამომრჩეველთა აქტიურობამ კი 86 პროცენტი შეადგინა.

ცენტრალური აზიის ხუთმილიონიან სახელმწიფოში, გასული წლის მარტიდან, პოლიტიკური ვითარება ძალზე დაძაბულია. მარტში პოლიციასთან შეტაკებისას ხუთი ოპოზიციონერი დაიღუპა.

დამნაშავეების დასჯის მოთხოვნა მალე პრეზიდენტის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებში გადაიზარდა.

გასული წლის მაისში ოპოზიციამ კოალიციის შექმნის თაობაზე გაკეთებული წინადადება უარყო მას შემდეგ, რაც მთავრობა გადადგა. მოგვიანებით მათ უარი თქვეს აკაევის შემოთავაზებაზეც, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი ერთად შეემუშავებინათ. ასკარ აკაევის მტკიცებით, ახალი პროექტი პრეზიდენტის ძალაუფლებას ზღუდავს და მასზე საპარლამენტო კონტროლს აძლიერებს.

ოპოზიციის მტკიცებით, ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტი ვეტოს უფლებას მაინც ინარჩუნებს და პარლამენტს კვლავაც გააკონტროლებს.

აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას ვაშინგტონმა ყირგიზეთს მოუწოდა, კენჭისყრა გადაედო, რადგან, ამერიკელთა განცხადებით, მოსახლეობას არ ჰქონდა დრო, კარგად გაცნობოდა შემოთავაზებულ ცვლილებებს, რომლებიც, რეალურად, პრეზიდენტის ძალაუფლების გაზრდას გამოიწვევდნენ. კენჭისყრის პროცედურით უკმაყოფილონი დარჩნენ დასავლელი დამკვირვებლები.

"ეს არ იყო ის რეფერენდუმი, რომელზეც იტყვი, რომ საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება", - აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას შედომირ ფლეგომ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის დამკვირვებელმა.

მისი მტკიცებით, ერთი და იგივე პიროვნებები რამდენჯერმე მონაწილეობდნენ კენჭისყრაში, ძალიან ბევრ ადგილობრივ დამკვირვებელს საარჩევნო უბნებში მუშაობის საშუალება არ მისცეს, ხოლო ზოგიერთები სცემეს კიდეც.

ოპოზიციის თქმით, ისინი ბრძოლას კვლავაც გააგრძელებენ. "აკაევის რეჟიმი კრახის პირასაა", - განაცხადა რეფერენდუმის შემდეგ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ტოპჩუბეკ ტურგუნაილოვმა. "ყირგიზეთში პოლიტიკური სტაბილურობა არ იქნება. აკაევი უკვე დამარცხებული პოლიტიკოსია".

*თუმცა, რაკი აკაევმა მოახერხა საერთო ენის გამონახვა რუსეთთან, ამერიკასთან და ჩინეთთან, და რადგანაც მის ხელშია ყველა პოსტსაბჭოური ქვეყნების ხელისუფალთა მთავარი "სიმდიდრე" – "ადმინისტრაციული რესურსი," ოპოზიციის პატივცემული ლიდერის სიტყვებში შეიძლება ეჭვიც შევიტანოთ.*

***როიტერი***




# ჩეხეთი პრეზიდენტის გარეშე დარჩა

სერბიისა და ჩერნოგორიის შემდეგ, ჩეხეთი მესამე აღმოსავლეთევროპული ქვეყანაა, რომელიც პრეზიდენტის გარეშე დარჩა (სამივე ქვეყანაში ძველ პრეზიდენტებს უფლებამოსილების ვადა ამოეწურათ, ახლის არჩევნები კი უშედეგოდ დამთავრდა).

ვაცლავ ჰაველმა ჩეხეთის პრეზიდენტის პოსტი დატოვა. გუშინ მისი პრეზიდენტობის მეორე ვადის უკანასკნელი დღე იყო. ჰაველი ჯერ კიდევ ერთიან ჩეხოსლოვაკიას 1989 წელს ჩაუდგა სათავეში, რომლის დაშლის შემდეგაც ის ჩეხეთის პრეზიდენტი გახდა.

ამ ქვეყნის ტოტალიტარული კომუნისტური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა სწორედ ვაცლავ ჰაველის სახელს უკავშირდება.

მოსახლეობაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, ის ყველაზე ავტორიტეტულ და პოპულარულ ჩეხ პოლიტიკოსად დასახელდა. ამასთანავე, ამომრჩეველთა უმრავლესობა არ იქნება წინააღმდეგი, თუკი კონსტიტუციაში ცვლილებები შევა და "მსოფლიოში ყველაზე გავლენიან დრამატურგს" საპრეზიდენტო უფლებამოსილება გაუხანგრძლივდება. თუმცა, ვაცლავ ჰაველი დღეს უკვე ყოფილი პრეზიდენტია.

დროებით სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ შპიდლა და პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარე ლიუბომირ ზაორალეკი გაიყოფენ (პრეზიდენტის პოსტი ჩეხეთში უფრო სიმბოლური ხასიათისაა, ხელისუფლების ყოველდღიურ საქმიანობას პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს). ისინი ჩეხეთის ყველაზე გავლენიანი სახელისუფლო პარტიის – ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები არიან.

პრეზიდენტის არჩევნები თებერვლის მეორე ნახევარში გაიმართება. ჩეხეთში პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები არ ტარდება და მას პარლამენტი ირჩევს. საკანონმდებლო ორგანომ ბოლო თვეებში უკვე ორჯერ სცადა უშედეგოდ, ჰაველის შემცვლელი მოეძებნა.

# ვენესუელაში გაფიცვა შეწყდა

ვენესუელის ოპოზიციამ საერთო სახალხო გაფიცვის შეწყვეტის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა. გაფიცვამ, რომელიც ქვეყანაში 63 დღე გრძელდებოდა, სახელმწიფოს უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი მიაყენა. ოპოზიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პროტესტი ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის წინააღმდეგ სხვა ფორმებით უნდა გაგრძელდეს და მოლაპარაკებების ფაზა უნდა დაიწყოს.

რაც შეეხება თავად პრეზიდენტს, მან თავი ოპოზიციასთან კონფლიქტში უკვე გამარჯვებულად გამოაცხადა და ოპოზიციის ლიდერებს დამარცხების აღიარებისკენ მოუწოდა. მისი თქმით, გაფიცვისა და გამოსვლების მონაწილეებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. ჩავესი გადადგომას არ აპირებს. როგორც ცნობილია, მან 5 ათასი გაფიცული მენავთობე სამსახურიდან გაათავისუფლა. გუშინდელ რადიომიმართვაში პრეზიდენტმა ჩავესმა განაცხადა, რომ დათხოვნილი პირების სამსახურში აღდგენას არ აპირებს.

# კოჩარიანი რასისტული გამონათქვამებისთვის გააკრიტიკეს

ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა მკაცრად გააკრიტიკა სომხეთის პრეზიდენტი რობერტ კოჩარიანი. კოჩარიანმა, რომელიც მომავალი არჩევნების წინ ნაციონალურ გრძნობებზე თამაშობს, მოსკოვში გამოსვლისას განაცხადა, რომ სომხები და აზერბაიჯანელები ეთნიკურად შეუთავსებელნი არიან. მისი აზრით, ბაქოსა და სუმგაითში სომეხთა დევნა და მასობრივი დეპორტაცია ყარაბაღიდან 1991-92 წლებში ამის დადასტურებაა.

შვიმერი ამ გამონათქვამს პირადი განცხადებით გამოეხმაურა, სადაც ნათქვამი იყო, რომ "ევროპის ისტორიის ბნელი ფურცლების გახსენება არასოდეს იქნება კარგი წინასაარჩევნო სტრატეგია". "ევროპა, რომელშიც შედიან როგორც სომხეთი, ისე აზერბაიჯანი, მრავალფეროვნებიდან იღებს სათავეს – იქნება ეს ეთნიკური, კულტურული, რელიგიური თუ ენობრივი," – დასძინა მან და მოუწოდა პრეზიდენტობის კანდიდატებს, მომავალში თავი შეიკავოს აგრესიული და რასისტული განცხადებებისაგან.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა პიტერ შნაიდერმა კი კოჩარიანის გამონათქვამის კომენტირებისას განაცხადა: "იმედი მაქვს, პრეზიდენტ კოჩარიანის გამონათქვამი რუსულიდან არასწორად გვითარგმნეს. ტერმინი - "ეთნიკური შეუთავსებლობა" ევროპის საბჭოს შექმნის დღიდან მოყოლებული არავის გაგვიგონია".

# დიდ კომისიას დიდი დრო სჭირდება

*შეგახსენებთ, რომ საქართველოში 1992 წელს შეიქმნა ორი დიდი კომისია, რომელსაც სახელმწიფო სიმბოლიკის საკითხებზე უნდა ემუშავა. კანცელარიის კომისიას სათავეში ჩაუდგა თავად ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის კომისიას - ელდარ შენგელაია. გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ამ მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა - ორი კომისია გაერთიანდა. გაერთიანებული კომისიის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ განვლილი 10 წელიც შეაფასა.*

ზაზა ფაჩუაშვილი


აზრთა გაზიარება

ერთიანი კომისიის სამსაათიანი სხდომა გახსნა და დახურა საქართველოს პრეზიდენტმა.

მის პროლოგსა და ეპილოგს შორის აზრი კომისიის სხვა წევრებმაც გამოთქვეს. თითქმის ყველამ დაუჭირა მხარი დროშაზე ჯვრის არსებობას. აზრი, რომელშიც პრეზიდენტმა სხვანაირი ქვეტექსტები ამოიკითხა, ეკუთვნის გაზეთ "გურჯისტანის" რედაქტორს სულეიმანოვსა და თავის დროზე საქართველოს პრეზიდენტის ალმოჩენას (ეს სიტყვები პრეზიდენტს ეკუთვნის – "24 საათი"), ამჟამად სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომელს მამედოვს.

სულეიმანოვი: **" მე მგონი, უნდა იყოს ძველი ბაირაღი. ის, რაც საქართველოში 85 წელია და რომელსაც ხალხი შეეჩვია".**

მამედოვი: **"მე მგონი, დროშა უნდა გამოხატავდეს მსოფლიოს ყველა ქართველის ინტერესს. მსოფლიოში კი მაჰმადიანი ქართველიც ბევრია. ამიტომ, ჩემი აზრით, მათი ინტერესებიც უნდა იყოს გათვალისწინებული".**

სხვა გამომსვლელთა აზრით, ამ მხრივ საშიშროება არ არსებობს. ქვემო ქართლის გუბერნატორს რეგიონის არაქართველი მოსახლეობის აზრი გამოუკითხავს. მათ კი უთქვამთ, რასაც ქართველი ერი ისურვებს, ჩვენც იმას დავუჭერთ მხარსო.

მამა ზენონის მოკლე სიტყვამ კი ამ საკითხისადმი მაჰმადიანი ქართველების დამოკიდებულებაც წარმოაჩინა.

მამა ზენონი: **"მის უწმინდესობას ირანში ვახლდი და ვნახე, როგორ შეხვდნენ ფერეიდნელი ქართველები საქართველოს პატრიარქს. ისინი კოცნიდნენ პატრიარქის ჯვარსა და კვერთხს. მე იძულებული გავხდი, მათთვის ჩემი სამღვდელო ჯვარი დამეტოვებინა".**

ასევე აბსოლუტურ უმცირესობაში აღმოჩნდა ის გამომსვლელი, ვისაც სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლა არ სურდა. სამაგიეროდ, საყოველთაო მხარდაჭერა ხვდა წილად ლევან ღვინჯილიას, რომელმაც ერთიანი კონცეფციის შემუშავებამდე ყოველგვარი კამათი უაზრობად მიიჩნია. მას პრეზიდენტიც დაეთანხმა და თავისი საბოლოო სიტყვაც თქვა.

ედუარდ შევარდნაძე: **"მე მინდა, რომ კომისიების მუშაობა ძალიან დადებითად შევაფასო. მართალია, 10 წელია გავიდა და სახელმწიფო სიმბოლიკაში ჯერ არაფერი შეცვლილა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არ არის დაკარგული დრო. დაგროვდა ძალიან დიდი გამოცდილება. აღმოჩნდა, რომ გვყავს ძალიან მაღალი დონის ჰერალდიკოსები, რომლებმაც ძალიან კარგად იციან თავისი საქმე.**

**კომისიის შემდგომ მუშაობას კოორდინაციას გაუწევს კულტურის სამინისტრო. დროშა, გერბი და ჰიმნი უნდა იყოს ისეთი, რომ გიყვარდეს, გემღერებოდეს. ძალიან დიდი და სერიოზული სამუშაო იქნება ჩასატარებელი. არ ვიცი, ამას რამდენი დრო დასჭირდება, მაგრამ მთავარია, შეცდომა არ დავუშვათ. მომავალ თაობებს სიმბოლიკის შეცვლა აღარ უნდა დასჭირდეთ.**

**სულეიმანოვისა და მამედოვის გამოსვლებში იკითხება ქვეტექსტები, რომ ჩვენ დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. მარტო დღევანდელობაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, მომავალიც უნდა გავითვალისწინოთ, როგორი მსოფლიო იქნება. ისე არავინ გაიგოს, თითქოს მე ჯვარის წინააღმდეგი ვიყო. არა, პირიქით, მომხრეც კი ვარ, მაგრამ ყველას ინტერესი უნდა გავითვალისწინოთ".**

## ინფორმაცია

### უშიშროებას შეუძლია, ყველას მოუსმინოს

უშიშროების მინისტრის, ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, მის უწყებაში შეუძლიათ მოისმინონ არა მარტო "ჯეოსელის", არამედ "მაგთის" და კავშირგაბმულობის სხვა ოპერატორების სატელეფონო საუბრები, მაგრამ - მხოლოდ და მხოლოდ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, სასამართლოს სანქციით. სასამართლოს ნებართვის გარეშე კი, არცერთი საუბარი არ ისმინება. ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიები კერძოა და ისინი თავად არ მისცემენ თავიანთი აბონენტის მოსმენის საშუალებას. **პრაიმ-ნიუსი**

### "შეწყვიტეთ დევნა!"

საერთაშორისო სამართალდამცველმა ორგანიზაციამ „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე" ევროპის საბჭოსა და ეუთო-ს მოთხოვნით მიმართა, აიძულონ აზერბაიჯანის ხელისუფლება, შეწყვიტოს ქვეყანაში თავისუფალი მასმედიის შევიწროება.

ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნის, რობერ მენარის თქმით, შარშან აზერბაიჯანის მასმედიის წინააღმდეგ 30-ზე მეტი სასამართლო საქმე აღიძრა, ძირითადად - სახელმწიფო მოხელეების მიერ. „მასმედიის დევნა დაუშვებელია იმ ქვეყანაში, რომელმაც ევროპული სტრუქტურების წინაშე აიღო ვალდებულება, პატივი სცეს პრესის თავისუფლებას", - აღნიშნა მან. **მედია-ნიუსი**

### ჯანმრთელობა - დაბალი ღობე

თბილისში იანვრის პენსიების დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა. წლის პირველი თვის ბიუჯეტი მხოლოდ 11 მილიონ 200 ათასი იყო, დაგეგმილი 13 მილიონი ვერ შესრულდა.

ზოდელავას განცხადებით, ბიუჯეტში ბევრად მეტი თანხა უნდა შედიოდეს სასტუმროებიდან. თბილისში ამჟამად 962 სასტუმროა, ბიუჯეტში კი ყოველთვიურად მცირედი თანხა შედის. გარდა ამისა, ბიუჯეტს უნდა ავსებდეს გარე ვაჭრობიდან მიღებული თანხებიც.

იანვრის ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამო, ჯანმრთელობის სფერო დაუფინანსებელი დარჩა, კულტურის მუშაკებმა კუთვნილი თანხების ნახევარი მიიღეს, პედაგოგებმა - მხოლოდ ხელფასები. **მედია-ნიუსი**

### ფსიქიატრიის ინტენსიური მკურნალობის ახალი განყოფილება

თბილისის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინტენსიური მკურნალობის ახალი განყოფილება გაიხსნება. როგორც ინსტიტუტის დირექტორი, გოგი ნანეიშვილი აცხადებს, ფსიქიატრიულ პრაქტიკაში არსებობს სიტუაციები, როცა საჭირო ხდება განსაკუთრებული, ინტენსიური მკურნალობის მეთოდების გამოყენება - კერძოდ, შიზოფრენიის ზოგიერთი ფორმის დროს, როცა პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ასეთ დროს მედიკოსები გადასხმებსა და დიდი დოზით პრეპარატებს იყენებენ, რაც შესაბამის აღჭურვილობასა და სპეციალურად მომზადებულ კადრებს (რომლებიც ინტენსიური მკურნალობის მეთოდებს ფლობენ) საჭიროებს. განყოფილებაში შესაძლებელია ერთდროულად ათი პაციენტის მკურნალობა.

სახელმწიფო ბიუჯეტში ამ პროგრამისთვის გათვალისწინებულია 50 ათასამდე ლარი. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** დედაქალაქში ხშირია ცოცხალი პირუტყვით უკანონოდ ვაჭრობის შემთხვევები. საქონლით ვაჭრობისთვის სპეციალურად გამოყოფილია ორი ადგილი - ჯავახეთის ქუჩაზე სპეციალიზებული მაღაზია (ვარკეთილი) და გურამიშვილის გამზირზე, მეტრო-სადგურ "სარაჯიშვილთან" მდებარე ბაზრის ტერიტორია. ამ მაღაზიისა და ბაზრის გარეთ და ქალაქის სხვა წერტილებში ცოცხალი პირუტყვით ვაჭრობა აკრძალულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ინფორმაციით, დედაქალაქის დაბინძურება კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. გასული კვირის განმავლობაში თბილისში 88 დაბინძურებული წერტილი აღინიშნა. რეიდების დროს ინსპექტორებმა აღმოაჩინეს საცხოვრებელ კორპუსებთან მდებარე 41 დაუცლელი ნაგვის ბუნკერი და ასევე დაუცლელი 54 ქუჩის კონტეინერი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციამ სასამართლოს ნებართვა მიიღო და უახლოეს 15 დღეში თბილისის ბაზრებისა და ბაზრობების სანიტარიულ მდგომარეობას შეამოწმებს.

ინსპექციის უფროსის, ჯულული ახვლედიანის განცხადებით, ინსპექტორებმა ცენტრალური სუპერმარკეტის შემოწმებისას სერიოზული დარღვევები აღმოაჩინეს. ღამის საათებში სუპერმარკეტის ვერანდის ქვეშ მზა კერძების დამზადება და რეალიზაცია ხდება და ტერიტორია ღამითაც ბინძურდება. უხეშ დარღვევად ითვლება მსგავს ადგილებში ცხელი კერძების მომზადებაც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** საქართველოს რკინიგზაზე მორიგი ინციდენტი დაფიქსირდა. იმერეთის სამხარეო პოლიციის ცნობით, ქუთაისის მახლობლად რიონის სადგურის მეშვიდე კილომეტრზე სარკინიგზო რელსები გადახსნილი აღმოჩნდა, რაც ნებისმიერი მატარებლის გადავარდნას გამოიწვევდა.

ეს უკვე რიგით მესამე ინციდენტია რკინიგზაზე, რასაც შესაძლოა მსხვერპლი მოჰყოლოდა. პირველი ორი გორისა და სამტრედიის მახლობლად მოხდა, როდესაც ნავთობით სავსე ცისტერნა გადაბრუნდა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ ბიუროში გამოცხადდა მოქალაქე ალბერტ ნაზარეტიანი, რომელმაც ნებაყოფლობით ჩააბარა 0,37 გრამი ჰეროინი, რომელიც თეიმურაზ კუტალიასაგან ჰქონდა შეძენილი.

შს სამინისტროს ნარკომანიისა ა ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროსა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები, ნასამართლევი, 43 წლის თეიმურაზ კუტალია, რომელსაც ჩამოართვეს სარეალიზაციოდ გამზადებული, 24 ჩეკად დაფასოებული 3 გრამი ჰეროინი, ხოლო მისი სახლიდან ამოიღეს 6 ჩეკად დაფასოებული 0,8 გრამი ჰეროინი. **მედია-ნიუსი**

# რემონტი იმიჯისთვის?

*დედაქალაქის ცენტრალური ქუჩები ყოველდღე გადატვირთულია და არა მხოლოდ პიკის საათებში. რამდენიმე დღეა, რაც თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ მაგისტრალზე, ჭავჭავაძის გამზირზე, ავტოსაგზაო მოძრაობა განსაკუთრებით გაჭირდა. მძღოლების რისხვა გასაგები და სამართლიანია - ქუჩა ალაგ-ალაგ გადათხრილია; მაგრამ სარემონტო სამუშაოები ისე ინტენსიურად მიმდინარეობს, როგორც, ალბათ, არასდროს.*

ირინე სანებლიძე

ქალაქის კეთილმოწყობის სამსახური ცენტრალური მაგისტრალების კაპიტალურ შეკეთებას ჯერ არ ჩქარობს. პროგნოზით, ყინვა ჯერ კიდევ მოსალოდნელიაო, - გვითხრა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მთავარმა ინჟინერმა მერაბ შავლაძემ.

ამინდსა და ქალაქის ბიუჯეტზე არიან დამოკიდებული ქალაქის რაიონული გამგეობებიც. როგორც ვაკე-საბურთალოს რაიონის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა ავთანდილ მამსიკაშვილმა გვითხრა, შპს "საგზაო ვაკემ", ვაკე-საბურთალოს რაიონის კეთილმოწყობის სამსახურის დაკვეთით, იანვარში უკვე გადათხარა და შემდეგ შეაკეთა საბურთალოს ქუჩების განსაკუთრებით გაუვალი ადგილები - საააკაძის მოედანთან, ვახუშტის ხიდთან და ა.შ.

ახლა ვაკეზე მიდგა ჯერი. ჭავჭავაძის გამზირზე საორმო სამუშაოები გასულ პარასკევს დაიწყო და, სავარაუდოდ, დღეს დასრულდება. გუშინ უკვე ასფალტს აგებდნენ. ავთანდილ მამსიკაშვილის თქმით, ახლო წარსულში ვაკეში გზის შესაკეთებელი სამუშაოები იმიტომ არ ჩატარდა, რომ დედაქალაქის ქუჩები თოვლის სქელი საფარის ქვეშ იყო, ამას დაემატა გაზისა და ელექტროენერგიის დეფიციტი, რამაც ასფალტ-ბეტონის ქარხნების მუშაობა შეაფერხა.

როგორც ცნობილია, საკრებულოს დროებითი ანტიკორუფციული კომისიისა და თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ ჩატარებული შემოწმების საფუძველზე, საკრებულომ დიდუბე-ჩუღურეთისა და ვაკე-საბურთალოს გამგებლები, გიორგი ჩაჩანიძე და დავით სულაძე დატუქსა. შესაძლოა, ვაკე-საბურთალოს გამგებელი ამიტომ დაფაცურდა და გადაწყვიტა, საზოგადოებისთვის საქმით მოეწონებინა თავი. ერთი სიტყვით, ჩინოვნიკები პოლიტიკოსებს ეჯიბრებიან ქულების მოგროვებაში.

ასეა თუ ისე, უბრალო მოკვდავები ცოტას მაინც ვიხეირებთ.

# ტუღუშს გრიგალაშვილის ინტერესი არ უკვირს

ზაზა ფაჩუაშვილი


ვისი იქნება ბორჯომის პარკი?..

ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ გრიგალაშვილი ბორჯომის პარკის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას ითხოვს. ამის შესახებ მან ოფიციალური განცხადება ბორჯომში სახელმწიფო მინისტრის ვიზიტის დროს გააკეთა. დეპუტატის ინფორმაციით, მოთხოვნის საფუძველი გამხდარა გერმანელთა ჩვენდამი კეთილგანწყობა.

ისინი მზად არიან, სრულიად უანგაროდ გაგვიმშვენიერონ პარკი, თუკი იგი კერძო მფლობელობიდან, სახელმწიფო მფლობელობაში გადავა.

როგორც გაირკვა, საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარემ, ირაკლი ტუღუშმა ამის შესახებ არაფერი იცოდა და ეს ინფორმაცია მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა (ბორჯომის პარკის გარდა, საქართველოს პროფკავშირების საკუთრებაშია რამდენიმე პანსიონატი და ტურბაზა, თუმცა უმეტესწილად, ყველგან დევნილები ცხოვრობენ).

*ირაკლი ტუღუში:* ***"ამის შესახებ არაფერი ვიცი. ნოდარ გრიგალაშვილს საქმის კურსში არ ჩავუყენებივარ, მაგრამ არ გამიკვირდება. ბორჯომის დეპუტატმა არაერთხელ მოგვმართა თხოვნით, ადგილობრივი მმართველობისთვის გადაგვეცა ესა თუ ის ობიექტი. ძნელი მისახვედრი არ არის, რატომაა ასეთი დაინტერესება".***

*- საუბარი იყო კონკრეტულად ბორჯომის პარკზე, რომელსაც, სახელმწიფო საკუთრებაში რომ ყოფილიყო, დეპუტატის თქმით, გერმანელები მიხედავდნენ.*

***- ბორჯომის პარკს წლების განმავლობაში უვლის ჩვენი თანამშრომელი, ქალბატონი მაყვალა. მთელი შემოსავალი იქვე რჩება და პარკს ხმარდება. თუ სახელმწიფოს ინტერესებშია პარკის მის საკუთრებაში გადასვლა, და ასეთი გადაწყვეტილება ოფიციალურად იქნება მიღებული, ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით. კი ბატონო, მოვიდნენ და შეისყიდონ ჩვენგან ბორჯომის პარკი.***

# ვეტერინარებმა „საძმოს„ შეუტიეს

*თბილისში ცხენის ხორცის რეალიზაციის შესახებ ჭორი კარგა ხნის წინათ გავრცელდა, თუმცა, ვეტერინალური სამსახურები ასეთი ფაქტების არსებობას კატეგორიულად უარყოფდნენ. რამდენიმე დღის წინათ კი შპს "საძმოში" 137 კილოგრამ ცხენის ხორცს თვითონვე წააწყდნენ.*

ნანა ქადაგიშვილი

ქალაქის ვეტერინარული გაერთიანების თანამშრომლები აბასთუმნის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე გახსნილ შპს "საძმოს" გამთენიისას, 4 საათზე დაატყდნენ თავს. შპს-ს მეპატრონე დ. გვერდწითელი მათ სტუმრობას არ ელოდა და საკნის მოწესრიგება ვერ მოასწრო. თუმცა, რომც მოენდომებინა, გაუჭირდებოდა, რადგან, როგორც თვითმხილველი ვეტერინარები ამბობენ, ხორცის შემნახველ საკანში ყველანაირი სანიტარული პირობაა დარღვეული, არ არის დაცული ტემპერატურული რეჟიმი. ამის გარდა, ასეთ პირობებში შენახული ძროხისა და ღორის ხორცის გვერდით, ვეტერინარებმა დაკლული ცხენის ტანფეხიც აღმოაჩინეს. როგორც გაერთიანების თანამშრომლები ამბობენ, "საძმოს" მეპატრონეს ამ ხორცის წარმომავლობისა და საკვებად ვარგისიანობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ აღმოაჩნდა. "ქალაქში ცხენის ხორცის რეალიზაცია არ იკრძალება, მთავარია, იგი უსაფრთხო იყოს. მეწარმემ კი სიტყვიერადაც ვერ გვითხრა, ეს ხორცი საიდან მოიტანა და რისთვის სჭირდებოდა," – აცხადებენ ვეტერინარები. მათი ვარაუდით, "საძმოს" ცხენის ხორცი გადამამუშავებელ საწარმოში უნდა ჩაებარებინა. ხოლო ეს ხორცი საიდან უნდა მოეტანათ, ვეტერინარიის გაერთიანება, ჯერჯერობით, ვერაფერს ამბობს. "ხორცი ამოვიღეთ და შპს "საძმოს" საქმეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს გადავცემთ, შემდეგ კი მასალებს ქალაქის პროკურატურას გადავუგზავნით. ხორცის წარმომავლობასა და მეწარმის განზრახვასაც იქ დაადგენენ. თუმცა, ის კი ვიცით, რომ ხორცის სარეალიზაციოდ გატანა ვერ მოასწრეს," – აცხადებს გაერთიანება.

სხვათა შორის, შპს "საძმო" ვეტერინარულ გაერთიანებას ადრეც რამდენჯერმე შეუმოწმებია და ყოველთვის ერთი და იგივე მდგომარეობა ხვდებოდა - საშინელი ანტისანიტარია და სიცხეში შენახული საკვებად გამოუსადეგარი ხორცი. 2001 წელს გაერთიანებამ "საძმოს" საქმე პროკურატურას გადასცა, რის შედეგადაც შპს ერთი წელი აღარ ფუნქციონირებდა. თუმცა, ბოლო დროს ისევ ამოქმედდა და, როგორც ჩანს, არც არაფერი გამოუსწორებია. როგორც ვეტერინარული გაერთიანება ირწმუნება, "საძმოს" მეპატრონეს ამჯერად უფრო მკაცრად მოექცევიანო.

ვეტერინარები დღესაც აცხადებენ, რომ ეს ცხენის ხორცის აღმოჩენის პირველი ფაქტია. "გასული წლის განმავლობაში 62 ტ. საკვებად უვარგისი ხორცი ამოვიღეთ. ცხენის ხორცი კი ჯერ არსად შეგვხვედრია," – ირწმუნებიან ისინი. თუმცა, გასულ წელს "დეზერტირების" ბაზარში მოვაჭრეებისთვის რომ გეკითხათ, მიგითითებდნენ დახლზე, სადაც ცხენის ხორცი იყიდებოდა. როგორც მოვაჭრეები ამბობდნენ, მოპარულ ცხენებს კლავენ, მათ ხორცს ძროხის ხორცად ასაღებენ და ისე ყიდიანო.

# კონკურსი ადმინისტრაციულ ინსპექციაში

თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის ახალი ხელმძღვანელი, დავით მუმლაძე ამ უწყებისთვის გენერალური ინსპექციის სახელის დარქმევის ინიციატივით გამოდის და ფუნქციების გაზრდას ითხოვს.

დავით მუმლაძის ინფორმაციით, ახალი ინიციატივის თანახმად, მთელი დატვირთვა სამსახურის რაიონულ რგოლებზე გადადის და იგი ადმინისტრირების გამკაცრებას, საჯარიმო სანქციების მომატებას და არაეფექტური რგოლების გაუქმებას ითვალისწინებს. სამსახურის ახალ სტრუქტურაში მუმლაძე იძულებით აღსრულების სპეციალური ჯგუფის შექმნის ინიციატივითაც გამოდის, რომელიც ადმინისტრირების ღონისძიებების გატარებას შეუწყობს ხელს.

ამ ეტაპზე ადმინისტრაციულ ინსპექციაში საადმინისტრაციო თანამდებობებიდან გათავისუფლებულია ყველა თანამშრომელი; ისინი მოვალეობას დროებით ასრულებენ.

მუმლაძის თქმით, სამსახურის დებულების მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში დაიწყება განცხადებების მიღება, შემდეგ კი შესარჩევი კონკურსი გამოცხადდება. დავით მუმლაძე ამ თანამდებობაზე, დაახლოებით, ორი თვის წინათ დაინიშნა.

*მედია-ნიუსი*

# ფართომასშტაბიანმა წმენდამ რუსთავის საპატიმროებში გადაინაცვლა

თამარ კაციტაძე

ორთაჭალის საპყრობილეში მომხდარი ბუნტიდან ერთი კვირის თავზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფართომასშტაბიანი ჩხრეკა-შემოწმების სარეჟიმო ოპერაციები ყოველგვარი გართულებების, ექსცესებისა და ხმაურის გარეშე სრულდება. მთლიანად გაჩხრეკილია მეხუთე საპყრობილე, საიდანაც, ისევე, როგორც გუშინ რუსთავის №1 და №2 მკაცრი რეჟიმის კოლონიებში ჩატარებული ჩხრეკისას, ამოღებულია სხვადასხვა სახის აკრძალული ნივთები.

ერთი კვირის წინ ჩატარებული ჩხრეკა-შემოწმების ოპერაციისგან განსხვავებით, პატიმრებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. **"ისინი დადებითად ხვდებიან სარეჟიმო ოპერაციას, რადგან მიხვდნენ, რომ ჩვენს ფუნქციებს ბოლომდე შევასრულებთ და უკან არ დავიხევთ. ასეთ სარეჟიმო ღონისძიებებს "პატიმრობის შესახებ კანონი ითვალისწინებს,"** – აცხადებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე პაატა მხეიძე.

რუსთავის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებების შემოწმება იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა იქ შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო გადაწყვიტეს. სპეცოპერაცია, რომელიც მთლიანად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებისა და სპეცრაზმის ძალებით განხორციელდა, მოულოდნელად დილით №2 დაწესებულებიდან დაიწყო. მართალია, მეხუთე საპყრობილის ბუნტის შემდეგ, დაწესებულებებში ცეცხლსასროლი იარაღი ველარ აღმოაჩინეს, მაგრამ საკნებში უხვად იპოვეს სხვადასხვა სახის ცივი იარაღები – დანები, ხანჯლები, მაკრატლები, წამახული რკინები და ა.შ. მობილურ ტელეფონებზე, ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და



სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა რეიდი რუსთავის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში

კუსტარულად დამზადებულ ალკოჰოლურ სასმელ "ბრაგაზე" რომ არაფერი ვთქვათ, ამოღებულ ნივთებს შორის იყო ისეთი საგნებიც, რომელთა გამოყენებითაც პატიმრებს საკნის კედლების გამონგრევა და გვირაბების გათხრაც შეეძლოთ. აკრძალულ ნივთებს შორის მოჰყვა შურდულებიც. როგორც დაწესებულების ხელმძღვანელობამ აგვიხსნა, ერთი შეხედვით უწყინარ საბავშვო სათამაშოს პატიმრები გარე განათების ნათურების ჩასამტვრევად და კოშკიდან გუშაგების ჩამოსაყვანად იყენებენ.

მართალია, დაწესებულების დირექცია ირწმუნება - პერიოდულად შემოწმებებს ვატარებთ და უკანონო ნივთებსაც ვიღებთო, მაგრამ ამგვარ ფართომასშტაბიან შემოწმებას, სამინისტროს ხელმძღვანელობის თქმით, შედეგიც უფრო მასშტაბური აქვს. სწორედ ამიტომ ანალოგიური მოულოდნელი შემოწმებები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში იგეგმება. კონკრეტულად, როდის, იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა წინასწარ არ ახმაურებს.

თუმცა, იუსტიციის მინისტრის მოადგილის კახა კობერიძეს განცხადებით, მხოლოდ ასეთი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებებით სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მდგომარეობა ვერ გამოსწორდება. პარალელურად უნდა გაუმჯობესდეს დაწესებულების თანამშრომელთა მატერიალური პირობები და პატიმრების მდგომარეობა.

# არასამთავრობოები ციხის ხელმძღვანელების დასჯას მოითხოვენ

არასამთავრობო ორგანიზაციები იუსტიციის მინისტრის როლანდ გილიგაშვილის ახალ ბრძანებას აპროტესტებენ. პენიტენციალური სისტემის საზოგადოებრივი კონტროლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრები ორთაჭალის ციხეში დაუყოვნებლივ შეშვებას ითხოვენ. 25 იანვარს, ციხეში მომხდარი ბუნტის შემდეგ, როლანდ გილიგაშვილის ბრძანებით, იზოლატორში შესვლის უფლება მიეცა მხოლოდ პრეზიდენტს ან მის წარმომადგენელს, პარლამენტის თავმჯდომარეს და მის წარმომადგენელს, ომბუდსმენსა და მის წარმომადგენელს, უცხო პირთათვის ციხე დაიხურა. არასამთავრობო ორგანიზაციათა საბჭოს წევრებს ციხეში შესვლის უფლება დროებით ჩამოერთვათ. "ციხე დაემსგავსა "ბალაგანს", სადაც უპრობლემოდ შედიან მნახველები თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები... ვინ დაამტკიცებს, რომ მათ არ შეაქვთ პატიმრებისთვის ცეცხლსასროლი იარაღი," – ასე განმარტა აკრძალვა როლანდ გილიგაშვილმა.

"თავისუფლების ინსტიტუტი", "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის", "ახალგაზრდა იურისტები", "კავკასიის ინსტიტუტი" და საბჭოში შემავალი სხვა 17 არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები იუსტიციის მინისტრის ბრძანებას უკანონოდ მიიჩნევენ:

**"პრივილეგირებული პატიმრები მობილური ტელეფონებით ესაუბრებიან სასჯელაღსრულების დაწესებულებისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელებს. მათ შესანიშნავად იციან დაწესებულებებში ნარკოტიკებისა თუ ფულის მოძრაობის მარშრუტები, ოფიციალურად დაწესებული ნიხრები... ციხეში დღესაც მუშაობს საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული სქემა. ამ სისტემაში კარგად ცხოვრობენ კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები და მმართველი ადმინისტრაციის ზედა ფენები, გაუსაძლისი პირობების მთელი სიმძიმე გადადის რიგით პატიმრებზე და რიგით თანამშრომლებზე,"** – აცხადებენ ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები.

არასამთავრობოები კატეგორიულად მოითხოვენ: 25 იანვრის ინციდენტის გამოძიებაზე საბჭოს წევრების მიერ მონიტორინგის განხოროციელებას, დაზარალებულ პატიმრებთან შეხვედრას, ციხის ბუნტის მომწყობთა გამოვლენას.

ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები ხელისუფლებისგან მოითხოვენ: სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა სოციალურ დაცვას; რუსთავის საპყრობილის სასწრაფოდ ამოქმედებას; სისტემის ხელმძღვანელობისა და დამნაშავე თანამშრომელთა დასჯას.

## მოკლედ

**თბილისი.** კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ზურაბ ტუშურის განცხადებით, ამჟამად პანკისის ხეობაში სტაბილური მდგომარეობაა. განახლდა დიდთოვლობის გამო დროებით შეჩერებული 24-საათიანი პატრულირება. როგორც ადრე, ამჟამადაც გამკაცრებული რეჟიმით მუშაობენ ხეობაში განლაგებული ბლოკ-საგუშაგოები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ, აშშ-ში ვიზიტისას, ამერიკელ კოლეგებს პანკისის ხეობაში ჩატარებულ ანტიკრიმინალურ და ანტიტერორისტულ სპეცღონისძიებათა თაობაზე სრულყოფილი ინფორმაცია წარუდგინა.

ხაბურძანიას განცხადებით, ამერიკელებს პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცღონისძიებების ზოგიერთ საკითხზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ.

"მთლიანობაში, ამერიკელმა კოლეგებმა პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცღონისძიებები დადებითად შეაფასეს და სამომავლოდ თანამშრომლობის გაფართოებას დაგვპირდნენ", - აცხადებს უშიშროების მინისტრი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პროკურორების საკვალიფიკაციო გამოცდების მეოთხე ეტაპზე, რომელიც შაბათს ჩატარდა, 233 გამოსაცდელიდან 3 ჩაიჭრა. საკვალიფიკაციო გამოცდა ვერ ჩააბარა პროკურატურის სისტემის ერთმა მუშაკმა და პროკურორობის მსურველმა ორმა იურისტმა. იუსტიციის საბჭოს ინფორმაციით, გამოცდების ოთხივე ეტაპზე მონაწილეობა 976-მა პროკურორმა და იურისტმა მიიღო, რომელთაგან გამოცდა მხოლოდ 9 პროკურორმა და 7-მა იურისტმა ვერ ჩააბარა, დანარჩენებმა კი მომზადების საკმაოდ მაღალი დონე გამოავლინეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები, 46 წლის ფრიდონ უთალიშვილი, რომლის ბინიდან ამოიღეს გადაჭრილი თოფი რვა ვაზნით, „ნაგანის" სისტემის 13 ცალი და მცირეკალიბრიანი შაშხანის 71 ცალი ვაზნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ავტოტრანსპორტის გატაცების ფაქტების გახშირების გამო, შს მინისტრის ბრძანებით, ქალაქ გორში პოლიციის ახალი ბლოკ-საგუშაგოები გაიხსნა.

საკონტროლო პუნქტები განთავსებულია ქალაქის ყველა შესასვლელ-გასასვლელში. მოწყობილ საგუშაგოებზე მთლიანად ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლები გაანაწილეს. მათთან ერთად შინაგანი ჯარი არ იმყოფება. ქალაქში დაწესებულია 24-საათიანი პატრულირებაც. შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის ბრძანებით, შიდა ქართლში კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით, ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები სამი თვის წინ დაიწყო, რომლის ფარგლებში რეგიონის სამ სოფელში – ტყვიავში, მელვრეკისსა და მეჯვრისხევის ზონაში ადგილობრივი პოლიციისა და შინაგანი ჯარების სამი ბლოკ-საგუშაგო განთავსდა. **პრაიმ-ნიუსი**

# პოლიციის მაღალჩინოსანი აფხაზებმა მოკლეს

პირველი გვერდიდან

სანდო წყაროს ცნობით, ზუგდიდის პოლიციის უფროსი ამ დროს ზუგდიდში განლაგებულ რუს სამშვიდობოებთან ყოფილა, ამიტომ ქართველ პოლიციელს დახმარება სწორედ მათთვის უთხოვია. ენგურს გამოღმა მდგომი რუსი სამხედროები გაღმა მყოფ რუს სამშვიდობოებს დაკავშირებიან, რომლებიც თურმე შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით ათ მეტრში მდგარან, მაგრამ ინციდენტში ჩარევა არც მანამდე და არც მერე რატომღაც აზრადაც არ მოსვლიათ. სწორედ აფხაზეთის მხარეს მყოფი სამშვიდობოების პასიურობის გამო, ზუგდიდიში განლაგებული რუსი სამხედროები იძულებულნი გამხდარან, შემთხვევის ადგილას ჯავშანტრანსპორტიორით მისულიყვნენ და გარდაცვლილი ფონია და უვნებლად გადარჩენილი პოლიციელები გამოეყვანათ. ჩვენი ინფორმაციით, სროლა რომ შეეჩერებიათ, აფხაზებს სამშვიდობოებმაც ესროლეს, რის შემდეგაც მებაჟეები გაქცეულან.

სარწმუნო წყაროს ცნობით, ინციდენტის ღამეს ზუგდიდში მყოფი რუსი სამშვიდობოები არ მალავდნენ, რომ ქართველ პოლიციელებს სწორედ აფხაზმა მებაჟეებმა ესროლეს, მაგრამ მეორე დღესვე მშვიდობისმყოფელებმა ე.წ. აფხაზეთის ოფიციალური სტრუქტურის ინციდენტში მონაწილეობა უარყვეს და მომხდარი კრიმინალურ სამყაროს გადააბრალეს.

**"როგორც ჩანს, კრიმინალური პოლიციის უფროსის ალყაში მოქცევა წინასწარ იყო დაგეგმილი. ეს გახლდათ კარგად მომზადებული ოპერაცია, რომელიც ქართველი პოლიციელების განადგურებას ისახავდა მიზნად. სავარაუდოდ, თავდასხმა განახორციელეს ავტომანქანების გამტაცებელი ბანდის წევრებმა, რომლებსაც ზუგდიდის რაიონიდან მანქანები აფხაზეთის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე გადაჰყავთ,"** - აცხადებს ზუგდიდის რაიონის პროკურორი მებრძოლი ჭკადუა, რომელიც ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის წევრია.

მებრძოლი ჭკადუამ გუშინ აფხაზურ მხარეს შემთხვევის ადგილის დათვალიერება მოსთხოვა, თუმცა აფხაზებმა ამის საშუალება არ მისცეს. პროკურორმა უსაფრთხოებით უზრუნველყოფისა და გამოძიებაში თანადგომისთვის გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებსა და რუს მშვიდობისმყოფელებსაც მიმართა. **"ტერიტორია დანაღმულია და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას ჩვენ ვერ ავიღებთ",** – ასეთი იყო როგორც აფხაზური მხარის, ისე რუსი სამშვიდობოებისა და გაერო-ს მისიის წარმომადგენლების პასუხი.

მოკლედ, აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში კიდევ ერთი (და არა უკანასკნელი) მძიმე დანაშაული მოხდა, რომლის გახსნის იმედიც ქართველ სამართალდამცველებს არა აქვთ.

# მოსამართლემ ქუთაისის რადიოს ეთერი შეუწყვიტა

ბექა სისაური
ქუთაისიდან

**"იუსტიციის საბჭოს მდივანს მივწერე, რომ დისციპლინარული ღონისძიება გაატაროს იმ მოსამართლის მიმართ, რომელმაც ერთ საქმეზე ორი ერთმანეთის გამომრიცხავი გადაწყვეტილება გამოიტანა. არ შეიძლება, მოსამართლე ერთ დღეს ერთ გადაწყვეტილებას ღებულობდეს, მეორე დღეს კი მის საწინააღმდეგოს,"** – ისრაელიდან დაბრუნებულმა იმერეთის გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა მოსამართლე დურმიშხან ჟორჟოლიანის გადაწყვეტილებით დახურულ რადიოს, "ძველ ქალაქს", სოლიდარობა გამოუცხადა.

ჟურნალისტებმა გადაწყვეტილება ქუჩაში, ეთნოგრაფიული მუზეუმის გვერდით, ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე გააპროტესტეს. ქალაქში არსებული ერთადერთი რადიო "ძველი ქალაქი" ეთერში "ღია ცის ქვეშ" გავიდა. რადიოს თანამშრომლებმა დინამიკები გარეთ დაამონტაჟეს და რადიოგადაცემები მათ მხარდასაჭერად მოსულ რამდენიმე ასეულ ადამიანს ასე მოასმენინეს. როგორც გითხარით, აღნიშნული საპროტესტო ღონისძიება რადიო "ძველ ქალაქს" მას შემდეგ დასჭირდა, რაც გასულ პარასკევს ქუთაისის სასამართლომ მას ეთერში გასვლა დროებით შეუწყვიტა. ამის მიზეზი რადიოს ოფისის მახლობლად მცხოვრებთა საჩივარი გახდა. ისინი სახლების ახლოს დამონტაჟებულ ანტენას უამრავი დაავადების მიზეზად მიიჩნევენ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ დურმიშხან ჟორჟოლიანმა ანტენის მავნებლობის გარკვევამდე რადიოკომპანიას ეთერში გასვლა აუკრძალა. "ძველ ქალაქს" ქუთაისში არსებულმა ყველა არასამთავრობო ორგანიზაციამ და მსმენელთა დიდმა ნაწილმა სოლიდარობა გამოუცხადეს. მოსახლეობის წამქეზებლად სახელდება ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი გია დადუნაშვილი, რომელიც, თურმე, ამ საკითხს, სამი წელია, იკვლევდა და იმ დასკვნამდე მისულა, რომ რადიოს ანტენა მოსახლეობაში თვალის, გულისა და სისხლ-ძარღვთა დაავადებს იწვევს.

რადიო "ძველი ქალაქის" იურისტებმა ქალაქის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება იმავე სასამართლოში გაასაჩივრეს და მოსამართლე დურმიშხან ჟორჟოლიანმა მის მიერ რამდენიმე დღის წინ გამოტანილი გადაწყვეტილება ამჯერად გააუქმა - "ძველ ქალაქს" წართმეული ეთერი დაუბრუნა. თუმცა, "ძველმა ქალაქმა" ეთერში გასვლა თავად შეწყვიტა. ამის მიზეზი გახდა რადიოს ოფისში მომჩივანი მოსახლეობის მივარდნა და შენობის დარბევა. რადიო მანამდე არ იფუნქციონირებს, სანამ მოსახლეობის მიერ სასამართლოში შეტანილი საქმის განხილვა არ დასრულდება.

# გენერალურმა პროკურატურამ კახი ასათიანის საქმეზე ბადრი პატარკაციშვილი დაკითხა

*საქართველოში შეკვეთილი მკვლელობები თითქმის არ იხსნება; ან თუ ასეთი რამ მოხდა და საქმე გაიხსნა, შემკვეთის ვინაობა მაინც უცნობი რჩება. ბოლო ათწლეულის კრიმინალურ სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ შეკვეთილ მკვლელობათა დიდი უმეტესობა კვლავ ბურუსითაა მოცული.*

ინგა ალავიძე

კახი ასათიანის მკვლელობიდან 2 თვის შემდეგ საქმე კვლავ გაუხსნელია. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ვერსიების დონეზე საუბრობს მკვლელობის ფინანსურ მოტივზე, შემკვეთის შესახებ და იმაზეც, რომ სამართალდამცველები ამ დანაშაულის სათავეში მყოფ გავლენიან ფიგურებს – შემკვეთებს - ვერასდროს გამოააშკარავებენ.

თუმცა, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფმა, რომელიც კახი ასათიანის საქმეს იძიებს, რამდენიმე დღის წინ ერთი გავლენიანი ფიგურა გასაიდუმლოებულ ვითარებაში დაკითხა. პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ორი გამომძიებელი ბადრი პატარკაციშვილს მას ერთერთ ოფისში ეწვია ( დაკითხვის ფაქტმა პრესაში მაინც გაჟონა). პატარკაციშვილი მოწმის სტატუსით დაიკითხა და მან უარი განაცხადა, რომ საგამოძიებო მოქმედებაში მისი ადვოკატი ჩაბმულიყო. დაკითხვის პროცედურა რამდენიმე საათს გაგრძელდა. გარდა ავიაბიზნესისა, რომლითაც პატარკაციშვილი სერიოზულადაა დაინტერესებული, გამოძიება კახი ასათიანისა და მისი ურთიერთობის გარკვევასაც შეეცადა. ბადრი პატარკაციშვილის მტკიცებით, მას და კახი ასათიანს კონფლიქტი არასდროს მოსვლიათ. მართალია, დიდი მეგობრობა არ აკავშირებდათ, მაგრამ მათ შორის ურთიერთობა საკმაოდ ნორმალური იყო. პატარკაციშვილის ჩვენებით, მას "აირზენას" აქციების შესყიდვა არც უფიქრია. ავიაბიზნესში მის მიერ შექმნილი ავიაკომპანიით შესვლა ამჯობინა. მას და "აირზენას" დამფუძნებლებს არანაირი კონფლიქტი არ მოსვლიათ, - ასეთი ინფორმაცია მიაწოდა პატარკაციშვილმა პროკურორებს.

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის აკაკი ბუდაღაშვილის განცხადებით, ბადრი პატარკაციშვილი ავიაბიზნესთან დაკავშირებით დაიკითხა და მას ახალი და განსაკუთრებული არაფერი უთქვამს. აკაკი ბუდაღაშვილის ინფორმაციით, შესაძლოა, გამოძიებას კიდევ ერთხელ მოუწიოს პატარკაციშვილის დაკითხვა.

გარდა ბადრი პატარკაციშვილისა, პროკურატურამ დაკითხა ყველა ის პირი, ვისაც ავიაბიზნესში შესვლის პრეტენზია გააჩნია ; ასევე დაიკითხნენ უკვე მოქმედი ავიაკომპანიების მეპატრონეები და პასუხისმგებელი თანამშრომლები, "ჯორჯიან ეარის", "საქართველოს ავიახაზების" და "აირზენას" დამფუძნებლები. ჩვენება ჩამოართვეს პილოტს "აირზენას" თავკაცს თამაზ გაიაშვილს.

გენერალურ პროკურატურას კახი ასათიანის მკვლელობის შემკვეთშემსრულებელთა სავარაუდო ვინაობა არ დაუდგენია. გამოძიება კვლავ ირწმუნება, რომ მუშაობენ რამდენიმე ვერსიაზე, რომელთა შორისაც პრიორიტეტულია ავიაბიზნესთან დაკავშირებული ფინანსური ინტერეს-კონფლიქტები.



# დეტროიტის ავტოშოუ - ავტობიზნესის ბარომეტრი

დეტროიტში დასრულდა წლის პირველი დიდი საავტომობილო ფორუმი - ჩრდილო ამერიკის საერთაშორისო საავტომობილო შოუ, რომელსაც ამ ავტოსალონის ისტორიაში ყველაზე მეტი, 810 699 მნახველ-დამთვარიელებელი ჰყავდა.

დეტროიტის "კობო სენტერის" საგამოფენო პავილიონებში წარმოდგენილი იყო მსოფლიოს, თითქმის, ყველა ავტომწარმოებლის 750 ავტომობილი, რომელთაგან 60-ზე მეტი კონცეპტუალური ან წარმოებისთვის გამზადებული მოდელი პირველად იქნა ნაჩვენები.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ავტოსალონზე დასწრების რეკორდული მაჩვენებელი იმის ნიშანია, რომ 2003 წელს ამერიკის ავტობაზარზე გაყიდვების მაღალი დონის შენარჩუნებაა მოსალოდნელი. აღსანიშნავია, რომ აქამდე დეტროიტის ავტოშოუზე სარეკორდო დასწრება 2000 წელს დაფიქსირდა, როცა "კობო სენტერს" 802 301 მნახველი ეწვია.

წლევანდელ შოუში მასპინძლის როლში გამოდიოდა 1800-ზე მეტი კომპანიის 28000-ზე მეტი სპეციალისტი, რომლებიც დამთვალიერებლებს მოკლე ექსკურსიას უტარებდნენ თავიანთი კომპანიების პროდუქციის შესახებ. ავტოშოუს კი, საერთო ჯამში, 6 600 ჟურნალისტი აშუქებდა, რომელთა 40 პროცენტი უცხოელი იყო.

## "ფორდის" ბესტსელერი-"ასპროცენტიანი ამერიკელი" და მოდელ T-ს გამოძახილი

დეტროიტის ავტოშოუს დღეებში "კობო სენტერში" ყველაზე მოუცლელი ადამიანი იყო "ფორდის" სადიზაინერო განყოფილების შეფი, ჯეიმს მეისი. მისმა ქვეშევრდომებმა სალონისთვის რამდენიმე სიახლე მოამზადეს, რომელთა შორისაც ნამდვილ ვარსკვლავად იქცა ახალი მუსტანგი", და თან "ფორდი" წელს ასი წლის იუბილეს აღნიშნავს და ამასთან დაკავშირებით უამრავ ღონისძიებას გეგმავს. რა თქმა უნდა, საიუბილეო წელიწადი არ ჩაივლის სერიოზული სიახლეების გარეშე, რომელთა დიდი ნაწილი კომპანიამ წლის დასაწყისშივე გააცნო პოტენციურ მყიდველს.

"ცისფერმა ოვალმა" დეტროიტში საკუთრივ "ფორდის", "ლინკოლნის", "ასტონ მარტინის", "მერკურისა" და "მაზდას" მარკებით წარმოებისთვის გამზადებული ან კონცეპტუალური 15 ავტომობილი გამოფინა.

მათ შორის "მუსტანგის" შემდეგ "მეორე ვარსკვლავის" რანგში თავს იწონებდა ამერიკაში მეტად პოპულარული პიკაპების კლასის უპირობო ლიდერი - F-150, რომლის დიზაინიც 1997 წლის შემდეგ პირველად განახლდა და ამის მიუხედავად, იგი თავისუფლად ინარჩუნებდა ამერიკული საავტომობილო ბაზრის ლიდერის პოზიციას - შარშან ამ პიკაპის სხვადასხვა მოდიფიკაციები 800 ათას ცალზე მეტი გაიყიდა.

ახალი თაობის F-150 2004 წლიდან გაჩნდება ბაზარზე. იგი გარეგნულად ძირეულად განსხვავდება წინამორბედისგან, ძირითადად - მომრგვალებული ფორმებით. რაც მთავარია, ავტომობილი აღიჭურვა სრულიად ახალი შასით, რომელიც მძღოლსა და მგზავრებს მეტი კომფორტით უზრუნველყოფს. ამასთან, გაცილებით უფრო გახისტდა ძარა.

საბაზო აგრეგატად ახალი F-150 მიიღებს 4.6-ლიტრიან V8-ს, რომელიც 231 ცხენის ძალას ავითარებს. (აგრეგატების გამაში ყველაზე მძლავრია 5.4-ლიტრიანი V8 304 ცხენის ძალით).

აღსანიშნავია, რომ F-150-ს შეუძლია, გადაიტანოს 1315 კილოგრამიანი ტვირთი, ან ბუქსირით ჩაიბას მისაბმელი, რომლის საერთო მასაც 4.3 ტონას არ აღემატება.

როგორც წესი, F-150 მყიდველს მიეწოდება ორი სახის - ჩვეულებრივი (რეგულარ კებ) და შეწყვილებული (სუპერ კებ) ძარით, რომელიც ჩვეულებრივზე 15 სანტიმეტრით გრძელია.

კონცეპტუალურ მოდელებს შორის გამოირჩეოდა ორი ავტომობილი - სედანი 427 და მოდელი U. მეისის თქმით, მოდელი 427 თანამედროვე, "ჭეშმარიტად ამერიკული" სედანია, რომლის შემქმნელებმაც ნიმუშად აიღეს 60-იან წლებში მეტად პოპულარული სტილი. ყოველივე ამის გამო, ამ ავტომობილს წილად ხვდა ისეთი პრესტიჟული მეტსახელი, როგორიცაა "ამერიკული სედანების რენესანსი".

მოდელი 427 "ცისფერი ოვალის" მომავლის ძვირფასი ავტომობილების შესაძლო დიზაინის დემონსტრირებას წარმოადგენს. იგი აღჭურვილია 590 ცხენის ძალიანი V10-ით და, როგორც მეისი ამბობს: "ეს ავტომობილი შეიძლება გახდეს თქვენი სახლი, მან უნდა დაიპყროს თქვენი გულები. კონცეპტი 427 - ესაა ასპროცენტიანი "ფორდი", ასპროცენტიანი ამერიკელი".

რაც შეეხება კონცეპტუალურ მოდელ U-ს, მეისის თქმით, ესაა კომპანიის მუზეუმიდან გამოტანილი და 21-ე საუკუნის შესაფერისად ინტერპრეტირებული ლეგენდარული მოდელი T. U-ში შეხამებულია დიდი გამავლობის სპორტული უნივერსალის, სედანისა და მინივენის საუკეთესო თვისებები. იგი წარმოებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ სანამ კონვეიერამდე მიაღწევდეს, სერიოზული მოდერნიზების გავლა მოუწევს.

"ფორდის" სტენდებზევე თავს იწონებდა სპორტულ უნივერსალ "ფრისტაილის" კონცეპტუალური ვარიანტი, რომლის წარმოების დაწყებაც 2005 წლისთვისაა დაგეგმილი. მას ოთხივე თვალი წამყვანი ექნება და აღჭურვილობაში მიიღებს უახლეს, 3-ლიტრიან V6 "დურატეკს". "ფრისტაილის" დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ მისი სამ რიგად განლაგებული სავარძლები ექვსი მგზავრის გადაყვანის საშუალებას იძლევა.

"ფორდის" განყოფილება "მერკურიმ" დეტროიტში წარმოადგინა კონცეპტუალური მოდელი "მესინჯერი", რომელმაც, მეისის თქმით: "მსოფლიოს უნდა აცნობოს, რომ ეს ლეგენდარული მარკა (მერკური) ჯერაც ცოცხალია და განახლებისთვის ემზადება".

არადა, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, კონცერნის აღმასრულებელი დირექტორი ჟაკ ნასერი მთელი სერიოზულობით აცხადებდა, რომ "მერკურიმ" ამოწურა თავისი შესაძლებლობები, მომავალი აღარ გააჩნია და უნდა დაიხუროს. თუმცა, ნასერი "ფორდში" აღარ მუშაობს, კონცერნის მმართველობამ კი გადაწყვიტა, დაიტოვოს "მერკური" "ცისფერი ოვალის" დიდ ოჯახში.

"მესინჯერი" პირველი მერცხალია, რომელსაც მალე მოჰყვება უგზოობის ახალი ავტომობილი, ორი მომცრო ზომის სედანი და ჰეჩბეკი. რაც შეეხება "მესინჯერს", მეისმა განაცხადა, რომ ამ კოხტა სპორტკარის მომავალი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა გამოხმაურება ექნება მას დეტროიტის შოუზე. მან არც ის გამორიცხა, რომ ეს კუპე მომავალში, შეიძლება, "მაზდა RX-8"-ს, ან "ფორდ კაპრის" სახით მოგვევლინოს.

"ფორდის" იაპონურმა შტომ, "მაზდამ" დეტროიტში წარმოადგინა "არწივის ფრთა" - მოდელი "ვაშუ" (ვაშუ იაპონურად არწივის ფრთას ნიშნავს). როგორც იაპონური კომპანიის დიზაინერული განყოფილების შეფმა, მორი კალუმმა განაცხადა, ეს ავტომობილი აუცილებლად დადგება კონვეიერზე. სერიული ვერსია კონცეპტუალურისგან განსხვავებული კი იქნება, მაგრამ მისი ძირითადი "ფილოსოფია" უცვლელი დარჩება.

"ფრისტაილის" დარად, ეს ავტომობილიც მრავალმხრივი დანიშნულებისაა. მას ექვსი მგზავრის გადაყვანა შეუძლია, მაგრამ საჭიროებისას პრობლემას არ წარმოადგენს მისი საბარგო ავტომობილად გადაკეთება. ამ შემთხვევაში მგზავრთა რაოდენობა ერთამდე შემცირდება. "ვაშუს" საჭე აღჭურვილია ელექტრონული სისტემით, steer-by-wire-თი, რომელიც ავტომობილის ნახევრად ავტომატურ რეჟიმში მართვის საშუალებას იძლევა.

## "გენერლები" ახალ ცხოვრებას იწყებენ

თუ "ფორდის" პავილიონში ყველაზე საქმიანი ჯეიმს მეისი იყო, "ჯენერალ მოტორსის" წარმომადგენელთაგან ყველაზე მეტი ჯაფა დაადგა კორპორაციის ვიცე-აღმასრულებელს, საავტომობილო კეისარად წოდებულ ბობ ლუცს. ეს იყო დეტროიტის პირველი შოუ, რომელზეც "გენერლებმა" სწორედ ლუცის (იგი ვიცე-აღმასრულებლად 2001 წლის ზაფხულში დაინიშნა) უშუალო მეთვალყურეობით შექმნილი ახალი ავტომობილები წარმოადგინეს, რომელთაგან რამდენიმე ნამუშევარმა ნამდვილი ფურორი მოახდინა სპეციალისტებსა და დამთვალიერებლებს შორის.

"ჯენერალ მოტორსის" მსოფლიო დებიუტების, თითქმის, ნახევარი "შევროლეს" მოდელებზე მოდიოდა. სამაგიეროდ, შოუს ნამდვილ ვარსკვლავად მოევლინა "კადილაკის" კონცეპტუალური "სიქსტინი", რომლის შესახებ ჩვენ ვრცლად გიამბეთ.

"გენერლების" სტენდის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო სპორტული სედანი "შევროლე" SS (ფაშისტური აბრევიატურა აქ არაფერ შუაშია, უბრალოდ, ორი "ესი" ნიშნავს "სპორტ სედანს").ამ ელეგანტური, მრგვალფორმებიანი, ოთხკარიანი სედანის დიზაინერები მისი შექმნისას აშკარად სარგებლობდნენ ძველი "მუსკლ ქარების" სტილით, უკანა მხრიდან კი მანქანა, ერთი შეხედვით, "ფერარისაც" მოგვაგონებს. მოკლედ, SS საავტომობილო დიზაინის მოწინავე იდეების ნაკრებია, რომელსაც ძარის ქვეშაც შესაბამისი აღჭურვილობა აქვს - 430 ცხენისძალიანი V8, რომელიც მაბრუნ მომენტს უკანა თვლებს გადასცემს.

"თქმა არ უნდა, ეს ჩვენს წლევანდელ დებიუტანტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ელეგანტური ავტომობილია", - განაცხადა ლუცმა და დაამატა, რომ ამ მოდელის კონვეიერზე დაყენების საკითხი განხილვის პროცესშია. ისე კი, "კობო სენტერში" მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, SS მომავალი ოთხკარიანი "კორვეტია", რომელსაც წელს 50 წლის იუბილე აქვს.

"შევროლეს" სტენდზევე ერთ-ერთი ვარსკვლავი იყო სრულიად ახალი პიკაპი "შეიენი" (ეს ინდიელთა ერთ-ერთი ტომის სახელია), რომელიც, "გენერლების" ამ კლასის სხვა ავტომობილებისგან განსხვავებით, ერთგვარად დაკუთხული ფორმებით გამოირჩევა, მაგრამ ეს სულაც არ აუშნოებს მას. პირიქით, ეს მას თვითმყოფადსა და "ძალისმიერ" იერს სძენს.

ამ ავტომობილისთვის გათვალისწინებულია 6-ლიტრიანი V8 კონფიგურაციის ძრავი "ვორტეკ", რომელიც 500 ცხენის ძალას და 780 ნ/მ მაბრუნ მომენტს ავითარებს. "შეიენს" უკანა თვლებიც მართვადი აქვს, რაც ამ დიდგაბარიტიან ავტომობილს ისეთივე მანევრულს ხდის, როგორებიც "გოლფის" კლასის ავტომობილებია.

"შევი SS"-ისა არ იყოს, "პონტიაკმაც" ოთხკარიანი კუპეს სტილის სედანი G6 უჩვენა შოუს დამთვალიერებლებს. ისევე როგორც "კადილაკ სიქსტინს" და "შევი SS"-ს, "პონტიაკ G6"-საც ულტრათანამედროვე ელექტრომართვადი ძრავი აქვს, რომლის ელექტრონული "ტვინი" მოქმედებს პრინციპით (DoD - დისპლეისმენტ-ონ დიმანდ) "მუშა მოცულობა მოთხოვნილების მიხედვით". ესე იგი, მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე, ითიშება ცილინდრების გარკვეული რაოდენობა, რაც ძრავს უფრო ეკონომიურ რეჟიმში მუშაობის საშუალებას აძლევს.

ლუცის განცხადებით, ეს "ბიჭი" პრაქტიკულად მზადაა წარმოებისთვის. ამისათვის "პონტიაკს" მოსამზადებლად 18 თვე დასჭირდება, რის შემდეგაც G6-ს "პონტიაკ გრანდ ამერიკენად" მონათლავს და კონვეიერის გზას გაუყენებს. თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ძრავის მართვის სისტემა DoD უკვე მზადაა სერიული წარმოებისთვის. მას ჯერ კიდევ ესაჭიროება სრულყოფა.

მოდელ "სენტიმით" "ბიუიკი" თავისი ავტომობილების სახელებში კვლავ სიტყვა საუკუნეს იყენებს. ადრე ცნობილი იყო მოდელი "სენჩური" (სენჩური ინგლისურად საუკუნეს ნიშნავს), ახლა კი მისი ფრანგული შესატყვისი "სენტიმი" დაერქვა "ჯენერალ მოტორსის" ამ განყოფილების სრულიად ახალ ავტომობილს, რომელიც აერთიანებს სედანსაც, უნივერსალსაც და უგზოობის ავტომობილსაც. ამასთან, იგი ელეგანტური, მომრგვალებული ფორმებით გამოირჩევა.

"სენტიმში" ნათლადაა ასახული "ბიუიკის" მიერ არჩეული კურსი. "ამ მოდელით გვინდოდა, ყველასათვის გვეჩვენებინა, რომ ახლო მომავალში ჩვენი მარკა უფრო მაღალი კლასის ავტომობილების წარმოებას დაიწყებს", - განაცხადა "ბიუიკის" გენერალურმა მენეჯერმა, როჯერ ადამსმა.

რამდენადაც მონათესავე "კადილაკი" სუპერკლასისკენ გადაინაცვლებს, "ბიუიკი" სწორედ მისგან გამოთავისუფლებულ სეგმენტს შეავსებს და მის სამოდელო გამაში ერთ-ერთი პირველი სწორედ "სენტიმი" იქნება. მისთვის ასეთი სახელის დარქმევის მიზეზიც გასაგები ხდება - "ბიუიკისთვის" თვისობრივად ახალი ხანა იწყება.

რაც შეეხება "სენტიმის" ტექნიკურ აღჭურვას: მის კაპოტქვეშ განლაგდება 3,6-ლიტრიანი V6, რომელიც 400 ცხენის ძალასა და 630 ნ/მ მაბრუნ მომენტს იძლევა. თანაც, ისევე როგორც "სიქსტინი" და SS, ეს აგრეგატიც DoD სისტემით იქნება აღჭურვილი.

## დანარჩენი ამერიკელები

წინა წლებისგან განსხვავებით, გაცილებით მწირი იყო "დაიმლერკრაისლერის" პავილიონი. უფრო სწორად, იქ ნაკლებად იყო წარმოდგენილი თვალისმომჭრელი (თუ არ ჩავთვლით ფანტასტიკურ კვადრიციკლ "ტომაჰაუკს") სიახლეები, რომელთაგან აღსანიშნავია ახალი თაობის "დოჯ დურანგო", "დოჯ ავენჯერი" და მოდელ "PT კრუიზერისა" და "კრაისლერის" მინივენების ახლებური ინტერპრეტაცია - ავტომობილი "კაჰუნა".

კონცეპტუალური "ავენჯერი" უგზოობის ავტომობილია, მაგრამ, ამ კლასისთვის დამახასიათებელი ნიშნების გარდა, მას სპორტული გარეგნობაც აქვს. "დაიმლერკრაისლერის" წარმომადგენლებმა ეს მანქანა კუპეს კლასს მიაკუთვნეს, თუმცა განაცხადეს, რომ იგი ეგრეთ წოდებული "ქროსოვერების" (სპორტული ყველგანმავალი) კლასში დაიკავებს ადგილს.

დეტროიტში თავისი სიახლე წარმოადგინა პენტაგონმაც - სამხედროებმა "კობო სენტერში" მნახველს წარუდგინეს ჯავშნოსანი ავტომობილი სახელად "სმარტტრეკ II". ამ მონსტრს ადვილად შეუძლია ნებისმიერი მდევრისგან თავი დაიძვრინოს - მდევარს სიურპრიზად გზაზე ზეთს უსხამს, კვამლის ფარდას უტოვებს და გზადაგზა ლურსმნებს უყრის, სწორედ ისე, როგორც ფილმებში გვინახავს.

გარდა ამისა, ავტომობილის სახურავში დატანებულია ლუკი, სადაც შესაძლებელია მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევისა და ყუმბარმტყორცნის დაყენება. თითოეული კარის თავზე მოთავსებულია სპეციალური მოწყობილობა, რომელსაც მოკლე დროში მაღალი კონცენტრაციის ცრემლმდენი გაზის გამოფრქვევა შეუძლია. და თუ თავდამსხმელი მაინც შეძლებს ავტომობილთან მიახლოებას, მასში მსხდომთ 110-ვოლტიანი ელექტრომუხტი დაიცავს, რომელიც კარების სახელურებში გაივლის და მოწინააღმდეგეს ავტომობილში შეღწევის ყოველგვარ სურვილს დააკარგვინებს.

დეტროიტშივე წარმოდგენილი იყო ბევრი არაამერიკული პროდუქცია, რაც უდავოდ იმსახურებს ჩვენი მკითხველის ყურადღებას. მათ შესახებ მოგვიანებით აუცილებლად მოგითხრობთ. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას "აუდის", "ბეემვეს", "ტოიოტას", "ნისანის", "კიას" კონცეპტუალური მოდელები იმსახურებენ.


ფორდ F-150



ფორდ 427


დოჯ ავენჯერი


ფორდ U


მერკური მესინჯერი


მაზდა ვაშუ


შევროლე SS


სმარტტრეკ II


ბიუიკი სენტიმი


შევროლე შეიენი

www.24hours.ge
24
B

ნომრის პერსონა

# □□□□□□□□ “□□□□□□□ □□□□”

მაია ჭალაგანიძე

**- საკმაო დრო გავიდა, რაც თქვენ უშიშროების სამინისტრო ჩაიბარეთ. როგორ მიმდინარეობს რეფორმა. შედეგი ალბათ გექნებათ.**

- სწორედ გუშინ ჩავატარეთ კონტრდაზვერვის პირველი ტესტირება. თითქმის ყველამ წარმატებით გაიარა. თუმცა, კითხვები მარტივი იყო. თავის დროზე, თანამშრომლებმა პროტესტი გამოთქვეს - იურისტები ხომ არ ვართო, მაგრამ ვფიქრობ, რომ პირველ რიგში სწორედ იურისტები უნდა იყვნენ. ტესტირებას ყველა დანაყოფები გაივლიან და ეს ატესტაციის პირველი ნაწილი იქნება. სამინისტროში 10 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა ატესტაცია. სწორედ ატესტაციის საფუძველზე დაიწყება გარკვეული დანიშვნები. განყოფილების უფროსები და ზემდგომნი კოლეგიაზე გადიან, სადაც კანდიდატურას განიხილავენ. მათ, ვინც რეკომენდაციებს იძლევა, ვაფრთხილებ, რომ პასუხისმგებელნი იქნებიან ყოველი რეკომენდაციისთვის.

რაც შეეხება - კანონებს. მზად არის სამი კანონპროექტი - "უშიშროების სამსახურის შესახებ", რომელიც მთლიანად ახალი კანონია, "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" და "კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ", რომელიც საქართველოში მომზადდა.

**- რა არის სიახლე. მახსოვს, უშიშროების ანალიტიკურ სამსახურად გარდაქმნა თქვენი ინიციატივა იყო და ის მთავრობამაც მოგიწონათ.**

- მოდით, დავაზუსტოთ. არსებობენ წმინდა საინფორმაციო სპეცსამსახურები, რომლებიც მხოლოდ ინფორმაციის მოპოვებისათვის ეწევიან ოპერატიულ სამუშაოებს და შემდგომ მის ანალიზს აკეთებენ. ასეთი სპეცსამსახურებია ინგლისში და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. არიან სპეცსამსახურები, რომელთაც ამასთან ერთად სამართალდაცვითი ფუნქცია აქვთ, ანუ - იჭერენ მათ, ვინც დასაჭერია.

**- ჩვენთან რა შეიცვლება?**

- ჩვენთან, ტრადიციულად, უშიშროების სამსახური ორივე ფუნქციას ატარებდა. თუ კაცს მოსვენება და კარიერის დიდხანს და მშვიდად შენარჩუნება აინტერესებს, სჯობს იყოს კლასიკური სპეცსამსახური. მიიღე ინფორმაცია, გადაეცი და დანარჩენი არ გეხება. მაგრამ, თუ გამოძიების ფედერალურ ბიუროს დავეტოლებით (ფორმით), სამართალდაცვითი ფუნქცია გვრჩება და ამას, არსებულ სიტუაციაში არავინ ჩამოგვაშორებს, რადგანაც ამ სიცარიელეს დღეს სხვა ვერავინ შეავსებს. აქედან გამომდინარე, ისევ სამართალდაცვითი ფუნქციის მქონე სპეცსამსახური დარჩება.

სიახლე იქნება სტატუსთან დაკავშირებით. სამინისტროს რანგის სპეცსამსახური მთელს მსოფლიოში მხოლოდ აზერბაიჯანსა და ტაჯიკეთშია დარჩენილი. ეს არ იქნება მინისტრის რანგის პოლიტიკური თანამდებობა. ჩვენთან მინისტრი პოლიტიკური ფიგურაა და სხვა მიმართულებები აქვს. სტატუსის შეცვლა ბევრი რამისგან გამათავისუფლებს და სამსახურს იმის გარანტიას შეუქმნის, რომ იგი მართლაც დეპოლიტიზებული იქნება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა კონტრდაზვერვითი საქმიანობის ლეგალიზება. დღეს მოქმედი ოპერატიული სამძებრო საქმიანობის კანონი დაკავშირებულია მართლწინააღმდეგობასთან ანუ, გარკვეული თვალსაზრისით, დანაშაულთან. კონტრდაზევრვითი საქმიანობაც ამას უკავშირდება. უცხო ძალის წინააღმდეგ ქვეყანა ყოველთვის იტოვებს მოქმედების უფრო ფართო საშუალებას და არ სვამს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩოებში. მარტივად რომ ავხსნა, დღეს ოპერატიული სამძებრო სამუშაოები, რომლისთვისაც მოსამართლის სანქცია არის საჭირო, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე მხოლოდ შვიდი დღით ადრე შეგვიძლია ვაწარმოოთ. აღძვრის შემდეგ კი ამას თავისი პროცედურა აქვს. მოწინააღმდეგის სპეცსამსახურის თანამშრომელს, რომელსაც ხშირად რამდენიმე თვის და წლის განმავლობაში ვაკვირდებით, უნდა წინასწარ ვაცნობოთ ამის შესახებ. ასეთი რამ არსად ხდება. უცხო ძალას ყველა პრიორიტეტულ მდგომარეობაში აყენებს და თავის სპეცსამსახურს მათთან ურთიერთობისას განსაკუთრებულ უფლებებს აძლევს (რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში). ამიტომაც ამ კანონის ლეგალიზებას ვახდენთ. სამწუხაროდ, თავის დროზე ეს ამოვარდა ოპერატიული სამძებრო საქმიანობის ფარგლებიდან. მაშინდელმა პროფესიონალებმა ხმა არ ამოიღეს. მაშინვე უნდა ეთქვათ, რომ ეს საქმიანობის მნიშვნელოვანი სფეროა და სპეცსამსახური ამის გარეშე ვერ იმუშავებს. სხვათა შორის, აშშ-მ ტერორიზმთან ბრძოლაც კონტრდაზვერვითი საქმიანობის ჩარჩოში მოაქცია.

სიახლე საკადრო თემატიკასთან არის დაკავშირებული და გვინდა, რომ ნაკლებად გასამხედროებული ვიყოთ. გვინდა შემოვიღოთ სამოქალაქო რანგები...

**- ფუნქციები ხომ არ შეგიმცირდებათ?**

- ჩვენი ფუნქციები ამით კი არ შემცირდება, არამედ - დაზუსტდება და უფრო მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული. შეიძლება ბევრის გაღიზიანება გამოიწვიოს, მაგრამ მარტივ მაგალითს გეტყვით: დღეს საქართველოში თავისუფლად შეიძლება შემოიტანო ე.წ. მოსასმენი აპარატურა, რომელიც ბაზარზე დაახლოებით 80-დან 100 000 დოლარამდე ღირს. ზოგიერთებისთვის ეს არ არის დიდი თანხა. აპარატურას სახლში დადგამ, მოაწყობ ოფისს და უსმენ ვისაც გინდა ისე, რომ მოსამართლის სანქციაც არ გჭირდება. არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეულ ჯგუფებს ეს უკვე აქვთ...

**- თქვენ ბლოკ "აღორძინების" განცხადების კონტექსტში ხომ არ ამბობთ ამას?**

- ნამდვილად არა და არც კომენტარს გავაკეთებ, რადგან ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით კანონს არ ვარღვევთ.

**- სანამ უშიშროების რეფორმა დასრულდება, რას აკეთებს უშიშროების სამსახური უცხო ქვეყნის ინტერესების დამცველი ძალების აშკარა გააქტიურების წინააღმდეგ? მაგალითად, ორგანიზაცია "დათვი", რომელსაც რუსეთთან პოლიტიკური ინტეგრაცია სურს. ახლა საკავშირო დაქვემდებარების სამსახურების პენსიონერთათვის 100 დოლარის დანიშვნას აპირებს და მოწმედ რუსეთის ოფიციალურ წყაროებსაც ასახელებს. ასეთი ჩვენს ქვეყანაში 20 000 ადამიანია და არ უნდა გესწავლებოდეთ, რას ნიშნავს დღეს მათთვის ხელფასის გადახდა...**

- დღეს ოპერატიული სამძებრო საქმიანობის პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობა კანონით იკრძალება.

**- საქართველოს თუ არ ჩავთვლით, ტერორიზმის ბრალდებით გასამართლებულთა შეწყალება არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. ამ მძიმე ბრალდების მქონე პირები, ვფიქრობთ, ყურადღების გარეშე არც შეწყალების შემდეგ უნდა დარჩნენ...**

- ჩემთვის კანონის იქით გვარი და სახელი არ არსებობს. თუ ისინი კანონს არ არღვევენ, ჩვენი ინტერესების სფეროში ვერ შემოვლენ. თუმცა, მიმაჩნია, ჩვენ რომ ამ საქმიანობის გაკონტროლების ლეგალური საშუალება გვქონდეს, რა თქმა უნდა, უცხო ძალასთან დაკავშირებული ნებისმიერი ჯგუფი, აპრიორი უნდა იყოს ჩვენი კანონიერი ინტერესების საგანი. ეს ყველგან ასეა და თუ ახალი ველოსიპედის გამოგონებას შევეცდებით, ეს ქვეყნის უსაფრთხოებას არ წაადგება.

**- საქართველოში პოლიტიკის კრიმინალიზაცია განსაკუთრებით შესამჩნევი ისევ ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე გახდა. ძალმომრეობა და იარაღი პოლიტიკაში თითქმის ჩვეულებრივი მოვლენაა (თავისუფლების ინსტიტუტისა თუ "ახლების" ოფისის დარბევა, ადამიანთა ცემა და გატაცება, შეკვეთილი მკვლელობები...). რადგანაც ამას სისტემატური ხასიათი აქვს, ალბათ, ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციებს სცილდება და ქვეყნის უსაფრთხოებას უკავშირდება...**

- ეს მე უშიშროების საბჭოსა და იუსტიციის საბჭოს ერთობლივ სხდომაზე განვაცხადე. როდესაც ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაცია ამ დონეზეა მისული, უსაფრთხოების პრობლემა დგება. სწორედ ამიტომაც ვართ ჩართული ამ პროცესებში და ამ მიმართულებით შსს-სთან ერთად აქტიურად ვიბრძოლებთ.

სხდომაზე საუბარი იყო ფინანსურ ოლიგარქებზე და ოლიგარქიულ პრობილიტიზმზე, ანუ ფულით მოსყიდვასა და გადმობირებაზე (თუნდაც, კანონიერ ყიდვაზე). როდესაც ქვეყნის ბიუჯეტზე 4-ჯერ, 5-ჯერ მეტი ფული შემოდის (როგორი წარმოშობისაც უნდა იყოს ის), თუ გარკვეულ ჩარჩოებში და თამაშის წესებში არ მოაქციე, რა თქმა უნდა, საფრთხეს წარმოადგენს. მაგალითად, დიდი ფულის მქონე ნებისმიერ ადამიანს თავისუფლად შეუძლია, მივიდეს საბანკო სავალუტო ბირჟაზე და ყოველგვარი წესების დაცვით ერთი საათი ითამაშოს... შედეგებზე აღარ ვისაუბრებ, რომ არ თქვან, უშიშროების მინისტრმა გარკვეული მინიშნებები გააკეთაო.

მეორე თემა კანონიერი ქურდების თემა იყო. ეს ჯგუფები თავისი “ტრადიციების” აბსოლუტური დარღვევით არამხოლოდ პოლიტიკისა და ბიზნესის თემებში არიან ჩართულნი, არამედ, სამართლებრივად დადგენილ შეიარაღებულ კრიმინალურ ფორმირებებსაც წარმოადგენდნენ... დაკონკრეტება არ მინდა. დღეს ზოგიერთ რეგიონში კიდევ შემორჩა გარკვეულ ჯგუფებთან ასოცირებული უკანონო ფორმირებები და ფირმები, რომელიც დეტექტიური საზოგადოებების სახით არიან ჩამოყალიბებული და რომელთა უკანაც დაინტერესებული ჯგუფები დგანან.

**- თქვენი ანალიტიკური სამსახური რა შეფასებებს აკეთებს, რითია ეს პროცესები გამოწვეული და იქნებ რაიმე პროგნოზიც გააჩნია - როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

- ამ მიმართულებით საკუთარი ანალიზიც გამაჩნია და ღია წყაროების ანალიზის სამსახურის მიერ გაკეთებული შეფასებებიც. არსებულ კრიმინოგენულ ვითარებასთან დაკავშირებით განვაცხადე, რომ ამ სიტუაციამ შეიძლება განგსტერულ გარჩევებამდე მიგვიყვანოს. სამწუხაროდ, ვითარება აქეთკენ მიდის...

**- ძალმომრეობის თემამ რელიგიური ხასიათიც მიიღო. მკალავიშვილი, საქართველოს უსაფრთხოების ლამის ერთადერთ საფრთხედ გამოცხადდეს...**

- საერთოდ, ჩვენთან ყველაფრის ანგაჟირება ხდება. ანგაჟირებითი ელემენტები ცალკეულ რელიგიურ, პოლიტიკურ ფიგურებს და ზოგიერთ მწერალ ადამიანსაც (ჟურნალისტებს არ ვგულისხმობ) აქვთ. უშიშროების სამინისტროს გალანძღვა დღეს ძალზე ადვილია. თუმცა, გავაკეთებთ იმას, რასაც შევძლებთ. ამერიკელები აცხადებენ, რომ ებრძვიან იმას, რასთან ბრძოლაც შეუძლიათ. ყველაფერთან ბრძოლა აბსურდია.

**- სპეცსამსახურების ისტორიას თუ გადახედავთ, თქვენი სამსახურის ხილული და უხილავი ქმედებები იქონიებენ თუ არა რაიმე ზეგავლენას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე?**

- არ მინდა, პოლიტიკური ვითარება შევაფასო. რაც შეეხება კრიმინოგენულ სურათს - უნდა შევცვალოთ, თორემ ქვეყანა დაიღუპება.

**- ამისთვის რეალური ძალები გაგაჩნიათ? ირგვლივ ხომ კორუფცია მძვინვარებს.**

- პანკისზეც ასე ამბობდნენ, მაგრამ აბსოლუტურად ჩვენი ძალებით გავაკეთეთ ყოველივე. კორუფციასთან დაკავშირებით კი კონკრეტული გეგმები გაგვაჩნია. ვაპირებთ ჩამოვაყალიბოთ მცირერიცხოვანი ელიტარული სამსახური მაღალი ხელფასით. შეიძლება უწყებაში რაღაც კორუფციული ხდებოდეს, მაგრამ ეს ჯგუფი ისეთი იქნება, ხელს რომ ვერავინ გაიშვერს მისკენ.

**- ამ ბოლო ხანს კვლავ წამოიწია პანკისის თემამ. მხოლოდ გაზაფხულის მოსვლასთან და გზების გახსნასთან არის ეს დაკავშირებული? როგორ გგონიათ, რატომ ახლა და რატომ პანკისი?**

- სამწუხაროდ, ეს დაკავშირებულია არასწორ აჟიოტაჟთან (გლიცინის თემას ვგულისხმობ). თავად ბრიტანულ პრესაში ფაქტები სწორად არ იყო აღწერილი. ეს დაახლოებით ორი წლის წინ ხდებოდა. ამერიკაში, ნიქსონის ცენტრში გამოსვლისას აღვნიშნე, რომ მიუხედავად ჩვენი მრავალი მცდელობისა, ინგლისის სპეცსამსახურებისგან ამის ოფიციალური დასტური ვერ მივიღეთ.

რაც შეეხება, გაზაფხულის თემას. ეს მართლაც მნიშვნელოვანია, რადგანაც გზების გახსნასთან ერთად არ არის გამორიცხული ბოევიკების აქეთ გამოდევნა. ჩვენ აქტიურად უნდა გამოვიყენოთ "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებული ხალხი, რადგანაც ეს ჯგუფი სწორედ ანტიტერორისტული მიმართულებისთვის გაწვრთნეს და აღჭურვეს. იმედი გვაქვს, რომ რუსეთის შესაბამისი სამსახურებიც ბოლოს და ბოლოს დაკეტავენ საზღვარს და არც აქედან და არც იქიდან გადმოსვლის საშუალებას აღარავის მისცემენ.

**- ცნობილია, რომ თქვენს სამსახურს რუსეთის სპეცსამსახურებთან გარკვეული თანამშრომლობა აქვს...**

- დიახ, ჩვენ გვაქვს თანამშრომლობა და მინდა განვაცხადო, რომ თანამშრომლობა მექნება ყველასთან, ვინც ჩემი ქვეყნისთვის სასარგებლო შედეგს მოიტანს.

მიმაჩნია, რომ რუსეთის ჩართვა ამერიკა-საქართველო-რუსეთის სამკუთხედში და საქართველოში ამ ორი ქვეყნის სპეცსამსახურების ერთად მუშაობა ძალზე დიდი მიღწევაა. პოლიტიკურ ჭრილში ამგვარი სამკუთხედის შეკვრა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა მაშინ, როდესაც სამსახურების დონეზე ეს უკვე დადებითად მუშაობს.

**- შტატებსა და იაპონიაში თქვენი ვიზიტი პანკისის თემის წამოწევას დაემთხვა...**

- იაპონიაში კერძო პირმა მიმიწვია და ოფიციალურ პირებთან ჩემი შეხვედრა მისი ორგანიზებული იყო. იცით, რომ იაპონელებს საქართველოში წმინდა საინვესტიციო ინტერესები აქვთ. მათ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენში მნიშვნელოვანი წილი შეიძინეს და დაინტერესებულნი არიან უსაფრთხოების საკითხებით. თუმცა, იქ მხოლოდ ორი დღე დავრჩი. ძირითადი ამერიკა იყო.

**- დასავლეთი საქართველოსთან ურთიერთობებში, თითქოს, გაცივდა. ამას ერაყის ომისთვის მზადება დაერთო. თქვენი აზრით, ეს ასეა? სად არის დღეს საქართველოს ადგილი?**

- ურთიერთობების გაცივებას ვერ დავეთანხმები - ყოველ დღე საქართველოზე ვერ ისაუბრებენ. პროცესებს ტალღისებური მოძრაობები ახასიათებს. მიმაჩნია, რომ ამერიკამ საქართველოში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა და აქ მას თავისი თემები აქვს.

**- ნიქსონის ცენტრში თქვენი გამოსვლის თემა რა იყო?**

- ძირითადი თემატიკა აფხაზეთი, პანკისი და საქართველოში შექმნილი სიტუაცია გახლდათ.

**- როგორ და ვინ შეაფასა თქვენი გამოსვლა?**

- საკმაოდ წონიანი აუდიტორია იყო. ესწრებოდა ყოფილი ელჩი იალოვეცი, რემლერი, სახელმწიფო დეპარტამენტისა და კონგრესის კომიტეტების წარმომადგენლები. მხოლოდ მათ ტაქტიანობას ნუ დავაბრალებთ და საკმაოდ დადებითი შეფასება მივიღე.

**- ზოგ შემთხვევაში განგაშს გვიან ვტეხთ - ასე იყო აფხაზეთის გარშემო უკანასკნელ ხანს ატეხილი აჟიოტაჟიც. რამდენად დროული და ადეკვატური ინფორმაცია მოგდით აფხაზეთიდან?**

- პასპორტების თემა, ჩვენთვის საკმაო ხანია, ცნობილია. უშიშროების სამინისტრომ დაახლოებით ზაფხულში ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაწოდა ინფორმაცია. მათ თავის მხრივ, არაერთი ნოტა გააგზავნეს. სხვა ბერკეტი, როგორც ცნობილია, არ გაგვაჩნია.

სხვათა შორის, მატარებლის თემას შიგნით აფხაზეთშიც გარკვეული დაძაბულობა მოჰყვა. მატარებლის დანიშვნამ ადგილობრივი ავტობუსებისა და ტაქსების ბიზნესის ჩავარდნა გამოიწვია. მძღოლები, ერთ ხანს, ხიდის აფეთქებითაც იმუქრებოდნენ. ასე რომ, თუ პროცესები სხვაგვარად განვითარდა, სულ ჩვენი ბრალი არ იქნება.

შეტყობინება და კოორდინაცია მართლაც უნდა იყოს. მიმაჩნია, რომ ამაში ჩვენც უნდა ვაქტიურობდეთ. მე თუ ვამყარებ რაღაც ურთიერთობებს, ეს სხვამაც უნდა მოახერხოს.

**- იქნებ თქვენ მაინც თქვათ, ვინ არის ეს "მესამე ძალა?"**

- სწორედ რომ არ უნდა ვთქვა. მე უნდა ვებრძოლო. ძალიან ბევრჯერ დავინტერესებულვარ ამ თემით და ხშირად ეს "მესამე ძალა" უფრო ჩვენში აღმომიჩენია.

თუ კონკრეტულად ვისაუბრებ, გარედანაც არიან უამრავი ძალები. ის "მესამე ძალა", რომელზეც უმრავლესობა მიუთითებს - ჩვენში დევს.



## "კრიმინოგენული სურათი თუ არ შეიცვალა, ქვეყანა დაიღუპება"







## ანა კორძაია-სამადაშვილის სვეტი

# შორია ჩუმდე...



*დიდი, დიდი ხნის წინათ, მებრძოლ სამეფოთა ხანაში, დაიწერა ჩინელებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წიგნი, "ჭანგო ცე" – "მებრძოლ სამეფოთა პოლიტიკა და სტრატეგია". მრავალ სხვა საინტერესო ამბავთან ერთად იქ ისიცაა მოთხრობილი, რა უამბო გაოცებულმა ძი ლიანმა სამეფო ვეის მმართველს, ვეივანს: "ქალაქიდან რომ გავედი, ვხედავ – კაცს ეტლი პირით ჩრდილოეთისკენ დაუყენებია და მეუბნება: "ჩუს სამეფოში მინდა მოვხვდე." მე ვუთხარი: "ჩუში მიბრძანდები? მაშ, პირი ჩრდილოეთისაკენ რად გიქნია?" მან მიპასუხა: "ცხენი მყავს კარგი." მე მივუგე: "ცხენი კი კარგია, მაგრამ ეს გზა რომ ჩუში არ მიგიყვანს?" მან კვლავ განაგრძო: "სამგზავროდ ბევრი ფული მაქვს." ვუპასუხე: "გზაში ბევრი ფული თავისთავად კარგია, მაგრამ ეს გზა რომ ჩუსკენ არ მიდის!" ისევ თავისას ადგა: "ჩემი მეეტლე ყველაზე მარჯვეა." ყველა ეს პირობა საუკეთესოა მგზავრისთვის, მაგრამ გეზი არაა სწორად აღებული, და მოგზაური, უთუოდ, სულ უფრო მეტად დაშორდება სამეფო ჩუს..."*

ის უცნაური ლოგიკური მსჯელობის ფორმა, რომლის შესახებაც მინდა გიამბოთ, ძირითადად, ქალებს ახასიათებს. ქალების ამ კატეგორიას უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქართველი ხალხი საუკეთესოდ გაეცნო. სულ ერთია, მდიდრები არიან თუ ღარიბები, ლამაზები თუ უშნოები, უბრალოდ გაუთხოვრები თუ უპერსპექტივოდ მარტოხელები – მათ ერთი რამ აერთიანებთ: დაუკმაყოფილებლობა. მათ არავინ და არაფერი მოსწონთ და მუდამ განაწყენებული არიან.

ეს მდედრები ერთ მამრს ამოირჩევენ ხოლმე და კრიახით ერევიან მის ცხოვრებაში. თითო-თითოდ არ აქტიურობენ, ამას ვერ "ქაჩავენ" – ჯოგური ცხოვრების წესი, მოგეხსენებათ, ბევრად უფრო მოსახერხებელია და მითქმა-მოთქმისგანაც დაცული ხარ... მათი რჩეული მამრი თანაბარი წარმატებით შეიძლება იყოს სასულიერო პირი, ასოციალური ფილოსოფოსი ან სახელმწიფო მოღვაწე. უკმაყოფილო მდედრებს მისი მამაკაცური ენერგია იზიდავს, მაგრამ ამაში არასოდეს ტყდებიან: "კარგი, რა, ყველაფერი ეგ ხომა არაა, ბოლოსდაბოლოს", ან "შენ რა ყველაფერი ისე გესმის" – ნეტა, როგორ? ისინი ხომ უანგაროდ და თავდადებით ემსახურებიან თავიანთ მამრს, რომელსაც ან მამაოს უწოდებენ, ან მეგობარს, ან მასწავლებელს – სულ ერთია: ბავშვებს უზრდიან, სახლს ულაგებენ, საჭმელს უზიდავენ, ფულს აწვდიან... განსაკუთრებით სანუკვარი ის მდგომარეობაა, როცა მამრი ავადაა. აბა, რა იცის მისმა იდიოტმა ცოლმა და მით უმეტეს, საყვარელმა (ფუ!), კაცს რა სჭირდება! კაცს სჭირდება დაცვა! (ძირითადად, არასასურველი მდედრებისგან, მაგრამ ჩვენ, მოგეხსენებათ, ყველაფერს ვაბანძებთ და ყველაფერი იმნაირად გვესმის).

დედაკაცები თავიანთი მამრის საზოგადოებრივი მდგომარეობის განმტკიცებაზეც მუშაობენ. შესანიშნავი ლოგიკა აქვთ:

მართალია, კაცმა მასზე მინდობილი საქმე სავსებით ჩააფლავა, ის განუწყვეტლივ იტყუება, მისი ათასობით თანამშრომელი მრავალი თვეა, უხელფასოდ ირჯება – სამაგიეროდ, პატიოსანი მოხელეა, ქრთამს არ იღებს. როგორ ბედავ მისი საქმიანობის კრიტიკას, მაგას ბაირონი ორიგინალში აქვს წაკითხული! თან ლოთია და ცოლს ურტყამს, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ფაქიზი სული პირუტყვებთან (იგულისხმე – შენნაირებთან) ურთიერთობას ვერ უძლებს, ცოლი კი უყოფაქცევო ჰყავს და ქოფაკი, თორემ თვითონ ისეთი განათლებულია, ისეთი გულიანი, ღამე რომ დაურეკო, მიჭირსო, ეგრევე გამოვარდება...

იცით, მე ძალიან კარგი გოგო ვარ. ქრთამი ჩემს დღეში არ ამიღია (შეიძლება იმიტომ, რომ არც შემოუთავაზებიათ, მაგრამ მერე, რა?), გოეთე ორიგინალში მაქვს წაკითხული და არაჩვეულებრივ ლობიანებსაც ვაცხობ. მაგრამ, მიუხედავად ამ შესანიშნავი თვისებებისა, მაინც ნუ მომანდობთ მატარებელს – აუცილებლად გადავჩეხავ და ვერასოდეს მოვხვდებით სამეფო ჩუში...

P.S. ჩემი დიდი მეგობარი, ბატონი ბორისლავსკი, რომელიც საქართველოში 14 წელი ცხოვრობდა, ვერაფრით მიხვდა ჩვენს ლოგიკას: "Он хороший парень, просто деткам руки ломает". რა ესმით სლავებს, საერთოდ...

## კალენდარი

### 4 თებერვალი

ფრანგი მწერალი-ჰუმანისტი, ფრანსუა რაბლე, 1564 წელს გამოქვეყნებული რომანის, ფრანგული აღორძინების ენციკლოპედიური კულტურის ძეგლის, "გარგანტუა და პანტაგრუელის" ავტორობითაა ცნობილი. ამ წიგნში ავტორმა შუასაუკუნეობრივი ასკეტიზმი, სულიერი თავისუფლების შეზღუდვა და ცრურწმენები უარყო და შექმნა გოლიათი გარგანტუა და პანტაგრუელი, სიმართლის მაძიებელი პანურგი – იმ დროის ჰუმანისტური იდეალები.

რაბლე შინონში დაიბადა. მისი ცხოვრების ამბავი ბურუსითაა მოცული: სინამდვილე და გამოგონილი, ხშირად ლეგენდარული ამბები ისეა გადაბმული, რომ ფაქტების დადგენა საკმაოდ ძნელი გახდა. დანამდვილებით იმის თქმა შეიძლება, რომ მამამისი დუქნის მფლობელი იყო, დედა ადრეულ ასაკში დაკარგა და 10 წლისა მონასტერში მიაბარეს აღსაზრდელად. ფრანსუას მრავალი ფრანცისკანული მონასტრის მოვლა მოუწია, და 25 წლისა თვითონაც ბერი გახდა. მაშინ, ფრანგული აღორძინების ხანაში, ბერობა "ჰუმანისტური" მეცნიერებების შესწავლის საუკეთესო საშუალებას იძლეოდა. ისიც ზუსტადაა ცნობილი, რომ რაბლე



1553 წელს პარიზში გარდაიცვალა.

"ბიოგრაფიის უქონლობას", მკვლევართა აზრით, რაბლე მნიშვნელოვანწილად უამრავ მტერ-მოყვარეს უნდა უმადლოდეს: მის შესახებ ყოველთვის ბევრს ჰყვებოდნენ, ძირითადად, მტრები, რომლებიც ჰუმანისტ ბერს მახვილი გონებისა და მოსწრებული სიტყვების წყალობით უხვად ჰყავდა.

**ფრანსუა რაბლე** დაიბადა 1494 წლის 4 თებერვალს.

# სამყაროს შეცვლის რეცეპტი ფელიქს ფონ რაკნიცისგან

## მუსიკა, რელიგია და პოლიტიკა გერმანელი პროდიუსერის თვალით

მადი სერებრიაკოვა

***"ერთი, ორი, სამი..."*** *- ხმის ჩამწერ ბიზნესში ყველაზე გავრცელებული ამ სიტყვებით დაიწყო გერმანელ მუსიკოსთან და პროდიუსერთან, ფელიქს მაგნუსთან შეხვედრა.*
*ფელიქს მაგნუსი (ფელიქს ფონ რაკნიცი) გერმანიაში ხმის ჩამწერი კომპანიის sounds & silence-ის მფლობელია. მის ერთ-ერთ ბოლო საინტერესო პროექტში The Great Stupa soundtrack მონაწილეობა მიიღეს ისეთმა მნიშვნელოვანმა ფიგურებმა, როგორებიც არიან: სტინგი, ლეონარდ კოენი, ჯონი მიჩელი, ვილი ნელსონი, ემი ლუ ჰარისი და ალენ გინზბერგი.*
*ქართულ მუსიკალურ სივრცეში ფელიქსი რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტით გამოჩნდა. იგი თავდაპირველად გერმანიაში მოღვაწე, ჯაზის მოყვარულებისთვის კარგად ცნობილი ქართული ჯგუფის, "ადიოს" პროდიუსერად მოგვევლინა, შემდეგ "ერისიონის" ცნობილ პროექტში მიიღო მონაწილეობა. ამჟამად ფელიქსი ქართველ კოლეგებთან ერთად ახალ პროექტს ამზადებს ქართული ეთნო-მუსიკის გამოყენებით.*
*გუშინ ფელიქს ფონ რაკნიცი "24 საათის" სტუმარი იყო.*



ფელიქს ფონ რაკნიცი



ფელიქსი კომპიუტერთან

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

ფელიქს ფონ რაკნიცის კომპანია თავიდან უფრო ჯაზური ორიენტაციის მუსიკას უშვებდა. sounds & silence მას მოგვიანებით დაერქვა. ამჟამად უფრო მეტად ეთნო-მუსიკაზე (world music), პოპზე აკეთებს აქცენტს. **"ჯაზური მუსიკა ყოველთვის მაინტერესებდა, მაგრამ მასში ფულის გადახდა არ უნდათ... მე ბევრი აკუსტიკური პროექტი მაქვს ჩაწერილი, მაგრამ ახლა პროდუქცია შეიცვალა. ბევრი რამ შეიძლება კომპიუტერზე უკეთ გააკეთო".**

ფელიქსმა საქართველოსა და ქართული მუსიკის შესახებ პირველად ათიოდე წლის წინათ გაიგო. ჰაიდელბერგში, ერთ-ერთ ჯაზ-კლუბში, ჯემ-სეიშენზე იგი ქართველ მუსიკოს პაატა დემურიშვილს შეხვდა. ცოტა ხანში გერმანიაში "ადიომ" გამართა კონცერტი. საბოლოოდ, გერმანიაში ქართული ჯაზის პრეზენტაცია მაგნუსის სტუდიაში ჩაწერილი მათი ერთობლივი ალბომით დაგვირგვინდა. ფელიქსი "ადიოს" პროდიუსერად მოგვევლინა. ამჟამად "ადიოს" წევრები მთელ მსოფლიოში არიან მიმოფანტულები, მაგრამ პროდიუსერი მომავალი წლისთვის მათ შეკრებას გეგმავს. ამჟამად "სანო-სტუდიაში" "ადიოს" წევრის, დავით მალაზონიას სოლო-პროექტი იწერება. **"მუსიკალურად იგი ძალიან ახლოსაა "ადიოსთან,"** – აღნიშნავს ფელიქსი, - **დისკს გერმანიაში ცნობილი კომპანია Intuition გამოსცემს".**

გამოცემის თარიღებზე საუბარი უფრო რთული აღმოჩნდა: **"მინდა, დღეში 40 საათი მქონედს სამუშაოდ, რომ ყველაფერი ერთბაშად მოვასწრო".** ამჟამად ფონ რაკნიცი თბილისში კიდევ ორ პროექტზე მუშაობს. პირველი მისივე სოლო-პროექტია, რომელსაც იგი ქართველ მუსიკოსებთან ერთად იწერს. მეორე კი, ქართულ ფოლკლორზე დაყდნობით, საბავშვო საცეკვაო მუსიკის პროექტია, რომელიც საბოლოოდ შოუს სახით მომზადდება.

ქართველ მუსიკოსებთან თანამშრომლობა ფელიქსისთვის საკმაოდ სასარგებლო აღმოჩნდა: **"მე მომიწია მუშაობა ამერიკაში, გერმანიაში, ინგლისში და, მართალია, საქართველოში ცხოვრება ბევრად უფრო რთულია, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარს აქ ყოფნა. აქაური ხალხი ძალიან გახსნილი, ენთუზიაზმით სავსეა. ძალიან კარგად ვეწყობი ქართულ მენტალიტეტს და კარგად გამომდის მათთან მუშაობა".**

შედარებისთვის, ფელიქსს გერმანიის მაგალითი მოჰყავს: **"გერმანიაში ასეა - მოინდომებ თუ არა გარკვეული ხალხის შეკრებას და მათთან ერთად რაიმეს ჩაწერას, პირველ რიგში გეკითხებიან, რამდენს გადაუხდი. აქ პირიქითაა, ყველა გპასუხობს, - "დიახ, მოდი, გავაკეთოთ" და მერე თუ რაიმე გამოვა, მაშინ უკვე აქედან ყველა რაღაცას მიიღებს"**

ქართველ კოლეგებთან - ზურაბ გაგნიძესთან, გია სალაღიშვილთან, გიორგი ცინცაძესთან თანამშრომლობით ჩაიწერა ფელიქსის შესანიშნავი სიმღერა Rainland. სწორედ ეს სიმღერა შევიდა მის მიერვე პროდიუსირებულ პროექტში the great stupa soundtrack. სტუპა ყველაზე მნიშვნელოვანი ბუდისტური ძეგლია დასავლეთ სამყაროში. თავისი სიმბოლიკით იგი "დიდ მასწავლებელს" უკავშირდება. ეს ის ადგილია, სადაც მორწმუნეები ან უბრალოდ სიმშვიდის მოპოვების მსურველნი მედიტაციისთვის, რელიგიური რიტუალების აღსასრულებლად მიდიან. იგი ამერიკაში, დენვერის მახლობლად მოხალისეების მიერ 13 წლის განმავლობაში შენდებოდა. 108 ფუტის სიმაღლის, განსაკუთრებული ფერადი ორნამენტით შემკული სტუპა ყველა მხრიდან შესანიშნავად აღიქმება. ბუდას ოქროს ქანდაკება (ტრადიციულად იგი დამალულიც არის ხოლმე) კი კონსტრუქციას აგვირგვინებს და ყველა მსურველისთვის ღიაა: **"ეს ტაძარი არის სიმბოლო იმისა, რომ დიდი მასწავლებლისგან დიდი სტუპა დარჩა. იგი 17 წლის განმავლობაში ასწავლიდა ამერიკაში ბუდისტურ ფილოსოფიას, დააარსა მედიტაციის მრავალი ცენტრი, დაწერა უამრავი წიგნი, მათგან ჯერ-ჯერობით მხოლოდ 60-მდეა გამოქვეყნებული. გასაოცარი ადამიანი იყო, დიდებული მასწავლებელი, 17 წლის განმავლობაში შექმნა ის, რაც ასწლეულების მანძილზე უნდა შეისწავლო. მართალია, იგი ძველი ტიბეტური ტრადიციის მიხედვით ასწავლიდა, მაგრამ მაინც, ის მხოლოდ რელიგიურ სწავლებას არ ქადაგებს. მისი ქადაგება უფრო ყოფიერების წვდომისკენაა მიმართული: რატომ ვართ ადამიანები, რატომ გვტკივა, რატომ გვიხარია."**

დჰარმაკაიას ტაძრის მშენებლობა რამდენიმე მილიონი დოლარი დაჯდა. მისი შენახვა და მოვლა ახლაც ძალზე ძვირი სიამოვნებაა. ფელიქსი თავადაც ბუდისტია. მორწმუნეებმა გადაწყვიტეს, ტაძრის შესანახად საქველმოქმედო მუსიკალური პროექტი განეხორციელებინათ. the great stupa soundtrack-ის პროდიუსირებას ფელიქს ფონ რაკნიცმა მოჰკიდა ხელი. მასში მონაწილეობენ თანამედროვე მუსიკის პოლარულად განსხვავებული ვარსკვლავები - სტინგი, ლეონარდ კოენი, ჯონი მიტჩელი, ვილი ნელსონი, ალენ გინზბერგი, ემი ლუ ჰარისი და სხვები. ალბომის კონცეპცია რელიგიური არ არის: **"არ მინდოდა, ეზოთერული ალბომი შემექმნა, რომელიც მხოლოდ მშვიდობას იქადაგებდა, რადგან სამყარო მხოლოდ ეს არ არის. მინდოდა შემექმნა ალბომი, რომელიც, უბრალოდ, ძალიან კარგი მოსასმენი იქნებოდა."**

ფელიქსს ეს უდავოდ გამოუვიდა. არაჩვეულებრივი დიზაინის გარდა (ორი დიკისგან შემდგარ ალბომს სოლიდური ბუკლეტი აერთიანებს, რომელიც სტუპას შესახებ ინფორმაციასთან ერთად ყველა სიმღერის ტექსტსა და მონაწილეთა ფოტოებს შეიცავს), იგი, თითქმის, ყველანაირი გემოვნების მსმენელს აკმაყოფილებს (მასში შესულია ჯაზი, ბლუზი, ეთნო, პოპი, ელექტრონული მუსიკა). **"ასეთ დისკს, ჩვეულებრივ, მაღაზიაში ვერ იყიდი, მას 2 საათის განმავლობაში უსმენ და ვერ წყდები,"** – ვკითხულობთ დისკის შესახებ გამოქვეყნებულ გამოხმაურებებში.

> *"პოლიფონიის ტრადიცია საქართველოში სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა"*

ალბომში მონაწილე მუსიკოსები და მათი სიმღერების დიდი ნაწილი თავად პროდიუსერმა შეარჩია: **"ასეთ საქველმოქმედო საქმეზე, ჩვეულებრივ, სიამოვნებით თანხმდებიან ხოლმე. სიმღერებს ტექსტიდან გამომდინარე ვარჩევდი, რაც თემატურად განწყობასთან ახლოს იქნებოდა".**

თავად ფელიქსის სიმღერა Rainland, რომელიც the great stupa soundtrack-შია შესული, ავტორმა შოტლანდიაში შექმნა. ფელიქსი იქ რამოდენიმე წელი ცხოვრობდა: **"შოტლადნიაში ათასწლოვანი ტყეებია. საუკუნეების მანძილზე, რომელაებიდან და ვიკინგებიდან დაწყებული, იგი თანდათანობით იჩეხებოდა. 12 წლის წინ გავაკეთე საქველმოქმდო პროექტი და უამრავი ხე დავრგეთ. სწორედ ამაზეა სიმღერაც. ერთ დღეს ადამიანები წავალთ და ტყე დარჩება".** სიმღერა ეთნო-მუსიკის ელემენტებს შეიცავს, მასში შოტლანდიური ფლეიტაა გამოყენებული. შეიძლება, ცოტათი სტინგიც მოგაგონოთ. ფელიქსი სტინგის დიდი თაყვანისმცემელია და მასთან ნაცნობობითაც ამაყობს. მრავალი წლის წინათ მან სტინგის გერმანული ტურნე მოაწყო.

ამჟამად ფელიქსს კიდევ ერთი საქველმოქმედო პრექტი აქვს ჩაფიქრებული. ამჯერად ადრესატები მაწანწალა ბავშვები არიან. პროექტის განსახორციელებლად ფელიქსი მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს ბავშვთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობს. იგი საქართველოშიც აპირებს მაწანწალა ბავშვებზე ინფორმაციის შეკრებას. როგორც სტუპასთან დაკავშირებულ პროექტში, იგი ახლაც მნიშვნელოვანი ვარსკვლავების შეკრებას აპირებს.

ბავშვებთან დაკავშირებულია მისი კიდევ ერთი ქართული პროექტი. მის შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას ჯერ არ ამხელენ, მაგრამ, როგორც გაირკვა, იგი ქართულ საცეკვაო მელოდიებზე აიგება. შოუს კი ბავშვთა ცეკვის ანსამბლი, "იმედი" მოამზადებს. ქართული მხრიდან მასში სანო (მერაბ სანოძე), ავთო ჩიხრაძე და ლევან ჩხარტიშვილი მონაწილეობენ. ეს უკანასკნელი "ერისიონის" გახმაურებულ პროექტშიც თანამშრომლობდა. საინტერესოა, რომ "ერისიონის" პროექტთან თავიდან ფელიქსიც იყო დაკავშირებული: **"სულ დასაწყისში შევხვდი ჯემალ ჭკუასელს, "ერისიონის" ხელმძღვანელს, შევეცადე, მათთვის სპონსორები მომეძებნა, მაგრამ მალევე ჩამოვშორდი პროექტს. თუმცა, ვფიქრობ, მათ გარკვეული იდეები მივაწოდე".**

როგორც აღვნიშნე, ფელიქსი საკუთარ სოლო ალბომსაც თბილისში ამზადებს. თავის დროზე მას უამრავ ხალხთან უმუშავია. **"ახლა დროა საკუთარსაც მივხედო, უამრავი სიმღერა დამიგროვდა,"** – აღნიშნავს იგი. მართალია, მაგნუსის მშობლიური ენა გერმანულია, მაგრამ ალბომისთვის დაგეგმილი სიმღერები ინგლისურ ენაზეა: **"ამაში გარკვეული მარკეტინგული სტრატეგიაცაა. პოპ-მუსიკაში ინგლისური საერთაშორისო ენაა. ბაზრის 70 პროცენტი ინგლისურენოვან პროდუქციას უკავია. თანაც, ჩემთვის ადვილია ინგლისურად წერა, ინგლისურენოვან გარემოში დიდ ხანს ვცხოვრობდი."**

ალბომის თანაპროდიუსერად კი ისევ ლევან ჩხარტიშვილი გვევლინება: **"ჩემი გამოცდილებით, ქართველ მუსიკოსებს ძალიან კარგი ალღო და დასავლური მუსიკის შეგრძნება აქვთ. საერთოდ ქართული მუსიკა ძალიან გასაგებია ევროპელისთვის. მართალია, მასში აზიაც იგრძნობა, მაგრამ სხვა აზიური ქვეყნების მუსიკას თუ შევადარებთ (თურქულს, მაგალითად), მელოდიურობით, ჰარმონიით ის მაინც ბევრად ახლოა ევროპულთან. ამასთანავე, ქართული მუსიკის განსაკუთრებული ჰარმონია ძალიან ეგზოტიკურია ჩვენთვის".**

**მ.ს** – მაინც, რა არის ყველაზე თვალსაჩინო ქართულ მუსიკაში ევროპელი მსმენელისთვის?

**ფ.რ – პირველ რიგში, ალბათ, განსაკუთრებული პოლიფონია. როდესაც პირველად მოვისმინე "ადიო", ისინი რაღაც ჯაზურ ნაწარმოებებს ასრულებდნენ, მაკლაფლინის და ა.შ... შემდეგ მათ საკუთარი ნაწარმოებების დაკვრა დაიწყეს; გაფაციცებული ვუსმენდი იმიტომ, რომ ეს მართლა რაღაც განსხვავებული იყო. ვფიქრობ, რომ პოლიფონიის ტრადიცია საქართველოში მართლაც სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა და იგი თანამედროვე მუსიკაზე უდიდეს გავლენას ახდენს.**

ფელიქსს ქართულ მუსიკასთან დაკავშირებულ კიდევ რამდენიმე საკითხზე ვესაუბრეთ. საინტერესოა, რომ თავად ინგლისურ ენაზე მომღერალი გერმანელი ქართულენოვან მუსიკას სულაც არ თვლის უპერსპექტიოდ: **"ქართული ძალიან უცხოდ ჟღერს, მომწონს მისი ჟღერადობა. ისე, ცოტა იტალიურს წააგავს. იქნებ ქართულენოვანი მუსიკა გერმანიაშიც გამოვუშვათ, თუმცა გააჩნია, რისი გაკეთება გინდა. მე ვიცნობ გერმანიაში მცხოვრებ ყაზახ მუსიკოსებს, რომლებიც, საშუალოდ, 5 ათას დისკს ყიდიან. ეს ბევრი არ არის, მაგრამ არც ცოტაა. world music-ს მაინც შეზღუდული მომხმარებელი ჰყავს"**

თანამედროვე მუსიკას რაც შეეხება, ფელიქსი ყველაზე მეტად მის მელოდიურობას აფასებს: **"ინგლისური, განსაკუთრებით ამერიკული, პოპი ძალიან მომაბეზრებელია, ისინი ერთ წრეზე დადიან. მთელი გასართობი ინდუსტრია მსმენელის დასაძინებლადაა მიმართული. ჩვენი მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ საქმე ვაკეთოთ, დაკავებულები ვიყოთ და იმაზე აღარ ვიფიქროთ, თუ როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენს გარშემო სამყარო. სინამდვილეში ყველაფერს ფული მართავს, გარშემო ყველაფერი კორუმპირებულია, ჩვენ კი ვცდილობთ, როგორმე გადავრჩეთ. ეს დიდი ომია. ძალიან ძნელია, ამ დროს პოლიტიკური განაცხადი გააკეთო."**

# საფრანგეთ-გერმანიის ერთობლივი დღე საქართველოში

გუშინ ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში საფრანგეთისა და გერმანიის საელჩოების ხელშეწყობით გაიმართა "ელისეის ხელშეკრულების"40 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ეს ხელშეკრულება გაფორმდა საფრანგეთსა და გერმანიის ქვეყნებს შორის პარიზში, 1963 წლის 22 იანვარს, რითაც, ამ ქვეყნების მაშინდელმა მეთაურებმა, შარლ დე გოლმა და კონრად ადენაუერმა, საფუძველი ჩაუყარეს გრძელვადიან მშვიდობას ევროპის კონტინენტზე. საღამო გახსნა საფრანგეთის ელჩმა საქართველოში, ქალბატონმა მირეი მიუსომ. მის სიტყვებს წინ უძღოდა ნაწყვეტი ბეთჰოვენის "სიხარულის სევდიდან", რომელიც იქცა ევროკავშირის ჰიმნად. "ელისეის ხელშეკრულება" ითვალისწინებს სახელმწიფო მეთაურებისა და მათი წარმომადგენლების ხშირ შეხვედრებს. თანამშრომლობას მეურვეობენ სამთავრობო კომისიები. მთავრობებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ შეხედულებები საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებზე და, აგრეთვე, უნდა გაცვალონ ინფორმაციები. ამ ხელშეკრულების მიხედვით, სისტემატური ხასიათი უნდა შეიძინოს განვითარებადი ქვეყნებისა და სხვადასხვა ეკონომიკური სექტორების ერთობლივი ძალისხმევით დახმარებამ. ქალბატონი მირეი მიუსოს თქმით, საღამოს ჩატარების ადგილად საგულდაგულოდ იქნა შერჩეული ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზი, რადგან აქ მდებარეობს ფრანგული მედიათეკა და გერმანული სამკითხველო. შეხვედრის თარიღი, 3 თებერვალი აფიშების გამოფენის გახსნას დაამთხვიეს. საღამო ტრადიციული ფრანგული ალაფურშეტით დასრულდა.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

## არგენტინული მადლობა ბერლუსკონის



ფერნანდო რედონდო

მერე რა, რომ სილვიო ბერლუსკონის მთელი იტალია აკრიტიკებს და ქვეყნის მასშტაბით ყველაზე არაპოპულარული პოლიტიკოსია. "მილანის" პატრონი სიმშვიდეს არასოდეს კარგავს და ერთნაირი სიდინჯით უძლვება კლუბსაც და რესპუბლიკასაც. სერია A-ს გასული ტურის შემდეგ ბერლუსკონიმ მიიღო ქათინაურები და გულისამაჩუყებელი სამადლობელი სიტყვებიც კი, რომლებიც მას არგენტინელმა ნახევარმცველმა ფერნანდო რედონდომ მიუძღვნა.

მადრიდის "რეალიდან" "მილანში" გადასულ რედონდოს დიდხანს არ დასცალდა, სერია A-ს ეგზოტიკით დამტკბარიყო - "იუვენტუსთან" მატჩში არგენტინელმა იმდენად მძიმე ტრავმა მიიღო, რომ ერთ წელიწადზე მეტი ხნით მოუწია ფეხბურთთან განშორება. გასულ უქმეებზე "მილანმა "მოდენას" უმასპინძლა. ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ რედონდოს ისევ მიეცა "სან-სიროზე" გასვლის საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ არგენტინელმა მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა (ის პირლომ შეცვალა), რედონდო მაინც კმაყოფილი დარჩა "მოდენასთან" ჩატარებული მატჩით.

"სულაც არ მწყენია, როცა ანჩელოტიმ ჩემს ნაცვლად ანდრეა პირლო გამოუშვა. ძალიან მიხარია, რომ პირლომ და პიპო ინძაგიმ გოლები გაიტანეს და "მილანმა" გაიმარჯვა. საკმაოდ რთული მატჩი იყო. "მოდენა", ძირითადად, საკუთარი კარის დაცვაზე ზრუნავდა და უაღრესად მჭიდროდ გვეთამაშებოდა. ამ სამ ქულას სილვიო ბერლუსკონის ვუძღვნი და დიდ მადლობას ვუხდი იმ გულისხმიერებისა და მხარდაჭერისთვის, რაც ჩემს მიმართ გამოიჩინა", - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში რედონდომ. რამდენად გაახარა ბერლუსკონი არგენტინელი ფეხბურთელის მადლობამ, ამაზე აღარაფერს წერენ ჩვენი იტალიელი კოლეგები...

## "დინამოს" ბოსნიური ამბები

### შუშაკი ხორვატიაში მალხაზ ასათიანს ელის

მიხეილ აბაიშვილი



"დინამოს" ასათიანის გადაბირების იმედი აქვს

1 თებერვალს თბილისის "დინამო" თავის მეორე წინასასეზონო უცხოურ საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრა. ამჯერად ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი ეწვია ბოსნია-ჰერცეგოვინის საკურორტო დაბა მეჩგორიეს, რომელიც გუნდის მთავარი მწვრთნელის, ივო შუშაკის მშობლიურ ქალაქ შიროკი ბრეგიდან 25 კილომეტრზე მდებარეობს.

მეჩგორიე მსოფლიოს საკურორტო რუკაზე ცნობილია, როგორც რელიგიური ტურიზმის ადგილი. მეოცე საუკუნის 80-იან წლებში 4 მწყემსს აქ ღვთისმშობელი მარიამი გამოსცხადებია. მას შემდეგ, ყოველი წლის 24 ივლისს, ანუ გამოცხადების დღეს, დაბაში თავს იყრის ათასობით მორწმუნე. მეჩგორიე, ძირითადად, რელიგიური ღირსშესანიშნაობებით გამოირჩევა. მაღაზიებში წმინდა ნივთები იყიდება, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების ნაცვლად კი პანსიონის ტიპის საცხოვრებლებია. "დინამოც" ერთ ასეთ სასტუმროში - "პანსიონ სულიჩში" გაჩერდა. ამ პანსიონიდან მაღალი დონის სპორტულ კომპლექსამდე სულ ერთი კილომეტრია. საფეხბურთო მინდვრების გარდა, კომპლექსის შემადგენლობაშია საცურაო აუზები და ტრენაჟორები.

გუშინ ტელეფონით დავუკავშირდით "დინამოს" პრესატაშეს, ლევან სალუქვაძეს, რომელმაც გუნდის ბოსნიაში ყოფნის გეგმები გაგვაცნო. "კვიპროსზე მოწყობილი წინა შეკრებისგან განსხვავებით, ბოსნიაში შუშაკმა ერთით ნაკლები, 24 ფეხბურთელი იახლა. გუნდთან ერთად ვერ წამოვიდა ებანოიძე - კვიპროსზე ის ტრავმებმა გააწამა და, ექიმების გადაწყვეტილებით, სამკურნალოდ თბილისში დარჩა. ამჟამად მეჩგორიეში, "დინამოსთან" ერთად, კიდევ რამდენიმე კლუბია. მათ შორის, სლოვენიის "მარიბორი", ზაგრების "დინამო" და ხორვატიული "ოსიეკი". ზაგრების "დინამოს" სათავეში უდგას ხორვატიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი (შეგახსენებთ, მან ხორვატიის ნაკრები 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გაიყვანა). მაშინ, ბლაჟევიჩთან ერთად, ხორვატიის ეროვნული გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი იყო ჩვენი ივო შუშაკი. ბლაჟევიჩი უკვე გვესტუმრა, შუშაკი თბილად მოიკითხა და "დინამოს" გაეცნო. მისმა გუნდმა კი ჩვენს ჩასვლამდე ოთხთა ტურნირში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა. იმ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ზაგრების დინამოელი დრანჩარი აღიარეს. ეს ფეხბურთელი, სამ თანაგუნდელთან - მამიჩთან, ბალაბანთან და ოლიჩთან ერთად, ხორვატიის ნაკრების ღირსებას იცავს. ამ გუნდზე ამდენი იმიტომ ვილაპარაკე, რომ, ზაგრების "დინამოსთან" ერთად, "დინამო" მონაწილეობას მიიღებს ოთხთა კიდევ ერთ ტურნირში, რომელსაც 8-9 თებერვალს შიროკი ბრეგი უმასპინძლებს. ამ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ასევე "შიროკი ბრეგი" და ხორვატიის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე მყოფი "ციბალია".

ხვალ სლოვენიის მარიბორთან გავმართავთ სპარინგ-მატჩს. ითამაშებს "დინამოს" ძირითადი შემადგენლობა. სხვათა შორის, გუშინ "მარიბორმა" ამხანაგური მატჩი გამართა "შიროკი ბრეგთან" და დამარცხდა - 3:4.

"დინამო" კიდევ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. 5 თებერვალს "შიროკი ბრეგს" ვეთამაშებით. ამ მატჩში მონაწილეობას მიიღებენ ის დინამოელები, რომლებიც წინა დღეს "მარიბორთან" არ ითამაშებენ. 7 თებერვალს "დინამოს" სათადარიგო შემადგენლობა ხორვატიის მეორე ლიგის გუნდს - "მეტელიკას" დაუპირისპირდება. 8 თებერვალს კი ტურნირში ჩავებმებით. ამ დღეს ხორვატიის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე მყოფ "ციბალიას" შევხვდებით. პარალელურად გაიმართება ტურნირის მეორე მატჩი "შიროკი ბრეგსა" და ზაგრების "დინამოს" შორის. ამ წყვილებში გამარჯვებული გუნდები მეორე დღეს ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს, ხოლო დამარცხებულები მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ.

ტურნირის შემდეგ "დინამოს" ის ფეხბურთელები, რომლებიც ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში გამოიძახეს (ასეთი კი თოთხმეტია. 7 გამოძახებულია ეროვნულ ნაკრებში, 7 – ოლიმპიურში,-რედ.), კლუბის სპორტულ დირექტორთან, გივი ნოდიასთან ერთად, თბილისში გამოემგზავრება. ჩვენ კი ხორვატიაში, "მაკარსკას" საწვრთნელ ბაზაზე გადავინაცვლებთ. ნაკრები გუნდების ფეხბურთელები 13 თებერვალს დაგვიბრუნდებიან. ჩვენს მთავარ მწვრთნელს, ივო შუშაკს, დიდი იმედი აქვს, რომ ხორვატიაში ნოდია, 14-ის ნაცვლად, 15 ფეხბურთელს ჩამოიყვანს. მეთხუთმეტე ფეხბურთელში ვგულისხმობ ტორპედოელ მალხაზ ასათიანს, რომლის "დინამოში" გადმოსვლის თაობაზე ორი კლუბის ხელმძღვანელობა აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს. ამ მოლაპარაკებიდან ოპტიმისტური ცნობები მოგვდის", - გვითხრა ლევან სალუქვაძემ.

## "იუვეს" ორმაგი უიღბლობა

ტურინის "იუვენტუსის" ფეხბურთელები და ტიფოზები ალბათ დიდი სიამოვნებით ამოშლიდნენ კალენდრიდან" 2 თებერვალს, დღეს, როცა "ბებერი სინიორა" ბერგამოში გაემგზავრა ადგილობრივ "ატალანტასთან" სათამაშოდ და იქიდან მხოლოდ ერთი ქულით და მყესდაზიანებული კაპიტნით დაბრუნდა.

ტურინელებს ძალიან გაუჭირდათ აუტსაიდერ "ატალანტასთან" ბრძოლა. ბერგამოელები ისეთი შემართებით თამაშობდნენ, რომ "იუვე" კინაღამ სირცხვილნაჭამი გაუშვეს სახლში. მეორე ტაიმის მიწურულს როსინიმ გამარჯვების გოლიც კი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. დი ვაიომ "იუვეს" ერთი ქულა კი მოუტანა, მაგრამ, რაც ტურინელებმა ბერგამოში დაკარგეს, ის ერთ ქულაზე ბევრად ძვირად ფასობს - გუნდის კაპიტანმა ალექს დელ პიერომ მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე მძიმე ტრავმა მიიღო, რომელიც "იუვეს" და "სკუადრა აძურას", შესაძლოა საკმაოდ მძიმედ დაუჯდეს. ექიმები შიშობენ, რომ დელ პიერო შესაძლოა ორ თვეს ვეღარ გავიდეს მოედანზე, რაც "იუვესთვის" საკმაოდ მძიმე დანაკლისია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტურინელებს სერიოზული მატჩები აქვთ ჩასატარებელი როგორც სერია A-ში, ასევე ჩემპიონთა ლიგაში. დელ პიეროს გარეშე იტალიის ნაკრებსაც ძალიან გაუჭირდება ევროპის ჩემპიონატზე გამსვლელი საგზურის მოპოვება. ჯოვანი "სკუადრა აძურას" თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ უკვე გამოთქვა წუხილი დელ პიეროს დაშავების გამო და "იუვეს" კაპიტანს მალე გამოჯანმრთელება უსურვა.

## ანტიჩი ოპტიმისტურად არის განწყობილი

### ხუან გასპარმა ახალი მწვრთნელი ჟურნალისტებს წარუდგინა



რადომირ ანტიჩი და ხუან გასპარი

REUTERS

რადომირ ანტიჩის "ბარსელონას" მწვრთნელად დანიშვნის გადაწყვეტილება გასულ პარასკევს მიიღეს, მაგრამ შაბათის მატჩს, როდესაც "ბარსა" მადრიდის "ატლეტიკოს" ხვდებოდა, ანტიჩი ტელევიზორში ადევნებდა თვალს. მწვრთნელის პოსტზე ის ოფიციალურად მხოლოდ კვირას დაინიშნა. "ატლეტიკომ" დაამარცხა "ბარსელონა" - 3:0. ეს კი მეტისმეტად უხეირო დებიუტი იქნებოდა. ასეა თუ ისე, ამ წაგებას ანტიჩს არავინ მიაწერს, ის მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გუნდის მწვრთნელი.

კვირას, სტადიონ "კამპ ნოუს" საკონფერენციო დარბაზში, "ბარსელონას" პრეზიდენტმა ჟურნალისტებს ახალი მწვრთნელი, რადომირ ანტიჩი წარუდგინა. იმის მიუხედავად, რომ წინა დღით მისმა ახალმა კლუბმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილის ბოლოსკენ, იუგოსლავიელი სპეციალისტი მეტისმეტად ოპტიმისტურად საუბრობდა. "დარწმუნებული ვარ, "ბარსელონას" კრიზისიდან გამოვიყვან. მე ეს შემიძლია", - განაცხადა ანტიჩმა. კარგ გუნებაზე ჩანდა ხუან გასპარიც, რომელმაც თქვა, რომ ბოლო დღეებში უამრავი თავსატეხი ჰქონდა, მაგრამ ახლა რწმენა დაუბრუნდა და მას ანტიჩის, ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების დიდი იმედი აქვს.

კარგია, რომ "ბარსელონა" ოპტიმისტურად არის განწყობილი, ამას ყველა ვერ შეძლებდა - ამჟამად გუნდი ესპანეთის ჩემპიონატში მე-15 ადგილზეა და ლიდერს, "სოსიედადს", 20 ქულით ჩამორჩება. თუ "ბარსა" მომდევნო მატჩსაც ვერ მოიგებს, მაშინ მას მე-18 საფეხურზე ჩამოქვეითების შანსიც კი მიეცემა...

რაგბი

## ქართველები საფრანგეთში შეიკრიბნენ

*საქართველოს მორაგბეთა ეროვნული გუნდი ევროპის ერთა თასის პირველი მატჩისთვის ემზადება. გუშინ საფრანგეთში მოთამაშე ქართველობას ეროვნულ კლუბებში მობურთალი შვიდი მორაგბე შეუერთდა.*

წესით და რიგით, თბილისიდან რვა მორაგბე უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ, ოთარ ბარკალაიას ტრავმის გამო, საფრანგეთში მხოლოდ შვიდნი გაემგზავრნენ: კახა ალანია, ვასილ აბაშიძე (ორივე "ლოკომოტივი"), ლაშა ფირფილაშვილი, მერაბ კვირიკაშვილი (ორივე "ლელო"), დავით ბოლღაშვილი, ირაკლი გუნდიშვილი (ორივე "უნივერსიტეტი") და გიორგი ელიზბარაშვილი ("აკადემია"). მათ შეუერთდება საფრანგეთისა და იტალიის კლუბებში მოთამაშე 24 ქართველი და გუნდიც 31 კაცის შემადგენლობით დაიწყებს სამზადისს. შეკრება 13 თებერვლამდე გასტანს. სწორედ ამ დღეს გაირკვევა იმ მორაგბეთა ვინაობაც, რომლებიც მეორე დღეს პორტუგალიისკენ აიღებენ გეზს.

"პორტუგალიასთან მატჩს და, საერთოდ, მთელ ტურნირს მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ. მართალია, პლანეტის უმთავრეს სარაგბო ტურნირამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ ახალგაზრდებს გამოცდილება სჭირდებათ, რაშიც ერთა თასის მატჩები დაგვეხმარება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ტურნირი ჩვენთვის მეორეხარისხოვანია. რუმინელებთან შარშანდელი მარცხისთვის რევანშის აღებას და მთლიანად ტურნირის მოგებას ვგეგმავთ. ვფიქრობ, სწორედ ჩვენ ნაკრებებს შორის მატჩი გაარკვევს გამარჯვებულის ვინაობას", - განაცხადა ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა კლოდ სორელმა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს პორტუგალიელები აქამდე გამართულ ყველა მატჩში ჰყავთ დამარცხებული, 15 თებერვლის პაექრობა მაინც ძნელი იქნება, რადგან ბოლო დროს პორტუგალიამ, ახალზელანდიელი მწვრთნელის წყალობით, საგრძნობლად გააუმჯობესა თამაშის ხარისხი.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 40 წლის წინათ...



1963 წლის 16 ოქტომბერი, მილანი. საკონტინენტთაშორისო თასის პირველი ფინალური მატჩი "სან სიროს" სტადიონზე: "მილანი-სანტოსი" (4:2). პელე და ჯოვანი ტრაპატონი

კალათბურთი

## ოთარ ქორქიას სიცოცხლეშივე უდგამენ ძეგლს

დიმიტრი ობოლაძე

*ლეგენდარულ ქართველ კალათბურთელს, ოთარ ქორქიას, მაისში 80 წელი უსრულდება. საკალათბურთო სამყარო ამ თარიღს ქუთაისსა და თბილისში აღნიშნავს. იუბილეს დღეებში თბილისშიც და ქუთაისშიც გაიხსნება ოთარ ქორქიას ძეგლი.*



ქანდაკების ავტორი მიხეილ გვასალია

ლეგენდარული კალათბურთელის ბიუსტი 33 წლის მოქანდაკემ მიხეილ გვასალიამ შექმნა. "იდეა ზურაბ საკანდელიძის ძმამ, ანზორმა მომაწოდა. სახელოსნოში გვესტუმრნენ ვეტერანი კალათბურთელები და ნამუშევარი ყველას მოეწონა. ფოტოსურათის მიხედვით ვმუშაობდი. მაქსიმალურად ვცდილობდი, გადმომეცა ბატონი ოთარის სახის ვაჟკაცური გამომეტყველება. ეტყობა, გამომივიდა, რადგან მხატვრთა საბჭოსაც მოეწონა. მაისამდე ქანდაკება ბრინჯაოში ჩამოისხმება და იუბილეს დღეებში, ალბათ, ქუთაისსა და თბილისში აღიმართება. ქუთაისში უკვე ადგილიც გამოყვეს. ზოგს მიაჩნია, რომ ცოცხალი ადამიანის ძეგლის დადგმა მოზანშეწონილი არ არის. მსოფლიოში კი უკვე სხვა ტენდენციაა", - განაცხადა მოქანდაკემ, რომელიც ოთარ ქორქიას ძეგლს ოთხი თვის განმავლობაში ქმნიდა.

ასეთი მაგალითი, მართლაც, მრავლადაა მსოფლიოში: რუსეთში საკალათბურთო სამყარომ ასევე დააფასა გომელსკის ღვაწლი, მაიკლ ჯორდანის ნატურალური ზომის ქანდაკება კი დიდ ხანია ამშვენებს ჩიკაგოს საკალათბურთო დარბაზს. სხვათა შორის, მზადდება ცნობილი ქართველი მოგზაურის, ჯუმბერ ლეჟავას ძეგლის პროექტი.

მიხეილ გვასალიას სპორტი ძალიან უყვარს. თავად ყოფილი მოკრივე, ყურადღებით ადევნებს თვალს თანამედროვე კრივის განვითარებას და, რა თქმა უნდა, გიორგი კანდელაკის ორთაბრძოლებს. ჯერ კიდევ მანამ, სანამ კანდელაკი მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა, მოქანდაკემ მისი ბიუსტიც შექმნა.

"კრივი ქართული ხასიათის გამომხატველი სახეობაა. მე კრივში ვვარჯიშობდი, თუმცა, მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის არ მიმიღწევია. ვარჯიში 1990 წელს შევწყვიტე, მაგრამ კრივს ყოველთვის თვალყურს ვადევნებდი. გიორგი კანდელაკის წარმატებები დიდად მახარებდა. გადავწყვიტე, მისთვის საჩუქარი მიმეძღვნა და გამოვაქანდაკე. გიორგიმ ნახა ბიუსტი და ძალიან მოეწონა", - სიხარულს არ მალავს მოქანდაკე.

კალათბურთი

# ჯორდანის რეკორდი

**NBA**
**რეგულარული ჩემპიონატი**

**შაბათი:** *ვაშინგტონი - ახ. ორლეანი 109:104, ინდიანა - ბოსტონი 109:100, დეტროიტი - ნიუ-ჯერსი 106:84, მაიამი - სან-ანტონიო 65:67, დალასი - დენვერი 122:100, მილუოკი - ნიუ-იორკი 107:100, ფინიქსი - გოლდენ სტეიტი 116:107, სიეტლი - ჩიკაგო 90:77, ლეიკერსი - იუტა ჯაზი 99:87.*

**კვირა:** *კლივლენდი - პორტლენდი 95:114, ტორონტო - კლიპერსი 100:86, ატლანტა - ორლანდო 97:89, მინესოტა - ფილადელფია 99:91, ჰიუსტონი - საკრამენტო 105:89, დენვერი - მემფისი 93:78.*



*ალენ აივერსონი ენტონი პილერისა და მარკ ჯეკსონის წინააღმდეგ*

გასულ უქმეებზე საინტერესო ამბები მოხდა. მაიკლ ჯორდანს, თითქოს, მეორე სუნთქვა გაეხსნა - წლევანდელი სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა. 40 წლის მცველმა, ახალი ორლეანის "ჰორნეთსთან" მატჩში, თავის გუნდს 45 ქულა შესძინა და პლეი-ოფის საგზურისთვის ბრძოლაში უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა. ჯორდანმა 44 წუთი გაატარა მოედანზე და ისე თამაშობდა, როგორც ოქროს წლებში "ჩიკაგო ბულზის" შემადგენლობაში.

საგულისხმოა ისიც, რომ აქამდე ჯორდანი თანაგუნდელებს თამაშის მეტ საშუალებას აძლევდა. თვითონ კი, ძირითადად, სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს მოვლენებს და მოედანზე მხოლოდ კრიტიკულ შემთხვევებში გამოდიოდა, მაგრამ წლევანდელ სეზონში "ვაშინგტონს" პლეი-ოფისთვის ბრძოლა ძალიან უჭირს, ამიტომ ჯორდანმა საკუთარ თავზე აიღო თამაში და კარგადაც გამოუვიდა.

"ძალიან მინდა, რომ კლუბი თავისი ვეტერანის გარეშე შეეჩვიოს გამარჯვებებს, მაგრამ "ვაშინგტონის" ბევრი კალათბურთელი ახალგაზრდა და გამოუცდელია. დღეს კი შევეცადე, გუნდს უფრო აქტიურად დავხმარებოდი და, როგორც ხედავთ, გამომივიდა", - განაცხადა მატჩის შემდეგ ჯორდანმა. სპეციალისტები აღიარებენ, რომ თუ "მფრინავი მაიკლი" ჩვეულ ფორმას დაიბრუნებს, "ვაშინგტონის" მეტოქეებს ძალიან გაუჭირდებათ.

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა ტიმ დანკანს უკავშირდება. დანკანის "სან-ანტონიო" ვლადიმერ სტეფანიას "მაიამი ჰიტს" ესტუმრა. ეს მატჩი მიმდინარე სეზონში დანკანის ბენეფისად შერაცხეს. "სან-ანტონიოს" გიგანტმა 17 ქულა, 25 მოხსნა და 5 დაფარება განახორციელა. ფარიდან ასხლეტილი ბურთის მოხსნით მან არა მხოლოდ სეზონის, არამედ მთლიანად ლიგის რეკორდი დაამყარა.

რაც შეეხება ვლადიმერ სტეფანიას, ქართველი კალათბურთელი ბევრს ეცადა, კარგადაც ითამაშა (28 წუთი, 2 ქულა, 14 მოხსნა, 2 ჩაჭრა), მაგრამ დანკანის შეჩერება ვერც მან და ვერც მისმა სხვა თანაგუნდელებმა შეძლეს. მატჩის კულმინაცია კი მეოთხე მეოთხედში გათამაშდა. მართალია, მაიამელებმა ეს მეოთხედი ერთი ქულით მოიგეს, მაგრამ სამქულიანი დეფიციტი ვერ აღმოფხვრეს.

ნიკა ცქიტიშვილის "დენვერს" გასულ უქმეებზე არ დაუსვენია. გუნდმა შაბათსაც ითამაშა და კვირასაც. "დენვერი" დასავლეთ კონფერენციის აუტსაიდერია და, როგორც მოსალოდნელი იყო, მისი დალასში სტუმრობა ერთობ სავალალო გამოდგა. ვან ექსელის, ფინლისა და ნოვიცკის გუნდთან "დენვერს" შანსი არ ჰქონია. ნიკა ცქიტიშვილმა 27 წუთი გაატარა მოედანზე და ამ ხნის განმავლობაში 15 ქულა, 2 მოხსნა და 1 გადაცემა გამოიმუშავა. ამასთან, ორჯერ დაკარგა ბურთი და 4 პერსონალური შენიშვნა მიიღო.

მეორე მატჩში მემფისელი "დათვების" წინააღმდეგ ქართველ ლეგიონერს თავის გამოჩენის ნაკლები საშუალება ჰქონდა, მაგრამ "დენვერისთვის" ეს შეხვედრა წარმატებული გამოდგა და "ნაგეთსმა" 7-მატჩიანი წარუმატებელი სერია შეწყვიტა. ცქიტიშვილის ანგარიშზე (19 წუთში) ორი ქულა და ორი მოხსნაა.

"მინესოტასა" და "ფილადელფიას" მატჩი კევინ გარნეტისა და ალენ აივერსონის (21 ქულა +7 გადაცემა) დაპირისპირება გახდა. გარნეტი ამ უჩვეულო პაექრობაში უკეთ გამოიყურებოდა (30 ქულა +17 მოხსნა). ტორონტოელმა "დინოზავრებმა" "კლიპერსი" დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც კანადური კლუბის რიგებში ვინს კარტერი გამოჩნდა, "დინოზავრებმა" ოთხი თამაშიდან სამი მოიგეს.

"ლოს-ანჟელოს ლეიკერსისა" და "იუტა ჯაზის" დაპირისპირებაში შეუდარებელი იყო კობი ბრაიანტ (42 ქულა)-შაკილ ო`ნილის (21 ქულა +13 მოხსნა) დუეტი. მათ აშკარად დაჩრდილეს ვეტერანი "ჯაზმენების" - კარლ მელოუნისა (26 ქულა) და ჯონ სტოქტონის (14 ქულა) ტანდემი, რაც მატჩის საბოლოო ანგარიშშიც აისახა. დღეს, კონფერენციების მიხედვით, სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინდიანა | 48 | 34 | 14 | 70,83 |
| ნიუ ჯერსი | 47 | 32 | 15 | 68,09 |
| დეტროიტი | 46 | 31 | 15 | 67,39 |
| ბოსტონი | 47 | 26 | 21 | 55,32 |
| მილუოკი | 46 | 24 | 22 | 52,17 |
| ფილადელფია | 48 | 25 | 23 | 52,08 |
| ახ. ორლეანი | 48 | 24 | 24 | 50,00 |
| ორლანდო | 49 | 24 | 25 | 48,98 |
| ვაშინგტონი | 48 | 23 | 25 | 47,92 |
| ნიუ-იორკი | 46 | 20 | 26 | 43,48 |
| ატლანტა | 48 | 19 | 29 | 39,58 |
| ჩიკაგო | 47 | 17 | 30 | 36,17 |
| მაიამი | 47 | 16 | 31 | 34,04 |
| ტორონტო | 47 | 13 | 34 | 27,66 |
| კლივლენდი | 49 | 9 | 39 | 18,75 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დალასი | 46 | 37 | 9 | 80,43 |
| საკრამენტო | 49 | 33 | 16 | 67,35 |
| სან-ანტონიო | 47 | 31 | 16 | 65,96 |
| პორტლენდი | 46 | 30 | 16 | 65,22 |
| იუტა | 47 | 28 | 19 | 59,57 |
| მინესოტა | 48 | 28 | 20 | 58,33 |
| ფინიქსი | 49 | 28 | 21 | 57,14 |
| ჰიუსტონი | 46 | 26 | 20 | 56,52 |
| ლეიკერსი | 45 | 22 | 23 | 48,89 |
| სიეტლი | 45 | 21 | 24 | 46,67 |
| გოლდენ სტეიტი | 46 | 20 | 26 | 43,48 |
| კლიპერსი | 47 | 17 | 30 | 36,17 |
| მემფისი | 46 | 13 | 33 | 28,26 |
| დენვერი | 47 | 11 | 36 | 23,40 |

ხელბურთი

# ხორვატიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონია!

**პორტუგალია**
**მსოფლიო ჩემპიონატი**

*ფინალი*

**ხორვატია - გერმანია 34:31**

*მატჩი მესამე ადგილისთვის*

**საფრანგეთი - ესპანეთი 27:22**

*მატჩი მეხუთე ადგილისთვის*

**რუსეთი - უნგრეთი 30:25**

*მატჩი მეშვიდე ადგილისთვის*

**ისლანდია - იუგოსლავია 32:27**



*ხორვატიის ნაკრები გამარჯვებას ზეიმობს*

პირველად, არსებობის ისტორიაში, ხორვატიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებმა უაღესად სტაბილურად ჩაატარეს მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი და, შეიძლება ითქვას, მეტოქეებს გამარჯვების შანსი არ დაუტოვეს.

ფინალში, გერმანიის ნაკრების სახით, ხორვატებს ძლიერი მეტოქე ჰყავდათ. გერმანელები ტურნირზე საერთოდ არ დამარცხებულან და სპეციალისტებიც მათ გამარჯვებას ვარაუდობდნენ. მით უფრო, რომ გერმანიის ნაკრებმა ნახევარფინალში მსოფლიოს ახლა უკვე ყოფილი ჩემპიონი - საფრანგეთის ნაკრები დაამარცხა.

თუმცა, გერმანელებმა ფინალური მატჩის წინ დიდი დანაკლისი განიცადეს - მარჯვენა ხელის ნეკის მოტეხილობის გამო გუნდს გამოაკლდა ლიდერი კრეჩმარი. ამის მიუხედავად, გერმანელებმა მაინც აქტიურად დაიწყეს თამაში და დებიუტში დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ ხორვატებმა სწრაფად გამოასწორეს მდგომარეობა და შესვენებაზე ორბურთიანი ჰანდიკაპით წავიდნენ. მეორე ნახევარში, ერთხანს, ოთხი ბურთითაც დაწინაურდნენ. კარგად ითამაშა ხორვატიის ნაკრების მეკარე სოლამ, რომელმაც ზედიზედ რამდენჯერმე ურთულესი ბურთი მოიგერია.

მატჩის ბოლოს ხორვატებმა ტემპს უკლეს და აქცენტი გადაიტანეს ანგარიშის შენარჩუნებაზე, რაც შესანიშნავად გამოუვიდათ - 34:31 ხორვატების სასარგებლოდ.

ფინალის მსგავსად, დრამატული გამოდგა მატჩი მესამე ადგილისთვის საფრანგეთისა და ესპანეთის გუნდებს შორის. მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა შეხვედრის ბოლოს მოიპოვეს გადამწყვეტი უპირატესობა და გაიმარჯვეს - 27:22. მეხუთე ადგილი ერგოთ რუსებს, რომლებმაც ამ ჩემპიონატზე ზედიზედ მეორედ დაამარცხეს უნგრელები. რუსთა შემადგენლობაში, ისევე როგორც წინა შეხვედრებში, გამოირჩეოდნენ მეკარე ანდრეი ლავროვი და ვეტერანი ტუჩკინი.

რაც შეეხება ათენის ოლიმპიური თამაშების ბოლო, მეშვიდე საგზურს (შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე პირველ-მეშვიდე ადგილზე გასული გუნდები ოლიმპიადის საგზურს ავტომატურად იღებდნენ), ის როლანდ ერაძის ისლანდიის ნაკრებმა მოიპოვა. გადამწყვეტი მატჩი ქართველმა მეკარემ შესანიშნავად ჩაატარა და, ძირითადად, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ კუნძულელები ათენში გაემგზავრებიან. ისლანდიელები აღიარებენ, რომ ეს იყო მათი ახალი მეკარის საუკეთესო მატჩი ტურნირზე. ისლანდიის ნაკრებმა 32:27 მოიგო. "უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ ისლანდიის ნაკრებთან ერთად ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამოვალ", - განაცხადა საქართველოს ნაკრების ყოფილმა გოლკიპერმა.

ჭადრაკი

# კასპაროვი მარცხს გადაურჩა

ნიუ-იორკში გრძელდება ადამიანისა და კომპიუტერის დაპირისპირება. ოთხი პარტიის შემდეგ ანგარიში საყაიმოა - 2:2. მეოთხე პარტია უაღრესად რთული გამოდგა კასპაროვისთვის, მაგრამ 61-ე სვლაზე დიდოსტატმა ქულა მაინც გადაარჩინა. "Deep Junior"-ი თეთრი ფიგურებით თამაშობდა.

კასპაროვმა დებიუტისთვის თავისი საყვარელი - სიცილიური დაცვის გრძელი და მომქანცველი ვარიანტი აირჩია. ორსაათიანი პოზიციური თამაშის შემდეგ კომპიუტერი შეტევაზე გადავიდა. შედეგად "Deep Junior"-მა მცირე უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ მისი რეალიზება ვერ მოახერხა. კასპაროვი უაღრესად ზუსტად და ფრთხილად იცავდა თავს და, ხანგრძლივი მანევრირების შემდეგ, პარტია ეტლის დაბოლოებაში, საყაიმო პოზიციაში გადაიყვანა.

მომდევნო პარტია 5 თებერვალს გაიმართება. თეთრი ფიგურებით კასპაროვი ითამაშებს. სპეციალისტთა პროგნოზი კი, როგორც ჩანს, მართლდება. რაც დრო გადის, კასპაროვს სულ უფრო უჭირს კომპიუტერთან გამკლავება და ამის მთავარი მიზეზი კომპიუტერის მრავალფეროვნებაა. ის ყველა პარტიაში სიურპრიზს სთავაზობს მეტოქეს და, რაც მთავარია, არ იღლება. ფსიქოლოგიური უპირატესობა კი თანდათან კომპიუტერის მხარეს გადადის.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ თუ რუსი დიდოსტატი სწრაფად დაივიწყებს წინა პარტიებში განცდილ უსიამოვნებას და მთლიანად ახალ პარტიაზე გადაიტანს აქცენტს, მაშინ მას გამარჯვების შანსი ექნება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი იგი განწირულია. ამ მოსაზრებას, ნაწილობრივ, თავად კასპაროვიც იზიარებს.

"კონცენტრაცია და ფსიქოლოგიური ფაქტორი ნებისმიერ სფეროში მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც გადაღლაა. ვფიქრობ, რამდენიმედღიანი დასვენება ძალიან დამეხმარება ძალების აღდგენა-მობილიზებაში, - ამბობს გარი კასპაროვი, - კომპიუტერი, რასაკვირველია, დაღლას ვერ გრძნობს, მაგრამ მას ბევრი სხვა პრობლემა აქვს. ეს კი ჩემი უპირატესობაა და შევეცდები, დარჩენილ ორ პარტიაში მაქსიმალურად გამოვიყენო".

თხილამურები

# შვეიცარიის ალპებიდან ავსტრია ჩანს

გიგა გურასაშვილი

*მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგ მოთხილამურეებს საკმაო დრო ჰქონდათ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად. შვეიცარიის კურორტ სენტ მორიცში დაიწყო წლის უმთავრესი ასპარეზობა, სადაც ამ სახეობის დიდოსტატები შეიკრიბნენ და პირველი ჩემპიონებიც გამოვლინდნენ.*

სენტ მორიცის თოვლიან ფერდობებზე თავი მოიყარა ყველამ, ვინც სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა. მას შემდეგ 359 დღე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში სათხილამურო სამყაროში განსაკუთრებული ბევრი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით, რომ სათხილამურო ტრასებს ავსტრიელი ჰერმან მაიერი, იგივე "ჰერმინატორი" დაუბრუნდა.

სენტ მორიცის მსოფლიოს ჩემპიონატს, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ ასპარეზობას, საკუთარი ფავორიტები ჰყავს. ამერიკელი დარონ რალვი 2001 წელს მოგებული ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძოდა, ჰერმან მაიერს კი ამ უკანასკნელის ხელახლა დაუფლება სურდა. იგივე მიზნით ეწვია შვეიცარიას მაიერის თანამემამულე, შტეფან ებერჰარტერიც. ფავორიტად იყო მიჩნეული ნორვეგიელი უნივერსალი, კეტილ ანდრე აამოდტი. სკანდინაველს ყველა დისციპლინაში ლიდერთა შორის მოიხსენიებენ და მასზე კონკრეტული პროგნოზის გაკეთება ძნელია. რა თქმა უნდა, უიმედოდ არც მასპინძლები არიან. და მაინც, მთელი ყურადღება მაინც ავსტრიელთა ბანაკისკენ იყო მიმართული.

ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ყველაზე თამამი ვარაუდითაც ვერავინ იწინასწარმეტყველებდა ჰერმან მაიერის სათხილამურო ტრასაზე გასვლასაც კი, არათუ მსოფლიოს ჩემპიონატის ნაკრებში მის მოხვედრას და შემდეგ მის ფავორიტად მიჩნევას. არადა, მაიერმა ყველას დაუმტკიცა, რომ მტკიცე ნებისყოფით ყველაფერი შესაძლებელია.

2001 წლის აგვისტოში მაიერს მოტოციკლით ქროლვა ლამის ფეხის ამპუტაციად დაუჯდა. საშინელ ავარიაში მოყოლილს ექიმები კარიერის გაგრძელებაზე ფიქრსაც კი უკრძალავდნენ... სრული გამოჯანმრთელებიდან 13 დღის თავზე მაიერი მსოფლიოს თასზე გავიდა და მოიგო, თანაც - დამრეცი სამყაროს "უიმბლდონზე" – კიცბიუელის სათხილამურო ტრასაზე. ხსენებული მსოფლიო თასის ეტაპის მოგება შემთხვევითობა რომ არ იყო, ეს სენტ მორიცშიც გამოჩნდა. მაიერი სუპერ გიგანტში ასპარეზობის პირველ დღეს ვერცხლისფრად შეფერილ კვარცხლბეკზე ავიდა. ფეხმონატეხი სპორტსმენისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილის დაკავება, ალბათ, ჩემპიონობის ტოლფასია. საკუთარი თავისადმი მეტად მომთხოვნი ავსტრიელი კი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, შედეგით უკმაყოფილო ჩანდა. მისი უკმაყოფილება, შესაძლოა, ვინმემ ამერიკელ ბოდე მილერთან თანაზიარი მეორე ადგილს მიაწეროს, მაგრამ თავად აცხადებს, რომ არასაკმარისად აგრესიულად ასპარეზობდა. მოქმედმა მსოფლიოს ჩემპიონმა და მსოფლიოს თასის გათამაშების ლიდერმა, ებერჰარტერმა - ლამის, ორკილომეტრნახევრიანი (2358 მ.) ფერდობი წუთსა და 38,80 წამში ჩაიქროლა და 1991 წლის შემდეგ ხელახლა დაიმსახურა გამარჯვება. ებერჰარტერმა გამარჯვება დამსახურებულად მოიპოვა - მსოფლიო თასის ეტაპებზე პირველ ნომრად ყოფნა მეტად საძნელო საქმეა.

"საალბახიდან 12 წლის შემდეგ ხელახლა იზეიმო ჩემპიონობა, ძალზე საამაყოა. ჩემთვის ეს ჩემპიონატი რიგით მეექვსე იყო. ასე რომ, არ ვღელავდი და საკმაოდ თავდაჯერებულად ვმოქმედებდი. ჩემთვის ტრასაზე გამარჯვება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მაიერის დამარცხება," - განაცხადა 33 წლის ტიროლელმა ჩემპიონმა.

რაც შეეხება მილერს, პრესკონფერენციაზე თავს იმით ინუგეშებდა, - მაიერის მსგავსი შედეგით (1.39,57) დავასრულე ასპარეზობაო. კეტილ ანდრე აამოდტის მსგავსად, მილერიც ყველა დისციპლინაში აპირებს ასპარეზობას. საგულისხმოა, რომ ამერიკელი მოთხილამურე სუპერ გიგანტში აქამდე კვარცხლბეკზე არასოდეს ასულა. ვეტერანი აამოდტის სწრაფვა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული მედლების რაოდენობის მხრივ, მარკ ჟირარდელს გატოლებოდა, ოცნებადვე დარჩა. თუმცა, მე-11 მედლის მოსაპოვებლად აამოდტს ამისთვის კიდევ ოთხჯერ მიეცემა შანსი. სუპერ გიგანტი კი მან მეხუთე შედეგით დაასრულა.

მასპინძელთაგან ყველაზე უკეთესი შედეგი ამბროსი ჰოფმანს აღმოაჩნდა, რომელმაც მეოთხე ადგილით დაასრულა ასპარეზობა. შვეიცარიელთა მეორე ფავორიტი, დიდი კუშე კი მე-11 ადგილზე გავიდა.

კალენდარი

## 4 თებერვალი




1926 - დაიბადა გუილა გროშიჩი. გამოჩენილი უნგრელი ფეხბურთელი, მეკარე. 1952 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი.

1956 - დაიბადა პირმინ ცურბრიგენი. შვეიცარიელი სამთო-მოთხილამურე. 1988 წლის ოლიმპიური ჩემპიონი.

1967 - დაიბადა სერგეი გრინკოვი. ფიგურულ სრიალში წყვილთა თანრიგში ეკატერინა გორდეევასთან ერთად ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

1974 - დაიბადა ოსკარ დე ლა ჰოია. ამერიკელი მოკრივე. 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი. პროფესიონალებში არაერთგზის მსოფლიო ჩემპიონი.






## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 5-ოთახიანი, ევრორემონტით, 2 სველი წერტილით, 4 აივნით, 3(4) , სოლოლაკში. 93-91-01 ანა.

იყიდება არასტანდარტული, მაღალჭერიანი, 4-ოთახიანი, 2 აივნით, კარგი პარკეტით, სარდაფით მოსკოვის გამზირზე, 12 000-ად.

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ვიქირავებ რესტორანს კარგ ადდილზე, შეღავათიან ფასში. ტელ: 95-21-46 დღისით იკითხეთ ირაკლი, 899 948077.

ქირავდება საოფისედ გრიბოედოვზე ბელეტაჟზე ოროთახნახევრიანი იზოლირებული პარკეტიანი, კაფელიანი ბინა. ტელ: 98-86-01

**სასწრაფოდ!** ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაკდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.
ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

ქირავდება 4-ოთახიანი ბინა 2-აივნით, ბუხრით, ახალი გარემონტებული, ბ/აირით, წინამძღვრიშვილზე. 96-10-67

## მანქანები

სასწრაფოდ იყიდება ავტომანქანა "ფოლკცვაგენ-ვენტო", 1992 წლის 3300-ად. 96-67-16, 899 975517.

## სწავლება

ყველა დაინტერესებულ პირს მოვამზადებ ფრანგულ ენაში 79-41-13

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

იყიდება გერმანული როიალი "ბლუტნერი" კარგ მდგომარეობაში, სპილოს ძვლის კლავიატურით, შავი, მრგვალ ფეხებზე, სიგრძე 2მ, საუკეთესო ჟღერადობის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-27-82 თინა.

შევიძენ 1-ტონიან პლასტმასის ავზს. 899 973993, 899 298705.

იყიდება ახალი, ბელგიური, ფერადი ტყავის სამეულები. 39 38 23

ვისესხებ თანხას ბინის და ავტომანქანის მყარი გარანტიით. 37 96 46

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

ვთარგმნი გერმანულიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

იყიდება ნატურალური ღვინო "ოჯალეში, რომელიც არეგულირებს წნევას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, დევნის შლაკებს ორგანიზმიდან. აგრეთვე რეკომენდირებულია გულ-სისხლძარღვთა და დიაბეტიანი ავადმყოფებისათვის. ფასი 5 ლარი.
ტელ: 52-30-30, 899 181945

ფირმების რეგისტრაცია უმოკლეს ვადაში.
96-17-35
899 16 11 03

# აფიშა

## თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**

ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**

"ღამის სტუმარი", რეჟ. რამაზ სიხარულიძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი**

"ინსტინქტი", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**

მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

## კინოთეატრები

**„ამირანი„**

"ბეჭდების მბრძანებელი", რეჟ. პიტერ ჯექსონი
დას: 10:30; 14:00; 17:30; 21:00 სთ; ფასი 5,6,9,10 ლარი

**„რუსთაველი„**

"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ტრანსპორტერი"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

**„ელისო„**

"ტრანსპორტერი"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 17:00; 21:30სთ; ფასი 5 ლარი

**ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი (გუდიაშვილის 10)**

რუდოლფ ნურიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი ვიდეოჩვენება
"რუდოლფ ნურიევი, ჩრდილი და სინათლე" (ნურიევის ცხოვრების ბოლო წლები), გოგი ალექსიძის მონაწილეობით
დას: 18:00 სთ






# TV პროგრამა 4 თებერვალი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 0
7.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
18.45 სერიალი „ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე"
19.05 სერიალი „მედისონის სკოლა"
19.30 პერეკროსტოკი
20.05 სერიალი „მაცდური სიყვარული"
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „უსაყვარლესი არსება" მთ. როლებში კამერონ დიასი, ტომას ჯეინი
02.30 კლასიკა

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „უკანასკნელი ნაკრძალი"
10.10 „ზოოპარკი"
10.30 მხ. ფილმი „ციმბირი"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 „ნაშუადღევს"
14.05 „ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი „არაფერი რობერის შესახებ" მთ. როლებში ფაბრის ლიუკინი, მიშელ პიკოლი
17.05 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ბაზრები"
17.30 შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო" (ალგარვე)
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ავიაშოუ"
18.35 ბასტი-ბუბუ
18.55 „და არს მუსიკა"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 დოკ. სერიალი „წყვილები და დუეტები"
22.15 „სათავეებთან"
23.00 დღის ბოლოს
00.00 მხ. ფილმი „შეხვედრების ადგილი უცვლელია" მე-3 სერია

## პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით უცხოური მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „ქერა"
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 რუსული მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა

23.00 სველი ხაზი
00.00 ფილმი ბრავო „უკანასკნელი ციხესიმაგრე"
01.45 ფილმი ღამურა „დრაკულა
2000" 03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ამბები ჩვენზე
20.45 ოქტაგონი
21.30 ასპარეზი „ზურაბ საკანდელიძე"
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ტაში ცალი ხელით"

## იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 ალსავალი
08.25, 10.50, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
09.30 „ბურთი და მოედანი"
09.50 მხ. ფილმი „ახალი კამელოტის ლედი" 1-ლი სერია
10.30 დოკ. ფილმი
11.00 მხ.ფ. „ახალი კამელოტის ლედი" მე-2 სერია
13.10 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
17.30 მულტფილმი
18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
20.00 მხ.ფ. „კაფე მამბო"
22.30 ძველი კინო - მხ. ფილმი „ბარი ლინდონი"
00.50 ღამის ფილმი

## კავკასია

12.00 მხ. ფილმი „არმაგედონი"
15.00 მხ. ფილმი „სამი სურვილი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „რაზმი ზღვის კატები"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „შურისგების მუშტი"
22.30 მხ. ფილმი „განგსტერთა ბრძოლები"

## მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.40 მულტფილმი „ტომი და ჯერი"
10.00, 11.50, 17.20, 18.50, 19.50, 21.45, 23.40 მუსიკა
10.10 მხ. სერიალი „ზურგის ქარი"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
14.45 მულტფილმი „ვიზიონერები - მაგიური სინათლის ნაინდები"
15.10 დოკ. სერიალი „ეს ცეკვაა" 1-ლი ნაწილი
15.40 მხ. ფილმი „ლაბირინთი"
17.45 მხ. სერიალი „ყრმა სახელად იესო" 1-ლი სერია
18.40 მულტფილმი „ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" მე-2 სერია
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება" 107-ე სერია

20.00 დოკ. ფილმი „პალიტრა" ფრანგი მხატვრები - პოლ სეზანი
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
22.00 მხ. ფილმი „ბილიარდომანები"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი" მე-2 სერია
00.45 მხ. ფილმი „კარიერა"

## აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.30 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.30 მუსიკა
10.00 საბავშვო ფილმი „ჰატჩიპუხი"
12.15 მელოდრამა „კრამერი, კრამერის წინააღმდეგ"
14.20 კომედია „ბედნიერი შემთხვევა"
16.15 მულტფილმი „შუაღამის დარაჯი"
17.30 ფანტასტიკა „ღრმა ჩაძირვა"
19.15, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.25 „Пресс-папье"
19.30, 22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.40 მუსიკა
20.00 მელოდრამა „ქუხილის დღეები"
22.00, 00.00 „დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
22.55, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.00 დოკუმენტური ფილმი
01.15 კომედია „ლხინში სიცოცხლის გატარება"
03.30 მელოდრამა „ცისფერი უფსკრული"

## VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 „ბედნიერი ერი"
09.55 „სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.20 მელოდია
10.50 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
11.25 „სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები
12.05 „ბიორითმი" - ფილიპ კირკოროვი.
12.25 „სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
13.15 დისნეი და მისი მეგობრები
13.35 „სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
18.20 „სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.40 „სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.05 პორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
20.45 „ღამის კაპრიზი" - თემა: გაცნობა განცხადებით.
21.50 „სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები
22.30 „კინოკლუბი" - „ბენ-ჰური" მე-2 სერია.
00.10 „სახლიდან გაუსვლელად"
00.50 „ბიორითმი" - ფილიპ კირკოროვი.

## ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.05 Сериал „ЕРМАК"
12.05 „Шутка за шуткой"
12.35 Дисней-клуб: „Переменка"
13.15 Худ.фильм „КОЛОМБО ОТПРАВЛЯЕТСЯ В КОЛЕДЖ"
15.00 „Новый день". Фритьоф Нансен.
15.30 „Новый день". „Первобытные охотники третьего тысячелетия"
16.15 Док. сериал „Дикие штучки"
16.45 Худ.фильм „ПЕРЕД ЭКЗАМЕНОМ"
18.00 „Большая стирка"
19.25 „Кумиры". И.Кваша.
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
21.00 „Слабое звено"
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов"
23.45 Док.сериал „Спецназ"
00.50 „Новый день". Подводный мир А. Макаревича.
01.20 Горные лыжи. Чемпионат мира. Супергигант.
01.50 „Апология"
02.55 Боевик „Неудержимый". „заложник"

## РТР

06.45 Доброе утро Россия!
09.45 Сериал „Леди босс"
10.35 Сериал „СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ"
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи"
13.20 Худ.фильм „Крестоносцы"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Колоссальное хозяйство
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех"
17.15 Сериал „Простые истины"
18.20, 03.25 Дорожный патруль
18.35, 00.50 Вести-спорт
18.45, 20.50 Вести. Дежурная часть
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди босс"
22.50 Сериал „СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ"
00.20 „Вести +"
00.55 Худ.фильм „Дракула"

## НТВ

09.35 Утро на НТВ
10.05 Сериал „Скорая помощь 6"
11.00 Сегодня утром
11.25 „Живой товар". „Профессия -репортер".
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Кулинарный поединок". Магадаскар-Россия
13.05 Комедия „Курьер"
14.45 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Рыжие" Ток-шоу „Принцип „Домино"
18.10 Боевик „Кодекс чести"
19.15 Док. драма „Преступление и наказание"
20.40, 00.15 Сериал „ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ: МЯГКАЯ ЛАПА СМЕРТИ"
21.50 Боевик „Кодекс чести"
23.00 „Сегодня вечером"
23.35 Сериал „Секс в большом городе"
01.15 Гордон
02.15 Сериал „Солдаты удачи"
03.05 Ночь.




# ეგზოტიკური რეცეპტები შრი-ლანკადან

4 თებერვალი შრი-ლანკას დამოუკიდებლობის დღეა

ეკა გვახარია





შრი-ლანკა პატარა, ლამაზი კუნძულია. ის ეკვატორიდან 800 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ინდოეთის ოკეანეში. წლის რომელ დროსაც არ უნდა ეწვიოთ შრი-ლანკას, თქვენ გაგაოცებთ მუდმივი ზაფხულის შეგრძნება. ძირითადი ფერებია: ცისფერი - ზღვა და ცა, ყვითელი - ქვიშა სანაპიროზე და მწვანე - ჩაის და ბრინჯის პლანტაციები, პალმები. კლიმატი ტროპიკულია (საშუალო ტემპერატურა ცელსიუსის 28-32 გრადუსი). მოსახლეობა 15 მილიონი ადამიანია, ეთნიკური თვალსაზრისით ქვეყანა საკმაოდ მრავალფეროვანია, აქ ცხოვრობენ: სინგალები, ტამილები, ბიურგერები (პორტუგალიელების და ჰოლანდიელების შთამომავლები) და მავრები (არაბი ვაჭრების შთამომავლები). ძირითადი რელიგიებია - ბუდიზმი, ინდუიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. ოფიციალური ფულადი ერთეულია რუპია (80 რუპია - 1 ამერიკული დოლარი).

შრი-ლანკაში შეგიძლიათ შეიძინოთ: საიუველირო ნაწარმი, ცობილი ცეილონის ჩაი, ბატიკა, ნიღბები, შავი ხის ნაკეთობები და სანელებლები: დარიჩინი, მიხაკი, კარდამონი და სხვა. დღესდღეისობით კულინარიაში ასე გავრცელებული არომატული სანელებლების სამშობლო, სწორედ შრი-ლანკა გახლავთ. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან სხვადასხვა ქვეყნებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ შრი-ლანკასთან, რათა შეეძინათ სანელებლები. სწორედ მაშინ ხდებოდა კულინარიული პრაქტიკის გაზიარება. სხვადასხვა კულტურების შერწყმით განვითარდა და ჩამოყალიბდა ნამდვილი შრი-ლანკური სამზარეულო, რომელზეც ყველაზე დიდი გავლენა პორტუგალიურმა, ჰოლანდიურმა, მაროკოულმა და მალაიურმა კულინარიულმა ხელოვნებამ იქონია.

გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო რეცეპტს, რომლის მომზადება ქართულ პირობებშია შესაძლებელი:

### ალა დოსი

ერთნახევარი ფინჯანი რძე;
ერთნახევარი ფინჯანი შაქარი;
125 გრამი კარაქი;
ერთი ფინჯანი კარტოფილის პიურე;
ერთი ფინჯანი დანაყული ნიგოზი;
2 ჩაის კოვზი ვარდის ესენცია;
1 ჩაის კოვზი კარდამონი.

*მომზადების წესი*

შაქარი, რძე, შესქელებული რძე და კარაქი ნელ ცეცხლზე წამოადუღეთ, თან ურიეთ უწყვეტლივ, შემდეგ ნელ-ნელა დაუმატეთ კარტოფილის პიურე და აურიეთ, სანამ ერთიანი მასა არ გახდება. მერე ისევ წამოადუღეთ. გადმოდგით გაზქურიდან, შეურიეთ ნიგოზი, ვარდის ესენცია და კარდამონი. გადმოიღეთ თხელ ლანგარზე. გადააფარეთ ფოლგა და გააციეთ. შემდეგ დაჭერით პატარა ნაჭრებად.

### სიყვარულის ნამცხვარი

ნახევარი კილო ხორბალი;
ერთი კილო შაქარი;
ნახევარი კოლოფი კარაქი;
750 გრამი ნიგოზი;
მოხარშული გოგრა;
12 კვერცხი;
ვარდის ესენცია;
ნუშის ესენცია;
ნახევარი კოვზი კარდამონი, დარიჩინი, სანელებელი მიხაკი;
ერთი კოვზი ლიმონის გახეხილი კანი.

*მომზადების წესი*

მოხარშეთ ხორბალი ლიმონის ფოთლებთან ერთად, დაუმატეთ კარაქი და კარგად ათქვიფეთ. გააჩერეთ მთელი ღამის განმავლობაში და დილით მოაცილეთ ლიმონის ფოთლები. გააკეთეთ 12 კვერცხის გულისგან გოგლიმოგლი და დაუმატეთ ხორბალს, კარგად აურიეთ. შემდეგ შეურიეთ დაჭრილი ნიგოზი, მოხარშული გოგრა, სანელებლები და გახეხილი ლიმონის კანი. ათქვიფეთ 8 კვერცხის ცილა და დაუმატეთ მასას. შედგით ღუმელში და ნელ ცეცხლზე გამოაცხვეთ.

შრი-ლანკურ სამზარეულოში ერთ-ერთი მთავარი ინგრედიენტია ქოქოსის რძე, რომლის მიღება საკმაოდ შრომატევადი საქმეა და ძალიან დამღლელი, თუმცა ბოლო წლებში მისი ქარხნული წესით მომზადება შემუშავდა, რამაც ძალიან გააადვილა ქოქოსის რძის გამოყენება, როგორც შრი-ლანკაში, ასევე მთელ მსოფლიოში. გთავაზობთ კიდევ ერთ შრი-ლანკურ ძალიან ადვილ რეცეპტს ქოქოსის რძის გამოყენებით:

### შრი-ლანკური ფლავი

2 ფინჯანი წვრილმარცვლოვანი თეთრი ბრინჯი;
2 ფინჯანი სქელი ქოქოსის რძე;
2 ჩაის კოვზი მარილი.

*მომზადების მეთოდი*

ადუღეთ ბრინჯი 15 წუთის განმავლობაში, შემდეგ დაუმატეთ ქოქოსის რძე და მარილი, ადუღეთ კიდევ 15 წუთი, სანამ ბრინჯი რძეს არ შეიწოვს. მოურიეთ ხის კოვზით. როდესაც გადმოიღებთ ლანგარზე, შეგიძლიათ მოაყაროთ გახეხილი ქოქოსი და გარშემო შემოუწყოთ დაჭრილი ბანანი.

*თუ გიყვართ კულინარია, შეგიძლიათ მრავალფეროვნებისათვის მშვენიერი შრი-ლანკური საუზმე მოამზადოთ, მიირთვათ "ალა დოსი" და ფლავი, შემდეგ კი "სიყვარულის ნამცხვარიც" დააყოლოთ და არ დაგავიწყდეთ ცეილონის ჩაი.*

# ჰამლეტი ცელსიუსის -31 გრადუსზე

*პანკ-როკ ვარსკვლავი ჰამლეტი, უოლ სტრიტელი კეისარი, ოტელო, რომელიც პოპ-მუსიკას უსმენს... – ამ სახეებს შექსპირის გათანამედროვების მიზნით ქმნიან. მოტივი ასეთია – საუკუნეების წინ შექმნილმა კლასიკამ ხიბლი და მაყურებელი რომ არ დაკარგოს, მათ თანამედროვე ღირებულებებით ამდიდრებენ. ახალი, შვედური "ჰამლეტიც" ბევრმა შეიძლება რეჟისორების მორიგ ახირებად აღიქვას, მაგრამ პრემიერა, რომელიც შვედეთის არქტიკულ სარტყელში გაიმართა, კიდევ უფრო მეტია, ვიდრე უბრალო ახირება.*

თამარ ბაბუაძე



*სცენა ყინულის სპექტაკლიდან "ჰამლეტი"*

გარეთ თოვლის გარდა არაფერი ჩანს, ტემპერატურა კი -20 გრადუსია. მაყურებელი ბილეთს იღებს და შენობაში შედის, მაგრამ არა გათბობის იმედით – თეატრი, რომელშიც "ჰამლეტის" პრემიერა უნდა შედგეს ყინულის დიდი ბლოკებისგან არის აგებული: ყინულის სცენა, ყინულის დეკორაციები, ყინულის სკამები... – საზოგადოების ერთადერთ ნუგეშად სკამებზე დაფენილი ირმის ტყავიღა რჩება. ამ ყინულოვან გარემოში იწყება სპექტაკლი და -20 და ხშირად უფრო დაბალ ტემპერატურაზეც თამაშდება დანიელი პრინცის ტრაგედია.

ამ შვედურ დადგმას კიდევ ერთი უცნაურობა სჭირს – მსახიობები ყველასთვის გაუგებარ უძველეს სკანდინავიურ დიალექტზე საუბრობენ. თუმცა, "ჰამლეტს" ენა რად უნდა – ნამდვილი სკანდინავიური გარემო, სკანდინავიელი მსახიობები და ყველასთვის კარგად ცნობილი ისტორია მაყურებელში ისედაც დიდ ემოციას აღძრავს.

ასე რომ, ყინულის "ჰამლეტის" ექსპერიმენტი ნამდვილად ამართლებს. მით უფრო, რომ მაყურებელი თეატრს არასდროს აკლია. თუმცა, ალბათ, საინტერესოა, საერთოდ რატომ გაჩნდა "ჰამლეტის" ყინულში დადგმის სურვილი: მარტივად რომ ვთქვათ, ეს ორიგინალური იდეა ისევ შექსპირის გამორჩეული ნიშნით ინტერპრეტაციასა და ამ გზით მიღწეულ კომერციულ წარმატებას უკავშირდება. საბოლოო ჯამში კი, ეს ყველაფერი ლაპლანდიაში ტურიზმის ბიზნესის განვითარებასთან იყრის თავს: უცნაურ გარემოში დადგმული შექსპირი (ასეთი რამ ხომ ისტორიაში პირველად ხდება) ხომ ჩრდილოეთ შვედეთის მოსაწყენ სითეთრეს მძაფრი სიუჟეტებითა და შექსპირისეული ხიბლით აზავებს და იქაურობას უფრო მიმზიდველს ხდის. მიმზიდველს, პირველ რიგში, ტურისტებისთვის, რომელთაც სურთ, ტრადიციულ სცენებზე დადგმული ტრადიციული ნაწარმოებები ახლა ყინულოვან გარემოში, ირმის ტყავებზე მოკალათებულებმა ნახონ და ახალი, ეგზოტიკური შთაბეჭდილებებით დაიტვირთონ.

ეს შვედური თეატრი კი სწორედ რომ ზედგამოჭრილია თოვლთან დაკავშირებული ეგზოტიკისთვის. საინტერესოა, რომ ის მდინარე ტემზის ნაპირზე აგებული, ლონდონური "გლოუბის" სეხნია გახლავთ. სათაურში მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებაა შეტანილი – ლაპლანდიურ "გლოუბს" წინ ყინულისას ურთავენ. ის რამდენიმე წელია, ფუნქციონირებს, მაგრამ მსოფლიოს ყურადღებას, სწორედ "ჰამლეტის" საშუალებით, წელს იპყრობს.

არაბუნებრივი და უცნაური გარემოს მიუხედავად, შექსპირის განწყობა შენობაში შესვლისთანავე იქმნება. ამაზე ზღურბლთან, ყინულის კარს ზემოთ ამოტვიფრული შექსპირის თავი "ზრუნავს", რომელსაც აქეთ-იქიდან ორი ჩირაღდანი ანათებს. სპექტაკლი შთამბეჭდავად იწყება – ყინულის უზარმაზარ ბლოკზე მეფის გვამს წვავენ, მსახიობები სცენაზე ციგებით შედიან, ჰორაციო კი თავის ცნობილ ტექსტს ჩრდილოეთის ციალის ფონზე კითხულობს.

რეჟისორი იხსენებს: გენერალური რეპეტიციის დროს განსაკუთრებულად ყინავდა. ტემპერატურა –31 გრადუსი იყო. თხელ მოსასხამებში გამოწყობილი მსახიობები კინაღამ გაიყინენ. ამიტომ იძულებული გავხდი, პიესა საგრძნობლად შემემცირებინა. ამ საყინულეში კაცმა მაქსიმუმ 90 წუთი გაძლოს.

მონდომებისა და პროფესიული ენთუზიაზმის გარდა, მსახიობებს სცენაზე, ასევე აძლებინებს შესვენებების დროს ყინულის ბარში გასვლა (იქ სცენასთან შედარებით ნამდვილი საცხობის ტემპერატურაა – 5 გრადუსი) და ცოტაოდენი არყის გადაკვრა...

თუმცა, უცხოელებისთვის ყინულის თეატრზე არანაკლებ ეგზოტიკურია ყინულის სასტუმროში ღამის გათევაც. იქვე, ლაპლანდიურ "გლოუბთან" ახლოს ხომ, სწორედ ასეთი სასტუმრო უკვე წლებია დგას. მხოლოდ შარშან, ყინულის თეთრ ოთახში ძილს გემო 14 ათასმა უცხოელმა გაუგო. ასეთი ოთახი სასტუმროში ორმოცდაათია. ნომრებსაც სახასიათო სახელები ჰქვია: ნოეს კიდობანი, რომაული ნომერი, ყინულის დედოფლის ნომერი და რობოტის ნომერი. თუმცა, ამ ეგზოტიკას სტუმრები დიდი-დიდი ერთი ღამით უძლებენ. შემდეგ ტურისტები, რომელთა 35 პროცენტი ბრიტანელია, სასტუმროს ტერიტორიაზე ჩადგმულ კეთილმოწყობილ კოტეჯებში გადადიან და ყინულის შენობას მხოლოდ შექსპირისა და "ჰამლეტის" სიყვარულით თუ ეწვევიან ხოლმე.

სპექტაკლები კი დეკემბრიდან-აპრილამდე გრძელდება. შემდეგ მდინარე ტორნი, რომელზეც სახელდახელო ყინულის შენობაა წამოჭიმული, თანდათან ლღვება და თოვლის ეგზოტიკაც მამაცი ტურისტებისთვის დეკემბრამდე წყდება. ასე "დნება" შემდეგ სეზონამდე დანიელი პრინცის ყინულოვანი ტრაგედია...

## კალეიდოსკოპი

### დაიმახსოვრეთ: L.A.M.B.

გვენ სტეფანი საკუთარი ტანსაცმლის წარმოებას იწყებს. ემინემისა და Jay-Z-ის კვალდაკვალ, No Doubt-ის სოლისტი შოუ-ბიზნესის იმ ვარსკვლავთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც მუსიკალურ საქმიანობასთან ერთად მოდაში თავისი სტილის დანერგვასაც ცდილობს.

კოლექციის სახელწოდება იქნება L.A.M.B. ნაწარმი 2004 წლის გაზაფხულიდან ამერიკის მაღაზიებში გაიყიდება. კოლექციის სიამაყე აქსესუარები და ჩანთებია, მათი ფასები 20-დან 160 ამერიკულ დოლარამდე იქნება. მყიდველს შეეძლება ნებისმიერი ლოგოტიპით დამშვენებული ნივთი შეიძინოს: "მუსიკა", "ანგელოზი", "ბავშვი" ან "სიყვარული".

### ჩაიცვით და არ დაბერდებით!

იაპონური კომპანიის, Kanebo Spinning Corp-ის სპეციალისტებმა საოცარი თვისებების მქონე ქსოვილი შექმნეს: მწარმოებელი აცხადებს, რომ ის კანს მავნე ულტრაიისფერი სხივებისგან დაიცავს და მომხმარებელს ნაადრევად დაბერებისგან გადაარჩენს. ეს ქსოვილი, რომელსაც Nano Dew ჰქვია, კომპანიის ექსკლუზიური ტექნოლოგიითაა შექმნილი და E ვიტამინსა და საგანგებო ფერმენტებს შეიცავს.

ახალი ქსოვილისგან უკვე შეკერეს მაისურები და პერანგები. ისინი ჯერ-ჯერობით მხოლოდ იაპონიაში გაიყიდება, 30-დან 80 ამერიკულ დოლარამდე ღირს. იაპონელები, რომელთაც ჯანმრთელი ცხოვრების წესი ძალიან იზიდავს, ახალ ტანსაცმელს სულმოუთქმელად ელიან.

ევროპელი სპეციალისტები კი ულტრაიისფერი სხივებისგან დამცველი ტანსაცმლის სავაჭრო წარმატებას საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ. ევროპაში გარუჯული სხეული ჯერაც მოდაშია, სოლარიუმში დასასხივებლად ხალხი ფულს იხდის, და როგორც ჩანს, სანამ ფერმკრთალი ქალწულების, მზის ქოლგებისა და ხელთათმანების მოდა არ დაბრუნდება, Kanebo Spinning Corp-ს მსოფლიო ბაზრის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

### ირანში მოდების პირველი ჟურნალი გამოვიდა

პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში ირანელ ქალებს საკუთარი მოდების ჟურნალის, "ლოტოსის" ყიდვა შეუძლიათ. ჟურნალი წელიწადში ოთხჯერ გამოვა და დაახლოებით 4 ამერიკულ დოლარად გაიყიდება.

"ლოტოსის" მთავარი რედაქტორი ირანელი დიზაინერი ქალი მალა ზამანია – პირველ ნომერს, ძირითადად, მისი ნამუშევრები ამშვენებს.

"ქალებს ლამაზად ჩაცმა უყვართ, და ამაში არც ირანელი ქალები წარმოადგენენ გამონაკლისს," ამბობს ზამანი. "ჩემი ფერადი მოდელები მათთვის ფსიქოლოგიური და სულიერი დახმარების საშუალებაა." ზნეობის დამცველებსაც შეუძლიათ მშვიდად იძინონ – ზამანიმ ტრადიციულ ტანსაცმელს მხოლოდ ფერები და ნაქარგობები შეჰმატა, ისლამის პრინციპები არ დაურღვევია.

თავად ზამანი, რომელმაც უკვე 50 წლის ასაკს გადააბიჯა, მოდით მხოლოდ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაშია დაკავებული, მანამდე ბანკის მენეჯერი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლურ ჟურნალებთან შედარებით "ლოტოსი" ძალიან "შეზღუდული" გამოცემაა, თავშებურული ქალებისა და ირანული მოდისთვის ის უზარმაზარ მიღწევას წარმოადგენს.

1936 წელს ირანის მმართველმა, რეზა შაჰ ფეჰლევიმ დასავლური სამოსის ტარება ბრძანა, მაგრამ 1979 წლის ისლამურმა რევოლუციამ კვლავ ტანსაცმლის მკაცრი კოდექსი – ხეჯაბი შემოიღო. ახლაც კი, როცა მოთხოვნები იმდენად მკაცრი არაა, ირანელი ქალი გრძელ ერთფეროვან ტანსაცმელს და თავსაფარს ატარებს. სახლში, ცხადია, უფრო თავისუფლად არიან, სანდლებიც კი აცვიათ ხოლმე, მაგრამ მათ, ვინც "მეტისმეტად ბევრს ბედავს", დღესაც ჯარიმა და ფიზიკური სასჯელიც კი ემუქრებათ.

**დღეს**
**სამშაბათს, 4 თებერვალს**




1793 წელი: საფრანგეთის კუთვნილ ტერიტორიებზე გაუქმდა მონობა.

1924 წელი: ბომბეის ციხეში ორწლიანი პატიმრობის შემდეგ მაჰატმა განდი გაათავისუფლეს.

1980 წელი: ნერვული ანორექსიის დიაგნოზით გარდაიცვალა ამერიკელი მომღერალი კარენ კარპენტერი.

1994 წელი: იაპონიაში გამოუშვეს რაკეტა H-2, პირველი დიდი რაკეტა, რომელიც მხოლოდ იაპონური ტექნოლოგიით დამზადდა.

2002 წელი: "ენრონის" ყოფილმა ხელმძღვანელმა კენეტ ლეიმ კონგრესის წინაშე გაკოტრებული კომპანიის შესახებ ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა.

© GRAPHIC NEWS

# ვარსკვლავბიჭუნას დაბადება

გერმანელმა მოდელმა, 32 წლის კლაუდია შიფერმა, ვაჟი გააჩინა. ექიმებმა მოდელს ბუნებრივი მშობიარობა თავიდანვე აუკრძალეს, რადგან ნოემბერში მომხდარი ავტოკატასტროფის დროს მან ფეხი დაიზიანა და ყავარჯნებით უწევდა სიარული. საკეისროს შედეგად დაბადებული ბავშვი 3,5 კილოგრამს იწონის. შიფერის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დედა-შვილი შესანიშნავად გრძნობს თავს.



შიფერის ვაჟი ლონდონში გაჩნდა. მის დაბადებას მამამისი – კინოპროდიუსერი მეტ ვონიც ესწრებოდა. კლაუდიასთვის ეს პირველი შვილია. ჯერჯერობით, ბედნიერმა მშობლებმა პატარას სახელი ვერ მოუძებნეს.

პორტლენდის სამშობიარო სახლი შემთხვევითი არჩევანი არ ყოფილა – გასულ წელს აქ საკეისროს მეშვეობით შვილი რამდენიმე ვარსკვლავმა გააჩინა, მათ შორის ელიზაბეტ ჰარლიმ და ყოფილმა Spice Gilr-მა, ვიქტორია ბექჰემმა.

შიფერმა და მისმა მეუღლემ გასულ წელს, ინგლისის საგრაფო საფოლკში იქორწინეს. რასაკვირველია, ცერემონიამ მასმედიის დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ პატარძალი ეკლესიაშიც კი ისე შევიდა, რომ ცნობისმოყვარეებმა და ფოტოგრაფებმა მის საქორწილო კაბასაც ვერ შეავლეს თვალი. შიფერმა იმხანად მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, მინდა კარგი დედა გავხდეო, თუმცა სულ არ აპირებს დედისა და დიასახლისის როლით თავის შეზღუდვას. "არა, მე ნამდვილად არ ვარ ის ქალი, რომელიც სახლში დაჯდება და იმას დაუშვებს, რომ ცხოვრებამ მის გარეშე ჩაიაროს. მე მინდა მთელს მსოფლიოს მოვეხვიო და ყველაფერი, რასაც ის შემომთავაზებს, გულში ჩავიკრა."

დღეს კლაუდია შიფერი მსოფლიოში ერთ-ერთი "ყველაზე ხშირად გადაღებული" ქალია. მისი ფოტოსურათები უამრავი ჟურნალის გარეკანს ამშვენებს, კარლ ლაგერფელდმა შანელის კოლექციისთვის "90-იანი წლების სახედ" დაასახელა. კლაუდია ყველაზე ძვირადღირებულ მოდელთა რიცხვს განეკუთვნება – არამარტო ტანსაცმლის, კოსმეტიკის თუ სათვალეების, არამედ გამაგრილებელი სასმელებისა და მანქანების რეკლამითაცაა დაკავებული. შიფერის ქონება 50 მილიონ ევროს აღემატება, მას სახლები აქვს ლონდონში, პარიზში, ნიუ-იორკში და მაიორკაზე.

## სკანდინავიური კროსვორდი




## სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, საიდაც ლონდონის ღირსშესანიშნაობები თავმოყრილია. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 3 აპრილი.

**MBA** მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

**MSc** საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი **$5950**

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულება 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულება £ 10 950

**ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად**

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიმღებ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან დაუკავშირდით წარმომადგენელს: ნინო მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

## DERTOUR-ი გთავაზობთ

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიურო გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით, Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, სამთო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწინებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ევრო ვიზები.

DERTOUR
მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

